CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 29 ოქტომბერი, 2009 წელი. №236 (2274) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## ქაბულში გაერო-ს თანამშრომლები დახოცეს

A7



## არტინტერვენცია

A11



## ფიბა-ევროპამ მიზანში ამოგვიღო

A13



# პანკისში მონიტორინგის ჯგუფი ჩადის

*საქართველოს პარლამენტში გუშინ სასაზღვრო დეპარტამენტის, კონტრტერორისტული ცენტრისა და საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს რამდენიმე საათის განმავლობაში, დახურულ ფორმატში უსმენდნენ. ნდობის ჯგუფის შეკრების მთავარი მიზეზი პანკისის ხეობაში შექმნილი სიტუაცია, უფრო სწორად - რუსეთის პროვოკაციული განცხადებებია.*
*შეხვედრაზე შესვლამდე საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ "პანკისის თემამ ცუდად გაიჟღერა, ამ თემაზე საუბარი აუცილებელია".*

თამარ ივანიძე

ნდობის ჯგუფის შეხვედრის ინიციატივა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს, "ქრისტიან-დემოკრატ" გიორგი თარგამაძეს ეკუთვნის. ინიციატივის მიზეზი რუსი მაღალჩინოსნების მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები გახდა.

**"მიგვაჩნია, რომ ეს ყველაფერი მომავალში მორიგი პროვოკაციის გასამართლებლად კეთდება. შესაბამისად იზრდება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ესკალაციის რისკი," -**

გაგრძელება A3 გვერდზე

# საპენსიო სისტემა

## რეფორმის საკითხები საქართველოში

გრიგოლ ნიკოლეიშვილი

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს თანამედროვე, ლიბერალური ეკონომიკის ჩამოყალიბება საქართველოში, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. საპენსიო სისტემის რეფორმა ამ გარდაქმნების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ეს დაკავშირებულია იმ როლთან, რომელსაც ასრულებს საპენსიო სისტემა ქვეყნის ფინანსურ და სოციალურ სფეროში.

საქართველოს საპენსიო სისტემა შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად. ძირითადი არის სახელმწიფო საპენსიო სისტემა. არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას ფრიად მოკრძალებული ადგილი უკავია და განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. მოკლედ შევჩერდეთ საპენსიო სისტემის განვითარების საერთაშორისო გამოცდილებაზე, აგრეთვე, თუ როგორ იცვლება თანაფარდობა სახელმწიფო და არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო სისტემებს შორის თანამედროვე მსოფლიოში.

გაგრძელება A4 გვერდზე



# გიჟური ჯაზი ნიუ იორკიდან

ია ვეკუა

ჯაზი თბილისში გრძელდება. თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის მეორე დღეს ქართველმა მსმენელმა სრულიად ახალი, განსხვავებული, ნოვატორული ჟღერადობით სავსე ჯაზი მოისმინა, რომელსაც ნიუ იორკული ტრიო Medeski, Martin & Wood წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი საფესტივალო დღის ჩინებული გაგრძელება, რომელმაც მარკუს მილერისა და ჯეიმს კარტერის ბენდების მიერ დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე შემოტანილი და გამყარებული მუსიკალური ხარისხი კიდევ უფრო გაამყარა.

Medeski, Martin & Wood-ის მუსიკოსების მიერ აღებული პირველივე აკორდებიდან ცხადი გახდა, რომ წინ ყველაზე ენერგიული, დაუცხრომელი და ავანგარდული გარნირით დატვირთული საღამო გველოდა. გამხსნელი კომპოზიციის შესრულებისთანავე თვალნათელი გახდა ისიც, რომ მუსიკოსებსა და მსმენელს შორის უხილავი კედელი აღიმართა, მუსიკოსები თითქოს გაეთიშნენ მათ გარშემო არსებულ სამყაროს, მათ მედიტაციის ის ხერხი აირჩიეს, როდესაც ნებისმიერ გარეშე მოვლენებზე რეაგირების უნარი იკარგება. მუსიკოსებისთვის თითქოს სულ ერთი იყო დარბაზიდან წამოსული ოვაცია და აღტაცება - სცენაზე მხოლოდ მუსიკასთან ერთად დარჩნენ. თუმცა დარბაზსა და სცენას შორის აღმართულ კედელს უხილავობასთან ერთად მიზიდულობის ის უჩვეულო ძალაც აღმოაჩნდა, რომელიც სულ უფრო გვაახლოვებდა ნიუ იორკელთა გიჟურ მუსიკასთან.

ტრიოს მუსიკა მთლიანად იმპროვიზაციაზე აგებული. მათი მოსმენისას რჩება შთაბეჭდილება, თითქოს სცენაზე მხოლოდ კომპოზიციების მცირე მონახაზი გამოაქვთ, დანარჩენი კი მხოლოდ სპონტანურად იქმნება. ამაში მაშინ უფრო რწმუნდები, თუ მუსიკოსების უსიტყვო დიალოგს აკვირდები - დრამერ ბილი მარტინსა და ბასისტ კრის ვუდს სწორება პიანისტ ჯონ მედესკიზე აქვთ. სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ ბენდის შემოქმედებითი ლიდერი, რომლის ყოველი ჟესტი, თუ წამის მეათედში მოფიქრებული აკორდი კომპოზიციის დანარჩენ ნაწილს განაპირობებს. განსაკუთრებული იყო მისი საფორტეპიანო სოლოები, რომლებიც ერთდროულად იყო მძლავრი გრიგალიც, ნაზი ყვავილის გაშლა და ყმაწვილური ანცობაც.

შეიძლება ითქვას, რომ ბენდით წევრებს ურთიერთობის ჰარმონიულობის უჩვეულო სისტემა გააჩნიათ.

გაგრძელება A9 გვერდზე

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## განცხადება

გუშინწინ საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში დებატების გამართვა ითხოვა.

მივმართავ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას, თუ ეთერი დაეთმობა საპატრიარქოს, მოვითხოვ ღია, პირდაპირი ეთერის დათმობას ჩემთვისაც, ვინაიდან დღეს ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და საპატრიარქოც ცდილობენ ის დისკუსია, რომელიც მე წამოვიწყე, დაიყვანონ იმ იაფფასიან რგოლებამდე, რომელიც ამ დისკუსიის დროს განვათავსე ჩემს პირად გვერდზე facebook-ში.

არსებობს კითხვები, რომლეზედაც პასუხი უნდა გასცეს საპატრიარქომაც და ხელისუფლებამაც.

მიმაჩნია, რომ დისკუსიაში დაცული უნდა იქნას ბალანსი და თანაბარი რაოდენობით უნდა იყვნენ დებატებში წარმოდგენილი როგორც საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც კითხვები და პრეტენზიები გააჩინია, ასევე საპატრიარქოს წარმომადგენლები.

*თეა თუთბერიძე*

## ზურაბ წერეთელმა მოსკოვში საკუთარი სახლ-მუზეუმი გახსნა

მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე, გუშინ ზურაბ წერეთელმა საკუთარი სახელობის სახლ-მუზეუმი "ზურაბ წერეთელის შემოქმედებითი სახელოსნო" გახსნა. ამის შესახებ სააგენტო "ინტერფაქსი" იუწყება. მისი ინფორმაციით, ოთხსართულიანი შენობის გახსნას რუსეთის სამხატვრო აკადემიიის პრეზიდიუმის წევრებიც ესწრებოდნენ.

წერეთლის განცხადებით, სახლ-მუზეუმში აკადემიის სტუდენტებისთვის და ბავშვებისთვის მასტერ-კლასებს ჩაატარებს.

ხელოვანს უკვე აქვს სახელოსნოები საქართველოში, ესპანეთსა და აშშ-ში. ასევე მოსკოვში, პრეჩისტენკის ქუჩაზე "ზურაბ წერეთლის ხელოვნების გალერეა" მდებარეობს.

წელს ზურაბ წერეთელს 75 წელი შეუსრულდა. საიუბილეოდ მისი ნამუშევრების გამოფენა ტრეტიაკოვის და რუსულ გალერეაში გაიმართა.

## საქალაქო სასამართლოსთან 30 ოქტომბერს აქცია გაიმართება

თბილისის საქალაქო სასამართლოსთან აქციას გამართავენ ახლად შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია და მიზნობრივი ჯგუფების ერთობლივ ფონდში შემავალი ჯგუფები.

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის "ჩვენი უფლებისთვის" თავმჯდომარემ დავით ლილუაშვილმა განაცხადა, რომ ე.წ. მუხროვანის ამბოხში სამხედროების უკანონო პატიმრობასა და სააკაშვილის რეჟიმის მიერ წარმოებულ პროვოკაციას გააპროტესტებენ.

აქციაში ჟურნალისტთა მონაწილეობას მიიღებენ გაერთიანება "ობიექტივი", "7 ნოემბერი", "გადაარჩინე სიცოცხლე", "ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირები", კოალიცია "ჩვენი უფლებებისთვის". აქცია 14:00 საათზე დაიწყება.

მუხროვანის სამხედრო ამბოხება 2009 წლის 5 მაისს მოხდა. ბრალდებულები ლიდერებთან - ლევან ამირიძესა და კობა ოთანაძესთან ერთად, 21 მაისს თიანეთის გზატკეცილზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს. ოპერაციის ჩატარებისას ორმხრივ სროლას ამავე დანაშაულისთვის ძებნილი გია კრიალაშვილი ემსხვერპლა.

## რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა საპროტესტო აქცია გამართეს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა სახელმწიფო არქივის რუსთავის ტერიტორიული ორგანოს სამსახურის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.

მეტალურგიული ქარხნის ყოფილი და ამჟამინდელი თანამშრომლები არქივის ხელმძღვანელობისგან სახელფასო დავალიანების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის გაცემას მოითხოვდნენ.

აღნიშნული ცნობები, ადვოკატ სოფიო ოდიშარიას განცხადებით, სასამართლოში სარჩელის შესატანად სჭირდებათ, რათა 1997 წლიდან დღემდე დაგროვილი სახელფასო დავალიანება სამართლებრივი გზით მოითხოვონ.

აქციის მონაწილეთა თქმით, სასამართლოს ერთხელ უკვე მიმართეს, თუმცა რუსთავის სასამართლომ სასარჩელე განცხადების არასრულფასოვნების გამო საჩივრის მიღებაზე უარი თქვა და სახელფასო დავალიანების დამადასტურებელი ოფიციალური ცნობები მოითხოვა.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეები გუშინ აქციის მსვლელობისას აცხადებდნენ, რომ რუსთავის არქივის ხელმძღვანელობა ცნობების გაცემის პროცესს შეგნებულად აჭიანურებს, არქივის ხელმძღვანელობაზე კი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება.

რუსთავის არქივის ხელმძღვანელ დავით ფილიშვილის მტკიცებით, მასზე არანაირი ზეწოლა არ ხორციელდება. იგი განმარტავს, რომ არქივის თანამშრომლები ცნობების გაცემას დღეიდან შეუდგებიან, თუმცა ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა და გარკვეული დრო დასჭირდება.

მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, არსებული ინფორმაციით, დღემდე მილიონ ლარამდე სახელფასო დავალიანება დაუგროვდათ.

# საქართველოს საკითხი ევროპარლამენტში

ევროპარლამენტის სხდომაზე რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ დებატები გაიმართა. დეპუტატებმა ტალიავინის კომისიის მიერ მომზადებული ანგარიში განიხილეს. ევროპარლამენტარებმა ტალიავინის დოკუმენტზე საუბრისას ყურადღება გაამახვილეს იმ საკითხებზე, რაც ევროპამ უნდა გაითვალისწინოს. ისინი მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ უფრო სწრაფად და მკაცრად უნდა იმოქმედოს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ვითარება იმდენად იძაბება, რომ შესაძლოა ღია კონფლიქტში გადაიზარდოს. ევროპარლამენტში საქართველოს განსაკუთრებული მხარდაჭერა ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა გამოუცხადეს. გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ რუსეთმა არა მხოლოდ დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, არამედ საფრთხე შეუქმნა ევროპის უსაფრთხოებას. მათი თქმით, ევროკავშირმა არაერთხელ გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა. ევროკავშირი დღესაც ამ პოზიციას იზიარებს და ცდილობს, მომავალში თავიდან აიცილოს კონფლიქტების განვითარება. როგორც ევროპარლამენტის წევრმა ტალენ ზორანმა სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა, **"ტალიავინის კომისიამ დაადგინა, რომ ორივე მხარემ დაარღვია საერთაშორისო სამართალი. თუმცა, შექმნილ ვითარებაში ცხადია, რომ რუსეთმა უნდა დატოვოს ოკუპირებული ტერიტორია, მანამდე კი დაუყოვნებლივ უნდა დაუშვას ჰუმანიტარული მისიების მიმოსვლა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ასევე, 25 ათასზე მეტ ადგილნაცვალ პირს უნდა მიეცეს სახლებში დაბრუნების საშუალება. ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. გარდა ამისა, საქართველოს შიდა პრობლემებიც აქვს, მათი მოგვარება აუცილებელია, რათა ქვეყანა დარჩეს განვითარების დემოკრატიულ რელსებზე."**

ევროპარლამენტში, რომელიც ერთადერთი საერთაშორისო ინსტიტუტია, სადაც წევრებს პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით ირჩევენ, ესტონეთის წარმომადგენელ კრისტინა ოჯულანდის განცხადებით, **"ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხსენებაში მკაფიოდ წერია - ომის დაწყებამდე რუსეთის ფედერაციამ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო წვრთნები ჩაატარა. გარდა ამისა, დასკვნაში ნათქვამია, რომ რუსეთი მოსახლეობის პასპორტიზაციას ატარებს."** მისი აზრით, ეს არის საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა და არ არის კეთილმეზობლური ურთიერთობის საუკეთესო მაგალითი. დეპუტატი მიიჩნევს, რომ რუსეთის ამ ქმედებამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანები, რა თქმა უნდა, ვერ აქცია რუსეთის მოქალაქეებად, ისინი კვლავ რჩებიან საქართველოს მოქალაქეებად. **"ჩვენ აქ ბევრს ვსაუბრობთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე და აღდგენაზე, მე მაქვს კითხვა - როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? წელს ჩვენ ვიზეიმეთ ბერლინის კედლის დანგრევის იუბილე, როდის ვიზეიმებთ იმ კედლის დანგრევას, რომელიც ოსეთზე გადის?"** - განაცხადა ოჯულანდმა.

საქართველოს საკითხზე საუბრისას ევროპარლამენტარებმა ყურადღება შეაჩერეს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში საქართველოს მონაწილეობაზე.

სხდომაზე ითქვა, რომ პროგრამის ფარგლებში ქვეყნისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებაც მოლაპარაკებები დასკვნით ფაზამდეა მისული. აგრეთვე, მოლაპარაკებები მიმდინარეობს საქართველოსთან ახალი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ისევ ტყვეობაში

ნათია მსხილაძე

*გუშინ ოსმა სეპარატისტებმა კონფლიქტის ზონაში კიდევ 5 ქართველი დააკავეს. შემთხვევა ამჯერად ქარელის რაიონში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ბრალად საზღვრის უკანონო გადაკვეთა ედებათ.*

გუშინვე, მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები 26 ოქტომბერს რუსი ოკუპანტების მიერ სოფელ გრემისხევში დაკავებული 16 ქართველის გათავისუფლების შესახებ. მათ, სავარაუდოდ, დღეს, ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლებენ. **"საქმე უკვე გენერალურ პროკურატურას გადაეცემა. მათ, სავარაუდოდ, ადმინისტრაციულ სასჯელს დააკისრებენ და ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლებენ. ეს ალბათ, დღეს დღის ბოლომდე მოხდება,"** - განაცხადა ახალგორის ოსური ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ბარათაშვილმა

ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. რწმუნებულის პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბორის ჩოჩიევის განცხადებით, დაკავებულების გათავისუფლება-არგათავისუფლების საკითხის გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გადასაწყვეტია.

ქართული მხარე რუსების ქმედებას საოკუპაციო ძალების მიერ ჩადენილ მორიგ დანაშაულსა და პროვოკაციას უწოდებს და კატეგორიულად მოითხოვს უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო უწყებას საპროტესტო ნოტა უკვე გაუგზავნა. ნოტაში ნათქვამია, რომ გატაცებული პირები დღემდე უკანონოდ არიან დატყვევებულნი ოკუპირებული ახალგორის რაიონის ე.წ. "პროკურატურაში".

საგარეო უწყებამ აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ლორენცო ამბერგს, როგორც შუამავალი ქვეყნის წარმომადგენელს, უკვე გადასცა.

რუსეთის ფედერაციისგან უკანონოდ დაკავებული ქართველების გათავისუფლებას ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ითხოვს "ალიანსი საქართველოსთვისაც".

როგორც ალიანსის საგანგებო განცხადებაშია აღნიშნული, დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევიდან ე.წ. მესაზღვრეების მიერ საქართველოს 16 მოქალაქის გატაცება რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ჩადენილ მორიგ დანაშაულსა და პროვოკაციას წარმოადგენს. **"მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, არ მისცეს რუსეთის ფედერაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შემდგომი ესკალაციის საშუალება, ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან თანამშრომლობით მიიღოს შესაბამისი ზომები საკუთარი მოსახლეობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით,"** - ნათქვამია განცხადებაში.

"ალიანსი საქართველოსთვის" მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, აქტიურად ჩაერთოს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში და ხელი შეუწყოს ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ფარგლებში მხარეებს შორის შეხვედრის დაუყოვნებლივ გამართვას.

# არასაპარლამენტო ოპოზიცია კონსულტაციებს აგრძელებს

გუშინ "მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ოფისში არასრული შემადგენლობით შეკრებილი არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიან სამოქმედო გეგმაზე მსჯელობდა.

შეხვედრა სამ საათს გაგრძელდა, თუმცა ლიდერები ერთიან გეგმაზე ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ გაირკვა, არასაპარლამენტო ოპოზიციის ძირითადი მესიჯი ისევ მათი გააქტიურებაა. **"ჩვენ სამუშაო შეხვედრა გვქონდა. კონკრეტულად ვაპირებთ, რომ განვახლოთ აქტიური ქმედებები,"** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

განსახილველ საკითხთა შორის გუშინ 7 ნოემბერიც იყო. არასაპარლამენტო ოპოზიცია ამ დღეს ჯერ კონფერენციის, შემდეგ კი მანიფესტაციის გამართვას გეგმავს. **"ეს იყო ძირითადი თემა, რომლის ირგვლივაც ვიმსჯელეთ. კონსულტაციები კიდევ გაგრძელდება და საბოლოოდ შევაჯერებთ პოზიციებს, თუ როგორ აღვნიშნავთ 7 ნოემბერს,"** - განაცხადა "მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ეკა ბესელიამ.

"კონსერვატორ" კახა კუკავას განცხადებით კი, მიმდინარე კონსულტაციების დასრულების შემდეგ ყველა თავად გააკეთებს განცხადებას საკუთარ გადაწყვეტილების შესახებ.

გუშინდელ შეხვედრას არ დასწრებიანნ "ალიანსი საქართველოს", "ლეიბორისტული პარტიის", ლევან გაჩეჩილაძის მოძრაობის წარმომადგენლები. მათ განაცხადეს, რომ მოწვევა არ მიუღიათ. შესაბამისად, არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის გეგმებიც უცნობია. **"მოწვევა არ მიგვილია, მაგრამ ამ შეკრების მიმართ ჩვენი მხრიდან რაიმე საწინააღმდეგოს ვერ ვხედავ,"** - განაცხადა "ალიანსი საქართველოსთვის" წევრმა ვიქტორ დოლიძემ.

მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა "ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენელმაც. **" ჩვენ მოწვევა არ მიგვიღია. არც იმ საკითხთა ნუსხა ვიცით, რაზე იყო საუბარი. რაც არ უნდა ყოფილიყო, წარმატებას ვუსურვებთ მათ,"** - აღნიშნა "ლეიბორისტმა" გიორგი გუგავამ.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# პანკისში მონიტორინგის ჯგუფი ჩადის

პირველი გვერდიდან

განაცხადა თარგამაძემ და დასძინა, რომ მოვლენები ზუსტად ისე ვითარდება, როგორც იწყებოდა პანკისის კრიზისი 2001 წელს.

ცნობისათვის - 13 ოქტომბერს რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბორტნიკოვმა განაცხადა, რომ **"ქართული სპეცსამსახურები "ალ კაიდას" ემისრებს მებრძოლებისა და შეიარაღების ჩეჩნეთსა და დაღესტანში გაგზავნაში ეხმარებოდნენ."**

რუსული მხარის ეს განცხადება დაემთხვა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ვიზიტს მოსკოვში. ამ განცხადებას, ცხადია, მოჰყვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება, თუმცა ცხადია ისიც, რომ საკითხი ამით არ ამოწურულა.

ქართულმა მხარემ რუსული განცხადება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან მორიგი ოპერაციის ჩატარების პირდაპირ მუქარად აღიქვა. მსგავსი მუქარები საქართველოში, როგორც გიორგი თარგამაძემაც აღნიშნა, კარგად ახსოვთ ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან, როცა საქართველომ პანკისის ხეობაში "წერტილოვანი დარტყმების" ანუ ფაქტობრივი ინტერვენციის მუქარა პანკისის ცნობილი სპეცოპერაციით აიცილა თავიდან.

ამ ოპერაციაში, სხვათა შორის, დღევანდელი ოპოზიციონერი ირაკლი ალასანიაც მონაწილეობდა, რომელიც ამ დღეებში რუსეთის მხრიდან პანკისის თემის კვლავ წამოწევას განცხადებით გამოეხმაურა და ამ თემაზე გუშინ საქართველოში აკრედიტებულ დიპკორპუსის წარმომადგენლებსაც ესაუბრა. სხვათა შორის, კვირის დასაწყისში სწორედ ირაკლი ალასანიამ მოუწოდა ხელისუფლებას, ბრალდებების გასაბათილებლად დაუყოვნებლად მიელო ზომები და პანკისის ხეობაში დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლების მონიტორინგი მოეწყო. **"შევახვედროთ ისინი მოსახლეობას, ადგილობრივმა სამართალდამცავებმა კი პანკისის ხეობაში ოპერატიული ვითარების რეალური სურათი უნდა დაუხატონ. ეს რაც შეიძლება სწრაფად არის გასაკეთებელი,"** - განაცხადა მან.

ოთხშაბათს კი დეპუტატმა "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ნიკა ლალიაშვილმა ანალოგიური ინიციატივა გაახმოვანა და განაცხადა, რომ საქართველოში ტერორისტების არსებობის შესახებ რუსეთის ბრალდებების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად, ქართველი და უცხოელი ექსპერტებით, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც 29 ოქტომბერს პანკისის ხეობას ეწვევა.

თუმცა, სანამ სპეციალური ჯგუფი ჩამოყალიბდებოდა, იმავე "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივით, გუშინ პანკისის თემა დახურულ კარს მიღმა განიხილეს.

ცნობისათვის - ნდობის ჯგუფში სულ 5 დეპუტატი შედის, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე თბილისში არყოფნის გამო გუშინდელ შეხვედრას არ დასწრებია. ნდობის ჯგუფის შეხვედრა, რეგლამენტის მიხედვით, როგორც წესი, დახურულ ფორმატში მიმდინარეობს და დეპუტატები ვალდებულნი არიან, იქ მოსმენილი ინფორმაციის საიდუმლოება დაიცვან.

თუმცა, შეხვედრის დასრულების შემდეგ სხდომის მომხსენებლებმა რამდენიმე კომენტარი გააკეთეს.

საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელ გელა ბეჟუაშვილის განცხადებით: **"არა მხოლოდ პანკისის ხეობა, არამედ ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრის მთელი მონაკვეთი რუსეთის მხრიდან პროვოკაციების საფრთხეს წარმოადგენს."** მისი განმარტებით, ასევე საზღვაო ზოლიც. ბეჟუაშვილის თქმით, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციების პრევენციის მიზნით მზადდება ახალი სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების გზები. სხვა დეტალების დაკონკრეტებისგან გელა ბეჟუაშვილმა თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ მან მისი უწყების ხელთ არსებული შესაბამისი ინფორმაცია ნდობის ჯგუფის ფორმატში წარადგინა.

ბეჟუაშვილს, ასევე, კონკრეტულად არაფერი უთქვამს პანკისში მონიტორინგის ჯგუფის ჩასვლის შესახებ "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივაზე.

საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, დეპუტატებს ამის უფლება აქვთ, მისი კომპეტენცია კი საქართველოს საზღვრებს გარეთ ვრცელდება.

სხდომის შემდეგ ჟურნალისტებისთვის კომენტარი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზაზა გოგავამაც გააკეთა. გოგავამ დეზინფორმაცია უწოდა რუსეთის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების განცხადებებს საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბოევიკების არსებობის შესახებ და აღნიშნა, რომ 2008-2009 წლების განმავლობაში საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის მონაკვეთზე არანაირი შეიარაღებული დაჯგუფების გადაადგილებას ადგილი არ ჰქონია. ზაზა გოგავას თქმით, მისი უწყება საზღვრების კონტროლს ეფექტურად ახორციელებს და რუსეთის მხრიდან შესაძლო პროვოკაციების პრევენციის მიზნით კონტროლის ხარისხი კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან, გოგავამ განაცხადა, რომ იზიარებს "ქრისტიან-დემოკრატების" წინადადებას საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიების ინსპექტირების მიზნით სპეციალური მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ და მიიჩნევს, რომ ასეთი ჯგუფის ჩამოყალიბება ცრუ ბრალდებებს გააქარწყლებს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივით შემდგარი სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი დღეს პანკისის ხეობაში ჩავა. ჯგუფის ფარგლებში პანკისის ხეობაში ჩავლენ უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, შვედეთის, უკრაინის, საფრანგეთის, ესტონეთის, ჩეხეთის, აშშ-ს საელჩოების წარმომადგენლები, ირანისა და ჩინეთის ელჩები და ასევე ლიტვის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი. "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივას ასევე შეუერთდნენ ევროკომისიის, ევროსაბჭოს და ევროკავშირის წარმომადგენლობები საქართველოში. პანკისის ხეობას ასევე ეწვევიან სამოქალაქო სექტორიდან "თავდაცვისა და უსაფრთხოების" საბჭოში შემავალი ექსპერტები, ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე და NDI-ს წარმომადგენლები. ქართული მედია-საშუალებების გარდა, მონიტორინგის გასაშუქებლად პანკისის ხეობაში "ბი-ბი-სი"-სა და "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტები, ასევე რუსული მედიასაშუალებების "რია ნოვოსტისა" და ტელეკომპანია "მირის" წარმომადგენლები ჩადიან. როგორც "ქრისტიან-დემოკრატების" წევრმა ნიკა ლალიაშვილმა განაცხადა, **"მონიტორინგის ჯგუფის წევრები შემოივლიან ყველა იმ ადგილს, სადაც თავის დროზე, 2001-2002 წლებში შეიარაღებული დაჯგუფებები მართლაც იმყოფებობდნენ. იგეგმება სოფელ დუისსა და ჯოყოლოში ჩასვლა და ხადორ-ჰესის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით პანკისის ხეობის დათვალიერება."** "ქრისტიან-დემოკრატებიდან" პანკისის ხეობაში გიორგი თარგამაძე და ნიკა ლალიაშვილი გაემგზავრებიან.

# პოლონეთის მაგალითი ევროპისთვის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის შეხვდა. პრეზიდენტები ოთხი საათის განმავლობაში საუბრობდნენ. მოგვიანებით კი სააკაშვილმა პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკთან ერთსაათიანი მოლაპარაკებები გამართა. გარდა ამისა, სააკაშვილი შეხვდა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. ქვეყნის პირველ პირებთან სააკაშვილმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოში სახეზეა რუსეთის ოკუპაცია და ეთნიკური წმენდა. ამავე დროს, დაიდო ევროკავშირის დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფის დასკვნა, რომლის ცალკეულ პუნქტებს საქართველო არ ეთანხმება. თუმცა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა დასძინა, რომ ამ დოკუმენტში დადასტურდა ის, რასაც საქართველო ამბობდა, ასევე გაცხადდა, რომ რუსეთის მტკიცებულებები სიმართლეს არ შეესაბამება.

27 ოქტომბერს პოლონეთში საქართველოსა და პოლონეთის ლიდერებმა, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებთან ერთად, ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხიც განიხილეს. მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილმა პოლონეთს მადლობა გადაუხადა. **"ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ პოლონეთის, არა მხოლოდ მათი პიროვნული დამოკიდებულებისთვის ქართველი ერის მიმართ, არამედ იმ პოლიტიკური გზავნილების გამო, რომელიც მუდმივად გვესმის სხვადასხვა საერთაშორისო დონეზე. საქართველოსთვის ასეთი განცხადებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კარგად იცით, რომ საქართველო სასწაულებრივ გადაურჩა სრულ კატასტროფას და ის ფაქტი, რომ ჩვენ არა მხოლოდ გადავრჩით, არამედ წამყვან ადგილებს ვიკავებთ მსოფლიო ეკონომიკურ რეიტინგებში, მნიშვნელოვნად ცვლის სიტუაციას ცენტრალურ აზიასა და სხვა რეგიონებში,"** - განაცხადა სააკაშვილმა. მისი თქმით, პოლონეთმა ძალიან კარგად იცის, რა მოხდა საქართველოში გასულ წელს, მაგრამ საჭიროა, ეს დანარჩენმა ევროპულმა ქვეყნებმაც გააცნობიერონ. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობა გაგრძელდება და ეს, პრეზიდენტის აზრით, ნამდვილად მაგალითია ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის.

*საკუთარი ინფორმაცია*

# გიორგი ბარამია: "რაულ ხაჯიმბასა და ბესლან ბუთბას დაჯგუფებებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა"

აფხაზეთის ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს შორის უთანხმოება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ ისაუბრა

"მწვავე უთანხმოებაა თავად ოპოზიციურ ძალებს შორის. კერძოდ, ფიზიკური დაპირისპირება მოხდა რაულ ხაჯიმბასა და ბესლან ბუთბას შორის. აფხაზეთში პოლიტიკური ფონი დღითიდღე იძაბება," - განაცხადა ბარამიამ.

მისივე ინფორმაციით, რუსულმა მხარემ აფხაზეთში უკვე დიდი რაოდენობით ჟურნალისტები ჩაიყვანა, რომლებიც აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს გააშუქებენ. "წინასწარ მიიღეს ზომები, რათა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას რაიმე პროვოკაციის შემთხვევაში ყველაფერი ქართულ მხარეს გადააბრალონ. ეს ჟურნალისტები სწორედ ამ მიზნით ჩაიყვანეს აფხაზეთში," - აღნიშნა ბარამიამ. სოხუმის მარიონეტული რეჟიმი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას 12 დეკემბერს გეგმავს.

## პაატა დავითაია: გალის რაიონში საოკუპაციო ჯარების გაძლიერება საპრეზიდენტო არჩევნების გამო ხდება

ქართული მხარე გალის რაიონში რუსეთის საოკუპაციო ჯარების დამატებითი ტექნიკისა და ცოცხალი ძალის შეყვანას აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს. "საზღვრის გამაგრება ხდება და ვფიქრობ, ეს ე.წ. არჩევნებს უკავშირდება. გალის რაიონის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს, რომელთა ხმებიც აუცილებელია იმისთვის, რომ გამარჯვება ბაგაფშმა მოიპოვოს. დამატებით შეიარაღებას ოკუპანტები ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლისთვის გამოიყენებენ," - აცხადებს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია.

ცნობისათვის - გუშინ ღამით, რუსმა ოკუპანტებმა გალის რაიონში შეირაღებული 500-კაციანი ცოცხალი ძალა და მძიმე ტექნიკა შეიყვანეს. ტექნიკისა და ცოცხალი ძალის გადანაწილება ჭუბურხინჯში, საბერიოსა და კიდევ რამდენიმე სოფელში მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჯანშანტექნიკა ენგურჰესთანაც განათავსეს. რუსი ოკუპანტები, სავარაუდოდ, ენგურჰესის მიმდებარე სოფლების ოკუპაციას გეგმავენ. გარდა ამისა, ოკუპანტებმა იმ საგუშაგოების გამაგრებაც დაიწყეს, რომლებიც აგვისტოს ომის შემდეგ დატოვეს.

## გოგა ხაჩიძემ პესტიციდების შეგროვების პროცესში მიიღო მონაწილეობა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი შიდა ქართლში იმყოფებოდა. გოგა ხაჩიძემ სოფელ ოკამში ვადაგასული და ხმარებისთვის უვარგისი პესტიციდების შეფუთვასა და უსაფრთხო განთავსებაში მიიღო მონაწილეობა. ექვს სხვადასხვა ობიექტზე, დაახლოებით, 60 ტონამდე შეგროვებული პესტიციდი რამდენიმე დღეში საგარეჯოს რაიონში სპეციალურად მოწყობილ საწყობში უსაფრთხოდ განთავსდება. პესტიციდების გაუვნებელყოფის პროცესის ყველა ეტაპი, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მოთხოვნების დაცვით ტარდება. პროექტის ფარგლებში 25 ადამიანი დასაქმდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 112 000 ლარი დაიხარჯა.

## პოლიცია კახში მცხოვრებ ქართველებს ქართულად სიმღერასა და ცეკვას უკრძალავს

ინგილოების თქმით, ამ მიმართულებით პოლიცია განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც კახის კულტურის ცენტრი აღარ ფუნქციონირებს. ცნობისათვის - სამი კვირის წინ კახის რაიონში არსებული ერთადერთი კულტურის სახლი ხანძრის შედეგად მთლიანად განადგურდა. საინგილოში მცხოვრები ქართველების ვარაუდით, შენობა სპეციალურად დაწვეს. აღსანიშნავია, რომ იმ საღამოსვე, როცა ხანძარი გაჩნდა, კახის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილემ დამწვარი შენობიდან პირადად ჩამოხსნა აბრა, სადაც ეწერა, რომ შენობაში ქართული კულტურის ცენტრი ფუნქციონირებდა.

კახის რაიონში მცხოვრები ქართველების შევიწროვების შესახებ კახის პოლიციის განყოფილებაში საუბარი არ ისურვეს. კახეთის საინფორმაციო ცენტრი ამ საკითხზე კომენტარისთვის საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოსაც დაუკავშირდა, მაგრამ უშედეგოდ.

კახის რაიონში მცხოვრები ქართველები დახმარებას საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვენ.

## საქართველოს ტყის მასივებში ხანძრი ლოკალიზებულია

როგორც "ინტერპრესნიუსს" გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის უფროსმა პაპუნა ხაჩიძემ განუცხადა, სვანეთში, რაჭასა და ვანი-ჩოხატაურის საზღვარზე ტყის მასივებში ხანძრის შემთხვევები ლოკალიზებულია. მისივე თქმით, კერები თითქმის ლიკვიდირებულია, მაგრამ საბოლოო განცხადებას მხოლოდ წვიმის ნალექის მოსვლის შემდეგ გააკეთებენ. პაპუნა ხაჩიძის თქმით, ხანძრის შედეგად დამწვარია 400 კვადრატული მეტრი ფართობი. ხანძრის გამომწვევ მიზეზად ჰაერის მაღალი ტემპერატურა და დაუდევრობა სახელდება. ხაჩიძემ აღნიშნა, რომ გადამწვარ ტყეებში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება საჭირო არ იქნება, რადგან ხეები დამწვარი თითქმის არ არის, დაიწვა მხოლოდ ბუჩქოვანი ნაწილი.

## "ალიანსი საქართველოსთვის" თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას მიესალმება

"ალიანსი საქართველოსთვის" იმედოვნებს, რომ საგზაო რუკით გათვალისწინებული ღონისძიებები სრულად და დროულად განხორციელდება. მათი აზრით, ამას ხელს შეუწყობს თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება.

"ჩვენ ვუერთდებით დემოკრატიული საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას ამ პროცესის მიმართ. ჩვენი მხრიდან გავაკეთებთ ყველაფერს, რათა საქართველომ თავისი წვლილი შეიტანოს რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საქმეში. ამასთან, იმედს გამოვთქვამთ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით გადადგმული ნაბიჯები ხელს შეუწყობს როგორც საქართველოს წინაშე, ისე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული პრობლემების მოგვარებასა და რეგიონში გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამკვიდრებას," - ნათქვამია "ალიანსის" განცხადებაში.

აქვე ნათქვამია, რომ რეგიონული თანამშრომლობის ახალი პერსპექტივების რეალობად გადაქცევა და სამხრეთ კავკასიის ხალხებისთვის მშვიდობიანი, უსაფრთხო და წარმატებული განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საერთო ამოცანაა.

# საპენსიო სისტემა

პირველი გვერდიდან

## სახელმწიფო და არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო სისტემები

სახელმწიფო საპენსიო სისტემის შექმნა ევროპის ბევრ ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლებოდა სოციალურ სფეროში. ამ სისტემის მოქმედების ძირითადი პრინციპი დამყარებულია იმაზე, რომ სამუშაო ასაკის ადამიანები ამა თუ იმ ფორმით (ძირითადად ეს სოციალური გადასახადის შემოღებით ხდება) იხდიან გადასახადს, რომლის აკუმულირებაც ხდება საპენსიო ფონდში, ხოლო ამ საპენსიო ფონდიდან პენსიები საპენსიო ასაკს მიღწეულ მოქალაქეებზე ნაწილდება. როგორც წესი, განაწილება ხდება დაახლოებით თანაბრად და პენსიის დანიშვნისას მცირე მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი იყო ამა თუ იმ მოქალაქის შენატანი საპენსიო ფონდში. გასაგებია, რომ ბევრ განვითარებად ქვეყანაში ასეთი საპენსიო სისტემა შეუძლებელია არსებობდეს ეკონომიკის სისუსტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სიმცირის გამო. სუსტი ეკონომიკის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, ასეთი სისტემა არსებობს. აღმოჩნდა, რომ ამ სისტემას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვს:

ა) სახელმწიფო საპენსიო სისტემა მძიმე ტვირთია ბიუჯეტისათვის, აგრეთვე შესაბამისი გადასახადის გადამხდელებისათვის. ეს ეხება არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს. ევროპის ქვეყნებში განუხრელად იზრდება საპენსიო ასაკს მიღწეულ მოქალაქეთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში. შესაბამისად იცვლება დასაქმებულთა და პენსიონერთა თანაფარდობა. ითვლება, რომ ასეთი საპენსიო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება აწყდება სიძნელეებს, თუ ერთ პენსიონერზე მოდის სამ დასაქმებულზე ნაკლები;

ბ) გამოთვლილია, რომ თუ ავიღებდით იმ თანხას, რომელსაც გადაიხდის საშუალო მოქალაქე საპენსიო ასაკის მიღწევამდე და მოვახდენდით მის ინვესტირებას მინიმალური შემოსავლიანობით, საპენსიო ასაკის მიღწევისას ამ მოქალაქეს ექნებოდა დაგროვილი კაპიტალის ისეთი ოდენობა, რომელიც მას საშუალებას მისცემდა, მიეღო ბევრად მეტი შემოსავალი, ვიდრე კუთვნილი პენსია. ეს სამართლიანია ევროპის თითქმის ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის, ისეთებისათვისაც სადაც მაღალია პენსიის დონე. ეს გვიჩვენებს, რომ ასეთი საპენსიო სისტემა არ არის მომგებიანი კეთილსინდისიერი მოქალაქეებისთვის;

გ) დასაქმებულთა თანაფარდობის შემცირება პენსიონერთა რიცხვთან იწვევს საგადასახადო წნეხის ზრდას დასაქმებულებზე და განსაკუთრებით ბიზნესზე, რაც უარყოფითად მოქმედებს ბიზნესგარემოზე და ეკონომიკის განვითარებაზე.

გარდა სახელმწიფო საპენსიო სისტემისა, ბევრ ქვეყანაში არსებობს აგრეთვე არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო სისტემაც. არასახელმწიფო საპენსიო სისტემაში მოქმედებს დაგროვების პრინციპი. საპენსიო ფონდის მონაწილე მთელი შრომითი საქმიანობის პერიოდში აკეთებს შენატანებს საკუთარ საპენსიო ანგარიშზე. მისი პენსიის ოდენობა საპენსიო ასაკის მიღწევისას დაგროვილი თანხის ოდენობით განისაზღვრება. ქვეყნის მაგალითი, სადაც პარალელურად არსებობს სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო სისტემა, არის ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც სხვადასხვა ტიპის საპენსიო ფონდები და პროგრამები ქვეყნის ფინანსების 25%-ს აკონტროლებენ. შეერთებული შტატების შემთხვევაში ასეთი სისტემა ძირითადად მოქმედებს დამაკმაყოფილებლად, თუმცა აქ არის გარკვეული ნაკლოვანებები:

ა) არასახელმწიფო საპენსიო სისტემა არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, ამიტომ ბევრი მოქალაქე, რომელსაც თვითდისციპლინა და პასუხისმგებლობა არ ჰყოფნის, საპენსიო ასაკს ყოველგვარი დანაზოგის გარეშე ხვდება. მათი სიბერის უზრუნველყოფისათვის საჭირო ხდება სხვადასხვა ფედერალური და მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, რაც დამატებითი დატვირთვაა ბიუჯეტისათვის;

ბ) საპენსიო ფონდებისა და სქემების შექმნა ძალიან ადვილია, ხოლო მათი საქმიანობის რეგულირება საკმაოდ ლიბერალური, ამასთან გართულებულია ამ ფონდების ფუნქციონირება დიდი რაოდენობის გამო. ეს პრობლემა პერიოდულად თავს იჩენს სხვადასხვა სკანდალებით, რომლებიც დაკავშირებულია საპენსიო ფონდებთან, თუმცა უკანასკნელ ათწლეულებში ასეთი სკანდალების რიცხვი და მასშტაბი მნიშვნელოვნად შემცირდა.

ეს ნაკლოვანებები შესაძლოა არც ისე მტკივნეულია შეერთებული შტატების საპენსიო სისტემისთვის, მაგრამ სხვა ქვეყნებში, ეკონომიკის განვითარების უფრო დაბალი დონით, უფრო დაბალი ფინანსური და სამართლებლივი კულტურით, ასეთი შერეული სისტემის განვითარება ნაკლებ სავარაუდოა. იქმნება დაახლოებით ისეთი მდგომარეობა, როგორიცაა საქართველოში. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია სახელმწიფო საპენსიო სისტემაზე და მხოლოდ დასაქმებულთა უმნიშვნელო ნაწილი - დამატებით არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო უზრუნველყოფაზე.

ანალოგიური პრობლემები იყო რუსეთშიც, სადაც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აგრეთვე მოქმედებდა შერეული საპენსიო სისტემა. მწვავე დემოგრაფიული პრობლემები იყო მთავარი მიზეზი, რამაც დააჩქარა საპენსიო სისტემაში დაგროვების პრინციპის დამკვიდრება. რეფორმა ჩატარდა რუსული ტრადიციის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფომ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი ყოველგვარ საზოგადოებრივ პროცესში. მოქალაქეების საპენსიო შენატანები სოციალური გადასახადიდან გადაირიცხება, რომელსაც იხდის დამქირავებელი. ამასთან, შედარებით ახალგაზრდა მოქალაქეების შენატანი იყოფა სადაზღვევო და დაგროვებით ნაწილად. შენატანის დაგროვებითი ნაწილი დაირიცხება მოქალაქის პერსონალურ ანგარიშზე. ეს თანხა მას შეუძლია განსაკარგად გადასცეს რომელიმე აქტივების მმართველ კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე არ აკეთებს ასეთ არჩევანს, ამას გააკეთებს თავად საპენსიო ფონდი. საპენსიო ასაკის მიღწევისას პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხა დამატებითი პენსიისთვის გამოიყენება, რომელიც სავალდებულო პენსიას დაემატება.

გაცილებით უფრო რადიკალური იყო საპენსიო რეფორმა, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში განხორციელდა და რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო სისტემის თითქმის მთლიან გაუქმებას, მის შეცვლას არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო ფონდებით, რომელთა საქმიანობაც მკაცრად რეგულირდება, სავალდებულო საპენსიო დაზღვევას ამ ფონდებში, საპენსიო სისტემის გადაყვანას მთლიანად დაგროვების პრინციპზე. ასეთი რეფორმის წარმატებული მაგალითებია სინგაპური და, განსაკუთრებით, ჩილე. ყველა შემდგომი საპენსიო რეფორმა, რომელიც სხვა ქვეყნებში განხორციელდა, მათ შორის განვითარებული ეკონომიკის მქონე ევროპულ სახელმწიფოებში, ითვალისწინებდა ამ ქვეყნების, განსაკუთრებით ჩილეს, გამოცდილებას.

## საპენსიო სისტემა საქართველოში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საპენსიო სისტემა შედგება სახელმწიფო საპენსიო სისტემისაგან, რომელიც ამჟამად თითქმის მთლიანად მოიცავს საპენსიო უზრუნველყოფას ქვეყანაში, და ახლად შექმნილი არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემისაგან, რომლის მასშტაბებიც ჯერჯერობით უმნიშვნელოა. არსებობს ორი მთავარი ფაქტორი, რომელიც საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობას განაპირობებს:

ა) საქართველოს ეკონომიკა უაღრესად სუსტია იმისათვის, რომ ასეთი ტიპის საპენსიო სისტემის შენახვა შეძლოს;

ბ) ისევე, როგორც ევროპის ქვეყნებში საქართველოშიც აქტუალურია პენსიონერთა ხვედრითი წილის ზრდის პრობლემა მოსახლეობაში. დასაქმებულთა თანაფარდობა პენსიონერებთან ცოტათი თუ აღემატება ერთს.

გასაგებია, რომ არსებული საპენსიო სისტემა ბევრ პრობლემას უქმნის საქართველოს ფინანსურ სისტემას და ბიუჯეტს. ამასთან, ეს პრობლემა არის არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ ის იქნება აქტუალური მომავალი მრავალი წლის განმავლობაში და მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას, წარმოშობს სოციალურ პრობლემებს. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ საპენსიო სისტემის რეფორმის დადებითი შედეგები ქვეყანამ შეიძლება იგრძნოს მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საპენსიო რეფორმა დაიწყოს შესაძლო მოკლე ვადებში.



## საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში - მოსამზადებელი სამუშაოები

საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის დაგეგმვის და წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რომელთა მიზანიცაა: ჩამოყალიბდეს რეფორმის ძირითადი მიზნები და მიმართულებები, განისაზღვროს ჩატარების ვადები და შესაძლო ხარჯები, აგრეთვე რეფორმის შედეგები, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. შეიძლება გამოვყოთ ასეთი სამუშაოების სამი ძირითადი მიმართულება:

## საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ითვალისწინებს ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ქვეყნის საპენსიო სისტემის მიმოხილვას, საპენსიო სისტემის რეფორმებისა და ამ რეფორმების შედეგების შესწავლას.

მიზანშეწონილია განვიხილოთ შემდეგი ქვეყნების საპენსიო სისტემები:

ა) ამერიკის შეერთებული შტატები; ეს ქვეყანა ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი საპენსიო სისტემა წააგავს საქართველოს საპენსიო სისტემას, თუმცა ფუნქციონირებს წარმატებულად. ქართული და ამერიკული საპენსიო სისტემების საფუძვლიანი შედარებითი ანალიზი საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ დასკვნა: შესაძლებელია თუ არა არსებული ქართული საპენსიო სისტემის გაუმჯობესება მისი კარდინალური ცვლილებების გარეშე, მაგალითად, არასახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარების ხელშეწყობით.

ბ) ჩილე და სინგაპური; ნებისმიერი ქვეყნის საპენსიო სისტემის რეფორმისათვის აუცილებელია ამ ქვეყნების გამოცდილების გათვალიწინება.

გ) ესტონეთი; ეკონომიკური რეფორმების მხრივ ესტონეთი არის სამაგალითო ქვეყანა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. ამიტომ საინტერესოა მისი საპენსიო სისტემის განხილვაც.

დ) დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანა, რომელშიც უკანასკნელ წლებშიც განხორციელდა საპენსიო რეფორმა. სავარაუდოდ, ეს ქვეყანა შეიძლება იყოს საფრანგეთი;

ასეთ ქვეყანაში ჩატარებული საპენსიო რეფორმის შესწავლა სასარგებლოა, რათა ჩვენი რეფორმის ჩატარებისას გავითვალისწინოთ მისი ტემპები, შედეგები, შესაძლო სოციალური დაძაბულობა, მოკლედ, ყველა პრობლემა, რომელიც მსგავსი მასშტაბური რეფორმის ჩატარებისას წამოიჭრება.

## ქართული საპენსიო სისტემის ანალიზი

საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა საშუალებას მოგვცემს, გაცილებით ღრმად გავაანალიზოთ ქართული საპენსიო სისტემის წინაშე მდგარი პრობლემები. ამ ანალიზის შედეგი უნდა იყოს სისტემის რეფორმის რამდენიმე შესაძლო მოდელის შემუშავება. მიუხედავად განსხვავებებისა, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ამ მოდელებში, მათ უნდა აერთიანებდეს შემდეგი: საქართველოს საპენსიო სისტემაში უნდა დამკვიდრდეს დაგროვების პრინციპი და უნდა გაიზარდოს არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო სისტემის როლი.

რეფორმის შესაძლო მოდელების შერჩევისას საჭირო იქნება ვუპასუხოთ რამდენიმე კითხვას:

ა) რეფორმის შედეგად უნდა დარჩეს თუ არა საქართველოში სახელმწიფო საპენსიო სისტემა, თუ რაღაც დროის შემდეგ მოხდება მისი სრული ლიკვიდაცია და დარჩება მხოლოდ არასახელმწიფო საპენსიო სისტემა?

ბ) თუ გათვალისწინებული იქნება გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფო საპენსიო სისტემის ლიკვიდაცია, როგორ უნდა განისაზღვროს რეფორმის ვადები და თანმიმდევრობა?

გ) როგორი იქნება საპენსიო სისტემის რეფორმის ზეგავლენა ბიუჯეტზე რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე?

## საპენსიო რეფორმის მოდელების შეფასება და ანალიზი

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბებული იქნება საპენსიო სისტემის რამდენიმე მოდელი, საჭირო იქნება მათი შეფასება და ანალიზი. შეფასებისთვის გამოყენებული უნდა იქნას აქტუალური და გამოყენებითი მათემატიკის მეთოდები. უნდა შეფასდეს საპენსიო სისტემის რეფორმის ამა თუ იმ მოდელის შემთხვევაში შესაძლო შედეგები ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის, ბიუჯეტისთვის. შეფასების შედეგად შესაძლო იქნება ამოვირჩიოთ საპენსიო რეფორმის რომელიმე მოდელი და მოვახდინოთ მისი კორექტირება და ოპტიმიზაცია.

## შერჩეული მოდელის კორექტირება და ოპტიმიზაცია

საპენსიო რეფორმის მოდელის არჩევის შემდეგ, საჭირო იქნება მოხდეს ამ მოდელის კორექტირება და ოპტიმიზაცია, სხვა სიტყვებით, მოდელის მორგება საქართველოში არსებულ სოციალურ- ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნას

ა) ქართული საპენსიო სისტემის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები;

ბ) საპენსიო სისტემის რეფორმის მოდელის მათემატიკური შეფასების შედეგები.

მას შემდეგ, რაც არჩეული იქნება საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართულება, უნდა მომზადდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონებში და სხვა ნორმატიულ აქტებში.

## საპენსიო სისტემის რეფორმის ძირითადი პრობლემები

უკვე ახლა შეიძლება ვთქვათ, თუ რა ძირითად პრობლემებს წავაწყდებით საპენსიო სისტემის რეფორმის და არასახელმწიფო საპენსიო სისტემის დანერგვის დროს. პირველი დიდი პრობლემა იქნება რეფორმის ჩატარების ვადა. თუ ჩვენ მოქალაქეების მონაწილეობას არასახელმწიფო საპენსიო სისტემაში აუცილებელს არ გავხდით, მაშინ რეფორმა უსაშველოდ გაიწელება. უფრო სწორად, ეს იქნება დარჩენა დღევანდელ სიტუაციაში, ანუ ერთი ადგილის ტკეპნა. მეორეს მხრივ, თუ ჩვენ არასახელმწიფო საპენსიო სისტემას გავხდით აუცილებელს, მაშინ შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი გადასახადის შემოღება. ახალი გადასახადის შემოღებას შეიძლება ავარიდოთ თავი, თუ შევთანხმდებით, რომ ყოველი მოქალაქის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილი წავიდეს ამ მოქალაქის დაგროვებით საპენსიო ანგარიშზე.

მეორე დიდი პრობლემა არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა საქართველოში. საქმე იმაშია, რომ საპენსიო სისტემები, როგორც წესი ახორციელებენ საპორთფელო ინვესტიციებს, განათავსებენ რა თავიანთ აქტივებს ფასიან ქაღალდებში და თითქმის არასოდეს ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს. საპენსიო სისტემის რადიკალური რეფორმის

პირველივე წლებში დაგროვებით საპენსიო ანგარიშებზე აკუმულირდება ასობით მილიონი ლარი, რომელთა განთავსება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დღესდღეობით შეუძლებელია. გამოსავალი შეიძლება იყოს განვითარებული ქვეყნების ფასიანი ქაღალდები. გარდა ამისა უნდა დაშვებული იყოს საპენსიო აქტივების ნაწილის პირდაპირი ინვესტიციები ქართულ ეკონომიკაში.

მესამე პრობლემა ეს არის საპენსიო აქტივების კვალიფიცირებული მართვა მმართველი კომპანიების მიერ და ეფექტური ზედამხედველობა და რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი ჯერჯერობით ძალიან ეფექტური იყო საბანკო ზედამხედველობის საქმეში და უნდა ველოდოთ, რომ ის ასეთივე იქნება, როგორც არასახელმწიფო საპენსიო სისტემის ზედამხედველი.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საპენსიო რეფორმა მოითხოვს ძალიან დიდ ძალისხმევას მთავრობისგან, რომელსაც ისედაც ბევრი პრობლემა აქვს მსოფლიო კრიზისიდან გამომდინარე. გარდა ამისა რეფორმა დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან. მიუხედავად ამისა შესაძლებელია დღეს დაიწყოს რეფორმის თავდაპირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს უფრო ინტენსიურ მუშაობას სისტემის ანალიზის და რეფორმის პროგრამის შემუშავების კუთხით.

## არასახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარების ეფექტი ფინანსურ სისტემაზე

არასახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარებას უდიდესი ეფექტი ექნება საქართველოს საპენსიო სისტემისთვის. გაჩნდება ძალიან დიდი მოცულობის ფინანსური და საინვესტიციო რესურსი. მიახლოებითი შეფასებით, რადიკალური რეფორმის შემთხვევაში უკვე პირველ სამ წელიწადს ეს იქნება არანაკლებ ნახევარი მილიარდი ლარისა. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ეს რესურსი არის გრძელვადიანი, რადგან საპენსიო პროგრამები არის მრავალწლიანი პროგრამები. შესაბამისად გაიზრდება საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და ლიკვიდურობა.

# "ნაბუქოს" პროექტის განვითარება შესაძლოა შეფერხდეს

მანანა ვარდიაშვილი




როგორც ჩანს, ახალი გეოპოლიტიკური რეალობა სამხრეთკავკასიური სატრანზიტო დერეფნის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა. ანკარასა და ერევანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ "ნაბუქოს" პროექტის თემით სპეკულირება ისევ დაიწყო. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ყარაბაღის პრობლემის აზერბაიჯანისთვის მისაღები ფორმით მოგვარებას არ გულისხმობს, ოფიციალური ბაქო საკუთარი გაზის ექსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების ძიებას შეუდგა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ალტერნატივაში რუსეთი მოიაზრება. გარდა ამისა, აზერბაიჯანი თანახმაა, ზამთარში გაზი ირანსაც მიაწოდოს. კითხვაზე, როგორ აისახება ეს კონტრაქტები "ნაბუქოს" პროექტზე, აზერბაიჯანული მხარე მინიშნებებით საუბრობს.

ირანისთვის სანქციების მოხსნის საკითხი ჯერ არ განიხილება. ტრანსკასპიური გაზსადენის საკითხი კასპიის ზღვის სტატუსის გადაუჭრელობის გამო ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამდენად, აზერბაიჯანი ერთადერთი მხარეა, რომელსაც საწყის ეტაპზე "ნაბუქოს" გაზით დატვირთვა შეუძლია. ამიტომ აზერბაიჯანის მონაწილეობა "ნაბუქოს" პროექტში ამ პროექტის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.

"ნაბუქოს" პროექტი 3,3 ათასი კმ. სიგრძის მილსადენის მშენებლობას გულისხმობს, რომელიც გაზს ევროპას ცენტრალური აზიიდან რუსეთის შემოვლით, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიის გავლით მიაწვდის. პროექტის მოცულობა წლიურად 31 მილიარდი კუბური მეტრი იქნება, ღირებულება კი - 7, 9 მილიარდი ევრო. მილსადენის მშენებლობის დაწყება 2010 წელს, ექსპლუატაციაში გაშვება კი 2014 წელსაა დაგეგმილი. "ნაბუქოს" პროექტი ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

14 ოქტომბერს კი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ და "გაზპრომმა" აზერბაიჯანული გაზის რუსეთისთვის მიწოდების თაობაზე კონტრაქტი გააფორმეს. კონტრაქტს ხელს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი და "გაზპრომის" ხელმძღვანელი ალექსეი მილერი აწერენ.

აზერბაიჯანული სააგენტო day.az-ისთვის მიცემულ კომენტარში როვნაგ აბდულაევი აცხადებს, რომ კონტრაქტი ძაზერბაიჯანში მოპოვებული ნებსმიერი გაზის გაყიდვას" გულისხმობს. 2010 წელს 500 მილიონი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირებაა დაგეგმილი. თუმცა, როგორც აბდულაევი აცხადებს, ძეს ციფრი შეიძლება გაიზარდოს." ექსპერტთა მოსაზრებით, რუსეთმა შესაძლოა, აზერბაიჯანული გაზი რეექსპორტისთვის გამოიყენოს.

ამ მოსაზრებას რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის განცხადებაც ამყარებს, რომლის თანახმადაც "სამხრეთის ნაკადის" მშენებლობა შეიძლება დაგეგმილზე ადრე დასრულდეს. რა აძლევს ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს, პუტინს არ დაუკონკრეტებია. თუმცა, ამ საკითხის მიმართ იგი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი. გეგმის თანახმად, "სამხრეთის ნაკადი" ექსპლუტაციაში 2013 წელს უნდა შევიდეს. პროექტის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ევროპისთვის გაზის უკრაინის გვერდის ავლით მიწოდებაა

"აზერბაიჯანს გაზის ტრანსპორტირების 4 მიმართულება აქვს. თურქეთის, საქართველოს და ირანის მარშრუტს "გაზპრომთან" გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ რუსეთიც დაემატა. "გაზპრომთან" მიღწეული შეთანხმების შემდეგ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას ექნება შესაძლებლობა გაზის დამატებითი მოცულობა რუსეთში ოპერატიულად გაიტანოს. რუსეთში ბუნებრივი აირის ექსპორტი ნავთობკომპანიას გაზის პროგრამის გაფართოების და ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობას აძლევს. "გაზპრომისთვის მიწოდებული გაზის ფასი დგინდება სპეციალური ფორმულით, რომელიც ხელს აძლევს ნავთობკომპანიას," - აცხადებს აბდულაევი.

გარდა ამისა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია მოლაპარაკებებს ირანთანაც აწარმოებს. "გაზის განსაზღვრულ ოდენობას ირანს გასულ წელსაც ვაძლევდით. ირანს გაზს ამ ზამთარსაც მივაწვდით," - აცხადებს როვნაგ აბდულაევი და იმასაც დასძენს, რომ "ამ ეტაპზე კონკრეტულ მოცულობაზე საუბარი ნაადრევია, რადგან "მოლაპარაკებები გრძელდება".

ყოფილი ვიცე-პრემიერი და მინიმეჯლისის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი ვახიდ ახმედოვი day.az -თან საუბარში აცხადებს: "ვფიქრობ, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიასა და "გაზპრომს" შორის გაფორმებული კონტრაქტი წლიურად 500 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიწოდების თაობაზე მხოლოდ დასაწყისია. მომავალში გაზის მიწოდება გაიზრდება და მან შესაძლოა 1 მილიარდ კუბურ მეტრსაც გადააჭარბოს. "

"გაზპრომი" შეგვპირდა, რომ გაზის ფასი მაღალი იქნება. რუსეთი ჩვენი მეზობელია, ქვეყნებს შორის ყველა სფეროში კარგი ურთიერთობაა, ამიტომ ხელმოწერილი კონტრაქტი აზერბაიჯანისთვის ძალიან მომგებიანია."

კითხვაზე, როგორ აისახება ეს კონტრაქტი "ნაბუქოს" პროექტზე, ახმედოვი პასუხობს: "ევროპას აზერბაიჯანის გაზის "ნაბუქოს" მილსადენით ტრანსპორტირება სურს. მაგრამ ეს მომავლის საქმეა. აწმყოში კი აზერბაიჯანისთვის გაზის რუსეთში ექსპორტირებაა მომგებიანი. "ნაბუქოს" პროექტის რეალიზაცია 2014 წელსაა დაგეგმილი. იქამდე წინ კიდევ დიდი დროა. ამიტომ, ამ ეტაპზე აზერბაიჯანისთვის ოპტიმალური ვარიანტი გაზის რუსეთში ექსპორტირებაა. "ნაბუქოზე" ლაპარაკი ნაადრევია. რით დამთავრდება ეს პროექტი, ჯერ ცნობილი არ არის. მილსადენის მშენებლობის დაწყება 2010 წლისთვისაა დაგეგმილი და ეს ვადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას."

აზერბაიჯანისა და თურქეთის კონფლიქტი რამდენიმე წელიწადს ითვლის და როგორც ოფიციალური ბაქო აცხადებს, ამ უთანხმოებას თურქეთისა და სომხეთის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენასთან საერთო არაფერი აქვს. ბოლო 2 წლის განმავლობაში ბაქო და ანკარა გაზის და მისი ტრანზიტის საფასურზე ვერ თანხმდებოდნენ. თურქეთის, როგორც ტრანზიტორი ქვეყნის გაზრდილი მოთხოვნების გამო, აზერბაიჯანი ფინანსურადაც დაზარალდა: შემცირდა ქვეყნის წლიური ექსპორტი და შაჰ-დენიზის საბადოს ინფრასტრუქტურის განვითარებაც (ეს საბადო კი "ნაბუქოს" მილსადენის მომარაგების მთავარ წყაროდ განიხილება). ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანის მიერ ორიოდე კვირის უკან მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განცხადებებზე ბრიუსელსა და ვაშინგტონში კარგად უნდა დაფიქრდნენ.

## მსოფლიოს ეკონომიკა სავარაუდოდ 3 პროცენტით გაიზრდება

მსოფლიოს ეკონომიკა 2010 წელს შესაძლოა, 3 პროცენტით გაიზარდოს. საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენლის, ედუარდ გარდნერის განცხადებით, მიმდინარე წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. სიტუაცია სასიკეთოდ იცვლება ფინანსურ ბაზრებზეც. თუმცა, კრედიტებზე ხელმისაწვდომობა დაბალია და უმუშევრობის მაჩვენებელი მომდევნო წელსაც გაიზრდება. მისივე ვარაუდით, მიმდინარე წელს ევროპაში ეკონომიკის 5 პროცენტით შემცირება, მომავალ წელს კი 1,8 პროცენტით ზრდა არის მოსალოდნელი.

## ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საბაჟო მოხელეთა ფორმის დიზაინის შესაქმნელად კონკურსი გამოაცხადა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საბაჟო მოხელეთა ფორმის დიზაინის შესაქმნელად კონკურსი გამოაცხადა. ამის შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსმა გიორგი ცხაკაიამ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა. "კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეეძლება. გამარჯვებულის გამოსავლენად კი სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელსაც ფინანსთა მინისტრი უხელმძღვანელებს. ამასთან, გამარჯვებული დიზაინის ავტორი ჯილდოდ 10 000 ლარს მიიღებს", - განაცხადა ცხაკაიამ. მისივე თქმით, კონკურსანტებს დიზაინის ესკიზის წარდგენის ვადა 20 ნოემბრამდე ექნებათ.

## ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების N16 აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

დღეს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების N16 აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

როგორც "პირველს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს, აუქციონში მონაწილეობა 4 კომერციულმა ბანკმა მიიღო. ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნამ ჯამში 32 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 4.930%-ით, მაქსიმალური 5.090%-ით, საშუალო შეწონილი კი 5.020 %-ით განისაზღვრა.

## თბილისში ფინური კომპანია "Vianor"-ის პირველი სერვის-ცენტრი გაიხსნა

თბილისში ფინური კომპანია "Vianor"-ის პირველი სერვის-ცენტრი გაიხსნა. როგორც "პირველს" კომპანიის სერვის ცენტრიდან აცნობეს, 2010 წლისთვის საქართველოს მასშტაბით "Vianor"-ის 10-მდე სერვის-ცენტრის გახსნაა დაგეგმილი. მათ შორის, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და თელავში.

პრეზენტაციას "Vianor"-ის ბრენდ-მენეჯერი ამიერკავკასიაში იური ივანოვიჩი, N"Nokian"-ის მმართველი დირექტორი იგორ ბოგდანოვი და მენეჯერი ამიერკავკასიაში პაველ გიდზილი დაესწრნენ.

"Vianor"-ი N"Nokian"-ის შვილობილი კომპანიაა. კომპანიის სერვის-ცენტრებში "Nokianis"-ის საბურავებისა და ავტონაწილების რეალიზაცია და სერვისი ხორციელდება.

## ზურაბ პოლოლიკაშვილი ესპანეთიდან დღეს დაბრუნდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი ესპანეთიდან დღეს დაბრუნდება. ამის შესახებ "პირველს" ეკონომიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს და დასძინეს, რომ მინისტრის ვიზიტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მისი დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ პოლოლიკაშვილი ესპანეთში საქმიანი ვიზიტით 25 ოქტომბერს გაემგზავრა. მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ესპანეთში გამართულ ბიზნეს-ფორუმში, რომელსაც პოლოლიკაშვილთან ერთად მინისტრის მოადგილე ზურაბ ალავიძე და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ესწრებოდნენ.

გაერთიანებული ტელეკომი

# „გაერთიანებული ტელეკომის" უსადენო ტელეფონის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

**„გაერთიანებული ტელეკომი" 2009 წლის ნოემბრიდან უსადენო ტელეფონზე მომსახურების ახალ პირობებს სთავაზობს მომხმარებლებს. ქსელში ჩართულ აბონენტებს სამი სხვადასხვა პაკეტიდან შეეძლებათ არჩევანის გაკეთება:**

**პირველი პაკეტი - სააბონენტო გადასახადი 5 ლარი:** 200 წუთიანი ლიმიტი შიდა ქსელში სასაუბროდ, ლიმიტს ზევით წუთში 1 თეთრი; მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 25 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 6 თეთრი/წუთი.

**მეორე პაკეტი - სააბონენტო 7 ლარი:** უფასო შიდა ქსელი (გაერთიანებული ტელეკომის ნებისმიერ აბონენტთან); მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 20 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 6 თეთრი/წუთი.

**მესამე პაკეტი - სააბონენტო 15 ლარი:** უფასო შიდა ქსელი (გაერთიანებული ტელეკომის ნებისმიერ აბონენტთან); მობილურ ოპერატორებთან კავშირი - 15 თეთრი/წუთი; სხვა ფიქსირებულ ქსელში სასაუბროდ - 4 თეთრი/წუთი.

**აბონენტებს პაკეტის არჩევა შეეძლებათ, როგორც ავტომატურ რეჟიმში 100-100 დარეკვით, ისე „გაერთიანებულ ტელეკომის" სერვის ცენტრში მისვლით.** თუ აბონენტი არ გამოიყენებს არჩევანის უფლებას, მას გაუაქტიურდება 7 ლარიანი საბონენტო პირობები. იურიდიულ პირებზე ამოქმედდება 15 ლარიანი პაკეტის პირობები.

**საბონენტო პაკეტის შეცვლა აბონენტს ნებისმიერ დროს შეეძლება** და ეს პროცესი უფასოა. პაკეტის შესაცვლელად აბონენტმა უნდა დარეკოს 100-100ზე და ავტომატურ რეჟიმში ან ოპერატორის დახმარებით დაარეგისტრიროს სასურველი პაკეტი. ახალი პირობები აბონენტს მომდევნო თვის 1 რიცხვში ავტომატურად ჩაერთვება. გააქტიურებული პაკეტის გადამოწმება შესაძლებელია ნომერზე 100-103.

## ცოტნე გამსახურდია - დაზარალებული თუ დამნაშავე

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი ცოტნე გამსახურდია გუშინწინ, გვინ ღამით სამართალდამცველებმა დააკავეს. მიზეზი, მისივე მეზობელის და მეგობრის დავით ბაჯელიძის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრის ფაქტია. თუმცა, ეჭვმიტანილი დანაშაულს უარყოფს და ამტკიცებს, რომ თავად არის დაზარალებული.

დაჭრილი დავით ბაჯელიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს, ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული. ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა მძიმეა. რაც შეეხება გამსახურდიას, საავადმყოფოში აცხადებენ, რომ მას თავის ქალის მსუბუქი ტრამვა აქვს. კეფის მიდამოში კი ნახეთქი ჭრილობა აღენიშნება. რესპუბლიკურ საავადმყოფოში გამსახურდიას გამოკვლევა ჩაუტარდა, თუმცა ამის შემდეგ იგი პოლიციაში გადაიყვანეს.

სამართალდამცველები მეგობრებს შორის ინციდენტის მიზეზად ურთიერთშელაპარაკებას ასახელებენ. მეზობლები კი ირწმუნენიან, რომ გამსახურდია ბაჯელიძეს ბოლო პერიოდში ერთმანეთთან შელაპარაკება რამდენჯერმე მოუხდათ.

ცოტნე გამსახურდია გუშინ მისმა ადვოკატმა ქეთი ბექაურმა მოინახულა. ადვოკატის განცხადებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს უთქვამს, "კოლხურ კოშკში" დაბრუნებისას თავს დამესხნენო.

**"ცოტნე გამსახურდია აცხადებს, რომ, როცა სახლში ბრუნდებოდა, ზურგიდან ვილაც მიეპარა და თავში მძიმე საგანი ჩაარტყა, რის შემდეგაც გონება დაკარგა და აზრზე საავადმყოფოში მოვიდა. საავადმყოფოშივე გამსახურდიას პოლიციამ განუცხადა, რომ დაკავებულია. იგი დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც ეჭვმიტანილის სტატუსით დაკითხეს,"** - განაცხადა ბექაურმა.

გუშინვე ადვოკატი ქეთი ბექაური მისი დაცვის ქვეშ მყოფის სისხლის სამართლის საქმის მასალებს გაეცნო. მისი თქმით, ცეცხლსასროლი იარაღი ამოღებული არ არის და საქმეში გამსახურდიას დანაშაულში მამხილებელი არც სხვა მტკიცებულებები მოიპოვება. ადვოკატის მტკიცებით, გამსახურდიასთვის ბრალის წაყენების საფუძველი არ არსებობს. მეტიც, სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ცოტნე გამსახურდია თავად არის დაზარალებული.

გუშინ გვიან ღამემდე გამსახურდიასთვის ბრალი არ წაუყენებიათ. იმ შემთხვევაში თუ მას ბრალდებულად სცნობენ, სასამართლო გამსახურდიას მიმართ არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიების პატიმრობით შეცვლის საკითხზეც იმსჯელებს.

საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს, ოპოზიციის მიერ გამართული აქციების დროს გავრცელებულ ვიდეო-ჩანაწერებს, სადაც ცოტნე გამსახურდიას რუსეთთან კავშირზეა საუბარი. ამის გამო იგი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულებაშია ბრალდებული.

*ანა მეზვრიშვილი*

## სასამართლოებისადმი ნდობა გაიზარდა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, სასამართლოების მიმართ ნდობა გაიზარდა.

როგორც უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურში აცხადებენ, ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ბოლო კვლევის თანახმად, სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის ნდობა გაიზარდა და იგი 42 პროცენტს შეადგენს. იმავე კვლევის თანახმად, მოსახლეობის მხოლოდ 9 პროცენტი ითხოვს სასამართლო ხელისუფლებასა და, ზოგადად, იუსტიციაში რეფორმების გატარებას. უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის მატება სხვა დამოუკიდებელი გამოკითხვების შედეგადაც დასტურდება.

სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უზენაესი სასამართლოს დაკვეთით 2008 წელს მოსახლეობის ფართომასშტაბიანი გამოკითხვა ჩატარდა. კვლევა განახორციელა ორმა, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელმა კვლევითმა ორგანიზაციამ. კვლევები მიმდინარეობდა თითქმის ერთმანეთის პარალელურად. ძირითადი მიზანი იყო სასამართლოს მუშაობით მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრა. ამ გამოკითხვების შედეგად სასამართლო სანდოობის მაჩვენებელი მოსახლეობის 57,8 პროცენტმა დადებითად შეაფასა.

"იმ პერიოდში, როცა სასამართლო რეფორმა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და პროცესი არ დასრულებულა, ვფიქრობთ, მოცემული კვლევები რეალურია და უკვე მიღწეულის დადებითი შედეგით არის განპირობებული. თუმცა, სასამართლო ხელისუფლება სწორედ აღნიშნული კვლევების გათვალისწინებით ცდილობს, სუსტი რგოლების გაუმჯობესებას და ამით მოსახლეობის სანდოობის ხარისხის კიდევ უფრო გაზრდას," - აცხადებენ უზენაეს სასამართლოში. **ინტერპრესნიუსი**

## ინსტიტუტ "კავკასიის" რექტორი დააკავეს

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამედიცინო ინსტიტუტის "კავკასიის" რექტორი გივი იორამაშვილი დააკავეს. შს სამინისრტოს ინფორმაციით, მას ინსტიტუტის ყალბი დიპლომის დამზადება ედება ბრალად. "გივი იორამაშვილმა 3 ათასი აშშ დოლარის საფასურად, მოქალაქეს დაუმზადა ინსტიტუტის ყალბი დიპლომი, ხოლო შუამავალს - რატი რატიანს ამ თანხიდან 500 აშშ დოლარი გადასცა," - აცხადებენ შს სამინისტროში. იორამაშვილთან ერთად დაკავებულია რატი რატიანიც. გამოძიება სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს და მას სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი აწარმოებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ორხელისუფლებიანობა ადვოკატთა ასოციაციაში

### პროფესია ადვოკატი საქართველოში და განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებში

*"საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში" დღემდე გაურკვეველი სიტუაციაა. ადვოკატთა კორპუსის ორ ნაწილად გაყოფის მიზეზი ასოციაციის ორხელისუფლებიანობა გახდა. დაცვის ინსტიტუტის შიდა პრობლემები მას შემდეგ გახმაურდა, რაც პარლამენტში "ადვოკატთა ასოციაციისგან" ერთი და იგივე ბლანკით ორი სხვადასხვა წერილი შევიდა. ერთი, რომელსაც ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა სვანიძე აწერდა ხელს და იგი "ადვოკატთა შესახებ კანონში" ცვლილებების შეტანას ითხოვს და მეორე - ასოციაციის თავმჯდომარე კახა ასლანიშვილის მიმართვა, რომლითაც ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება.*

თამარ კაციტაძე

დიდი ხანია უკვე ადვოკატები ასოციაციის ხელმძღვანელის ვინაობის გარკვევას ითხოვენ, თუმცა საკანონმდებლო პრობლემის გამო ამის მოხერხება დღემდე ვერ ხერხდება. საუბარია ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების კვორუმის დაწევის საკითხზე. ცვლილების ავტორის გოჩა სვანიძის განმარტებით, ამჟამად ასოციაციაში დაახლოებით 4000 წევრია, კვორუმი კი დაახლოებით 2 ათასია. მაღალი კვორუმის გამო, კრების ჩატარება ჭირს, საჭიროა არსებულ კანონში ცვლილებები, რაც, საბოლოოდ მოხსნის ასოციაციაში ორხელისუფლებიანობის პრობლემას.

თუმცა, ამ მოთხოვნის საპირისპიროდ საკანონმდებლო ორგანოში კახა ასლანიშვილმაც გაგზავნა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ "ადვოკატთა შესახებ კანონში" ცვლილებები ადვოკატთა პროფესიული საზოგადოების ნებას არ გამოხატავს და წარმოდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც ადვოკატთა ასოციაციის სახელით მოქმედების უფლება არა აქვს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო და ამ დღეებში მეორე მოსმენას ელოდება. თუმცა, ცვლილების საბოლოო დამტკიცებამდე პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა ასოციაციის წარმომადგენლებს მოუწოდა, შიდა საქმეები თავად გაარკვიონ და შეჯერებულ პოზიციამდე მივიდნენ.

ადვოკატთა ასოციაციაში ორხელისუფლებიანობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ასოციაციის ოფიციალური თავმჯდომარე კახა ასლანიშვილი აშშ-ში სასწავლებლად წავიდა, ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კი გოჩა სვანიძე დაინიშნა. როგორც ასლანიშვილი ირწმუნება, 2009 წლის 6 აგვისტოდან, როცა იგი საქართველოში დაბრუნდა, კვლავ თავად ასრულებს ამ უფლებამოსილებას და ამიტომ ცვლილების შეტანის აუცილებლობა აღარ არსებობს.

ერთი სიტყვით, ადვოკატთა ასოციაციაში ხელმძღვანელთან დაკავშირებით, დღემდე გაურკვეველი სიტუაციაა. შექმნილ დაპირისპირების ფონზე საქართველოში ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო აქტუალური გახდა და ზოგადად, ადვოკატებისადმი პრეტენზიებმაც იმატა.

რას ნიშნავს პროფესია ადვოკატი საქართველოში და როგორ არის გადაწყვეტილი დამცველის ვალდებულებები და მოვალეობები განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც მოსაზრება არაკვალიფიცირებული ადვოკატი არც არსებობს. ამ საკითხზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორ ირაკლი ყანდაშვილის მოსაზრება ასეთია:

**"საადვოკატო საქმიანობა ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოში და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალზედ გავრცელებული საქმიანობაა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და ყოველმხრივ დაფასებული პროფესიაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ქვეყნებში, იგულისხმება განვითარებული, დემოკრატიული ქვეყნები, ადვოკატის საქმიანობის სრულფასოვანი უფლების მოპოვებას წლები, თავდაუზოგავი შრომა და საკუთარ თავზე მუშაობა სჭირდება,"** - ამბობს ირაკლი ყანდაშვილი.

მისი თქმით, ადვოკატი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მართლმსაჯულების ხარისხს ნებისმიერ ქვეყანაში, მისი მაღალი კვალიფიკაცია ავტომატურ რეჟიმში სასამართლოს დონესაც ამაღლებს, რადგან კარგად მომზადებული ადვოკატი, მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს მოსამართლეს, იქიდან გამომდინარე, რომ თავისი ცოდნით, გამოცდილებით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით პროცესს უფრო საინტერესოს და შეძლებისდაგვარად ობიექტურს ხდის.

**"ადვოკატის როლი და დანიშნულება და, ზოგადად, იურისტის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი პრობლემა დროულად და ეფექტურად მოაგვაროს. უფრო მეტად ფასობს იურისტი, თუ კლიენტს ისეთ რჩევებსა და მომსახურებას გაუწევს, რომ მეორე მხარესთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისას, წინასწარ, შეძლებისდაგვარად დააზღვევს მათ შორის შესაძლო სამართლებრივი პრობლემატიკის წარმოშობას. ეს იურისტის მაღალი კვალიფიკაციის ნიშანია, თუმცა მეორე მხრივ, კლიენტის მაღალ სამართლებრივი განვითარების დონეზეც მიუთითებს. მსგავსი დამოკიდებულება საკუთარი საქმისადმი და იურისტის როლისადმი შემდგარი სამოქალაქო საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი,"** - აცხადებს ექსპერტი.

როგორც ირაკლი ყანდაშვილი აცხადებს, საქართველოში ფუნქციონირებს არაერთი იურიდიული ფირმა და ადვოკატი, რომელთაც დიდი ხნის პროფესიული გამოცდილება და პრაქტიკა უმაგრებთ ზურგს. ამასთანავე, მოდის პროფესიონალი იურისტების ახალი თაობა, რომლისთვისაც პროფესიული ღირსება წინა პლანზეა.

**"თუმცა, ეს პროფესია არაერთი პრობლემის წინაშეა დღეს საქართველოში და მას სისტემური ხასიათის დახვეწა და გადაჭრა ესაჭიროება. გადასაჭრელია ისეთი საკითხები, როგორიცაა ადვოკატების მხრიდან კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულება მუდმივმოქმედ რეჟიმში. ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში, ადვოკატებს სავალდებულო წესით ეკისრებათ ვალდებულება, იზრუნონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეიძლება შეექმნას მის ლიცენზიას. ადვოკატებს ნამდვილად ესაჭიროებათ სამართლებრივი სიახლეების მუდმივად გაცნობა და თეორიულ მომზადებაზე მუშაობა. ამერიკასა და ევროპულ სახელმწიფოებში ეს პროცესი სავალდებულო ხასიათს ატარებს და თითოეულ ადვოკატს ევალება, წლის განმავლობაში გარკვეული დრო დაუთმოს საგანმანათლებლო ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობას. ადვოკატის მსგავსი კუთხით თვითგანვითარებას კონტროლს უწევს და არეგულირებს ადვოკატთა ასოციაციები.**

**დღეის მდგომარეობით ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატი მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა მხარე უკვე დიდი სამართლებრივი პრობლემების წინაშე დგას. ამასთანავე, საადვოკატო საქმიანობას და ამ პროფესიას ხშირად სათანადო პატივისცემით არ აღიქვამენ საქართველოში,"** - აღნიშნავს ყანდაშვილი.

იურისტის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ადვოკატთა მძლავრი გაერთიანების შექმნას, იგულისხმება ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც მართალია არსებობს, მაგრამ საკანონმდებლო ხარვეზის გამო მისი ფუნქციონირება შეფერხებულია. კერძოდ, ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის ჩანაწერის საფუძველზე, რომელიც საერთო კრების ლეგიტიმაციისთვის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის შეკრებას მოითხოვს, პრაქტიკულად, კრების გამართვას შეუძლებელს ხდის. ამ მიმართულებით შემუშავებულია კანონში ცვლილებები, რომელთა მიღებაც ამ ეტაპზე პარლამენტზეა დამოკიდებული. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციაზე არ ვრცელდება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატთა ასოციაციაზე საქართველოში სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება.

**"ამ ორგანიზაციის გაძლიერება და უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო დონეზე მისი საქმიანობისთვის ყველა სახის წინაპირობების შექმნა უკვე სახელმწიფოს ვალდებულებაა, თუკი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ძლიერი საადვოკატო სისტემის ჩამოყალიბება სურს. საადვოკატო საქმიანობა არის პროფესია, რომელსაც ადამიანების ბედის გადაწყვეტა შეუძლია და ამ პროფესიის განვითარება და გაძლიერება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს და მეორე მხრივ, თითოეულ ჩვენთაგანს, საზოგადოებას სჭირდება,"** - ასეთია ყანდაშვილის მოსაზრება.

ირაკლი ყანდაშვილის განცხადებით, სასამართლოსთვის მიმართვების ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით, საგრძნობლად იმატა სასამართლოში მოდავე პირების რიცხვმა, რაც ერთი მხრივ, იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ სამართლებრივი გზით დავების მოგვარებას მიჰყო ხელი, ხოლო მეორე მხრივ - მაღალი დონის და კვალიფიკაციის იურიდიულ მომსახურებაზე მოთხოვნამ იმატა და კიდევ უფრო მოიმატებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად.

**"გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება, რაც კონსტიტუციური უფლებაა და ამასთანავე, ევროკონვენციაც იცავს ამ უფლებას, ხელოვნური ბარიერებით არ უნდა წაერთვას საზოგადოებას. კერძოდ, მაღალი სახელმწიფო ბაჟის დაკანონებით, არის იმის ალბათობა, რომ სასამართლოსთვის მიმართვის ფაქტობრივი შესაძლებლობა მოქალაქეებს წაერთვათ, რაც, არა მარტო მოქალაქეებისთვის არის მიუღებელი, არამედ საადვოკატო საქმიანობასაც ეხება კლიენტურის დაკარგვის კუთხით, რაზეც თავის მხრივ, საკანონმდებლო ორგანომ უნდა იზრუნოს და კიდევ უფრო გონივრული სახელმწიფო ბაჟის დაწესებით, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მართლმსაჯულება საქართველოში,"** - აცხადებს ირაკლი ყანდაშვილი.

# ქაბულში გაერო-ს თანამშრომლები დახოცეს

## აშშ მზად არის, თალიბებს ომის შეწყვეტის სანაცვლოდ ფული გადაუხადოს

მარიკა იაშვილი



AFP © 2009

ქაბულის ცენტრში სასტუმროზე მომხდარ თავდასხმას 12 ადამიანი ემსხვერპლა. გარდაცვლილთაგან 6 გაერო-ს თანამშრომელია, 2 დაცვის წევრი, 1 მშვიდობიანი ავღანელი, ხოლო 3 თავდამსხმელი.

ავღანეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, დილის 7:00 საათზე სასტუმრო "ბექთარში", რომლის მომსახურებითაც გაერო-ს თანამშრომლები ხშირად სარგებლობენ, ასაფეთქებელი მოწყობილობებით აღჭურვილი 3 ბოევიკი შეიჭრა. გავრცლებეული ინფორმაციით, ორმხრივი სროლის დროს, რომელიც შენობაში მათ გამოჩენას მოჰყვა, სამივე თავდამსხმელი დაიღუპა.

ამ დროისთვის უცნობია, რომელი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ გაერო-ს მოკლული თანაშრომლები. მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება თალიბანმა აიღო.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ მომხდარიდან რამდენიმე საათის შემდეგ ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი სატუმრო "სერენასაც" გაუხსნეს, რომელიც ქაბულში პრეზიდენტის რეზიდენციის მახლობლად მდებარეობს. სასტუმროში დიპლომატები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ცხოვრობენ. სროლების დროს შენობაში ევაკუაცია დაიწყო და 100-მდე ბინადარი უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს.

მომხდარის გამო ავღანეთის მოქმედმა პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ იმ ობიექტებისა და ოფისების დაცვის გაძლიერების ბრძანება გასცა, რომლებშიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ცხოვრობენ და მუშაობენ.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ქაბულის ოფისში მიიღეს ინფორმაცია, რომ "რამდენიმე თალიბმა მძევლად აიყვანა გაერო-ს რამდენიმე თანამშრომელი." განცხადების თანახმად, მომხდარი მხოლოდ "პირველი ნაბიჯია" იმ კამპანიისა, რომლის მიზანიც ავღანეთში 7 ნოემბრისთვის დანიშნული საპრეზინენტო არჩევნების მეორე ტურის ჩაშლაა. არჩევნების პირველი ტური ავღანეთში მასობრივი დარღვევებით ჩატარდა, რის შემდეგაც ხმის მიცემის მეორე ტური დაინიშნა.

ამავდროულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამერიკელ სამხედროებს, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ, ოფიციალური ნებართვა ექნებათ, ფული გადაუხადონ თალიბებს, რომლებიც შეიარაღებულ დაპირისპირებაზე უარს იტყვიან.

ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია კანონ-პროექტში, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოაწერა ხელი.

ამერიკელ ოფიცრებს ერაყში უკვე დიდი ხანია, უფლება აქვთ, მისცენ ფინანსური ჯილდო ბოევიკებს, რომლებმაც რეჟიმისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტეს. თუმცა ავღანეთში მსგავსი პრაქტიკა ოფიციალურად ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ საგანგებოდ ამ საქმისთვის შექმნილ ფონდში 1.3 მილიარდი აშშ დოლარი გადაირიცხება.

"საგანგებო სიტუაციებში მეთაურების სამოქმედო პროგრამა" (Commander's Emergency Response Programme - Cerp), პირველ რიგში, იმისთვის შეიქმნა, რომ ამერიკელმა სამხედროებმა გზების გაწმენდის დაფინანსება, ჭების ამოთხრა და ერაყისა და ავღანეთის მოსახლეობისთვის აუცილებელი ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა შეძლონ. თუმცა ერაყში ფონდიდან თანხების გამოყოფა, საჭიროების შემთხვევაში, ბოევიკების გადაბირების მიზნითაც ხდება.

ერაყში ბოევიკებთან მიმართებაში ფონდის გამოყენების პრაქტიკა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. პროგრამის მეშვეობით თავდაცვის ადგილობრივ ძალებში 90 ათასი ყოფილი ბოევიკის ჩაწერა მოხერხდა. ამის შემდეგ კი ავღანეთშიც კანონმდებლობით იქნება დაშვებული თანხების გამოყოფა "ყოფილ ბოევიკთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის".

ავღანეთში მყოფი ამერიკული კონტინგენტისთვის ოქტომბერი მიმდინარე წლის ყველაზე სისხლიან თვედ იქცა. 8 ამერიკელი სამხედრო 27 ოქტომბერს ავღანეთის სამხრეთით მომხდარ აფეთქებებს ემსხვერპლა. მომხდარის შესახებ ინფორმაციას ნატო-ს წარმომადგენლები ავრცელებენ. შემთხვევის შედეგად ერთი მშვიდობიანი მოქალაქეც გარდაიცვალა.

26 ოქტომბერს ავღანეთში ორი ამერიკული ვერტმფრენი ჩამოაგდეს, რის გამოც 14 ამერიკელი დაიღუპა: თერთმეტი სამხედრო პირი და ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების სამი აგენტი.

თვის დასაწყისიდან ავღანეთში სულ 55 ამერიკელი სამხედრო პირი გარდაიცვალა. ბოევიკები თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებს ყველაზე ხშირად გზის განაპირას ამონტაჟებენ და მათ დისტანციურად იმ დროს აფეთქებენ, როდესაც სიახლოვეს საერთაშორისო ძალების ავტოკოლონები გადიან.

სწორედ ბოლო პერიოდში ტერორისტების ასეთმა გააქტიურებამ განაპირობა გენერალ სტენლი მაკკრისტალის მოთხოვნა სამხედრო კონტინგენტის დამატებით 40 ათასი ჯარისკაცით გაზრდის შესახებ. თუმცა ბარაკ ობამა აცხადებს, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას არ იჩქარებს.

# სტანისლავ მარკელოვის მკვლელობის საქმის საიდუმლო

*ექვსი თვის წინ მოსკოვის ცენტრში მოკლული ადამიანის უფლებათა დამცველის, სტანისლავ მარკელოვის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა ჯერჯერობით კვლავ დუმს. მოკლულის ძმა კი აცხადებს, რომ უახლოეს დღეებში დააპატიმრებენ ერთ-ერთი არაფორმალური დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც ადვოკატის მკვლელობაში არიან გარეულები.* ***"ჩემი ძმის მკვლელობისთვის ქილერი არ იყო დაქირავებული. ამ ორგანიზაციის წევრები თვითონ იყვნენ მკვლელობის ორგანიზატორებიც და შემსრულებლებიც,"*** *- აცხადებს სტანისლავ მარკელოვის ძმა მიხაილ მარკელოვი.*



სტანისლავ მარკელოვის მკვლელობის საქმე გახსნილია - წერს "ნოვაია გაზეტა." სტატიის ავტორს ამ ინფორმაციას სწორედ მოკლული ადვოკატის ძმა მიხაილ მარკელოვი აწვდის, რომელიც პარტია "სამართლიანი რუსეთის" რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი იყო. როგორც მიხაილ მარკელოვი ამბობს, მან დეპუტატის კავშირები გამოიყენა და სკუთარი გამოძიება ჩაატარა.

**"აქტიურად ვთანამშრომლობდი გამოძიებასთან. საქმე ისაა, რომ ჩემი გამოძიებისა და გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის გამოძიების შედეგები ერთმანეთს ემთხვევა. უკვე ზუსტად ვიცით, ვინ და რატომ მოკლა ჩემი ძმა. მკვლელობაში ადამიანების ჯგუფი მონაწილეობდა. დაზუსტებით ვიცი, ვისთან აქვთ მათ კავშირი და ამჟამად სად იმყოფებიან. ასევე დაზუსტებით ვიცი იმ ადამიანის საცხოვრებელი სახლის მისამართი, ვინც ჩემს ძმას ესროლა,"** - აცხადებს მოკლული ადვოკატის ძმა.

რუსეთში ერთ-ერთი პრესტიჟული, თითქმის ყველა გახმაურებული საქმეების ადვოკატი სტანისლავ მარკელოვი უცნობმა თავდამსხმელმა მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა. თავდამსხმელმა ჯერ ადვოკატს ესროლა, შემდეგ კი მის თანამგზავრს. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სტანისლავ მარკელოვი ადგილზევე გარდაიცვალა. დაჭრილი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათში, რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა. ის "ნოვაია გაზეტას" ჟურნალისტი, 25 წლის ანასტასია ბაბუროვა აღმოჩნდა.

მკვლელობამდე ერთი საათით ადრე სტანისლავ მარკელოვმა პრესკონფერენცია ჩაატარა და რუსული მართლმსაჯულების მისამართით მკაცრი განცხადებები გააკეთა. ადვოკატმა 18 წლის ჩეჩენი გოგონას, ელზა კუნგაევას გატაცება-მკვლელობისთვის გასამართლებული ყოფილი რუსი პოლკოვნიკის, იური ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლება გააპროტესტა და განაცხადა, რომ სასამართლომ მსჯავრდებული უკანონოდ გამოუშვა პატიმრობიდან.

მოსკოვის ცენტრში მომხდარი მკვლელობა ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც მაშინვე შეკვეთილ მკვლელობად შეფასდა. ცნობილი ადვოკატის მკვლელობას იმავე დღეს მოჰყვა დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი და რუსეთსა და ჩეჩნეთში მას შემდეგ დღემდე იმართება ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები.

როგორც მოკლული ადვოკატის ძმა ირწმუნება, "ნოვაია გაზეტას" ჟურნალისტ ანასტასია ბაბუროვას მკვლელობა დაგეგმილი არ იყო.

**"ჩემი ძმის მკვლელმა ჟურნალისტი მხოლოდ იმიტომ გამოასალმა სიცოცხლეს, რომ ამ საქმეს მოწმე არ ჰყოლოდა,"** - აცხადებს მიხაილ მარკელოვი. მისივე თქმით, სტანისლავ მარკელოვის მკვლელობა არანაირად უკავშირდება თავდაპირველად გავრცელებულ ერთ-ერთ ვერსიას, თითქოს ადვოკატის მკვლელობა მკვლელობისთვის გასამართლებული რუსი პოლკოვნიკის იური ბუდანოვის საქმეს უკავშირდებოდა. **"გამოძიებამ ზუტსად იცის, ვის ეძებს. უბრალოდ, მისი დაკავება ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა. არადა, ის აქ სადღაც ახლოს არის. გამოძიებამ ასევე დაზუსტებით იცის მკვლელის გარემოცვა,"** - აცხადებს მიხაილ მარკელოვი.

როგორც გაირკვა, მოკლული ადვოკატის ძმას, ყველა დოკუმენტაცია, რაც მან საკუთარი გამოძიებისას მიიპოვა, უცხოეთის ერთ-ერთი ბანკის სეიფში აქვს შენახული, მისი უსაფრთხოების დასაცავად, როგორც თავად მიხაილ მარკელოვი აცხადებს. უცხოეთის ერთ-ერთი ბანკის სეიფში შენახულ დოკუმენტებში არა მარტო მკვლელის, არამედ მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა ადამიანის სახელი და გვარი წერია. **"ჩემი და გარდაცვლილი ძმის ოჯახის წევრების დასაცავად ყველაფერს ვაკეთებ,"** - აცხადებს მიხაილ მარკელოვი.

# ევროკავშირმა უზბეკეთს სანქციები მოუხსნა

უზბეკეთის ხელისუფლებას შეუძლია, გამარჯვება იზეიმოს. ევროკავშირთან კონფლიქტი, რომელიც ოთხი წლის წინ ანდიჟანში მომხდარი უწესრიგობის გამო დაიწყო, ტაშკენტის სასარგებლოდ გადაწყდა. 27 ოქტომბერს ლუქსემბურგში შეკრებილმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა გააუქმეს 2005 წლიდან უზბეკეთისთვის დაწესებული სანქციებიდან უკანასკნელები. ევროკავშირის მთავარი მოთხოვნა - ჩატარებულიყო ანდიჟანის მოვლენების საერთაშორისო გამოძიება - არ შესრულებულა. ევროკავშირის წარმომადგენლების განცხადება იმის შესახებ, რომ სანქციებმა დიდი როლი ითამაშეს ადამიანის უფლებების სფეროში უზბეკეთის ხელისუფლების გამოსაფხიზლებლად, არადამაჯერებლად ჟღერს. ადამიანის უფლებათა დამცველების განცხადებით, ამ სფეროში მნიშვნელოვანი ძვრები არ მომხდარა. ახლა, მათი აზრით, ევროპა ხელიდან უშვებს გავლენის ისეთ მნიშვნელოვან ბერკეტს, როგორიც აქამდე სანქციები იყო.

ევროკავშირის გადაწყვეტილება გააუმჯობესებს ამ გაერთიანების ურთიერთობას უზბეკეთის ხელისუფლებასთან და მოიტანს პოლიტიკურ და შესაძლოა ეკონომიკურ დივიდენდებს. თუმცა, უცნობია, თუ რისი გადახდა მოუწევს ევროპას ამისთვის.

საქმე მარტო ის არ არის, რომ ევროკავშირი კიდევ ერთხელ გახდა ადამიანის უფლებათა დამცველების კრიტიკის საგანი. ევროკავშირის რეპუტაცია იმ ქვეყნების თვალში დაეცემა, რომლებსაც იგი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს. 'უზბეკეთის მაგალითზე ყველამ დაინახა, რომ თუ არსებობს დავა ევროკავშირთან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, უბრალოდ, არ უნდა მიატოვო მოლაპარაკებების მაგიდა და დაელოდო, სანამ ევროპელი პოლიტიკოსები თავად დაივიწყებენ საკუთარ მოთხოვნებსა და პრინციპებს.

ევროკავშირმა უზბეკეთისთვის შეზღუდვები 2005 წლიდან დააწესა, ანდიჟანის მოვლენებიდან ნახევარი წლის შემდეგ. მაშინ ევროკავშირი სრულყოფილი გამოძიების ჩასატარებლად ქვეყანაში საერთაშორისო ექსპერტების დაშვებას მოითხოვდა (აღნიშნული მოთხოვნა ჰქონდა აშშ-საც). უზბეკეთის ხელისუფლება ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ მომხდარი უზბეკეთის საშინაო საქმეა. ამის შემდეგ ევროკავშირმა უზბეკეთის ხელისუფლება "ძალის არაპროპორციულ გამოყენებაში" დაადანაშაულა. გამოცხადდა ემბარგო იარაღისა და საბრძოლო ტქენიკის მიწოდებაზე, "რომელიც შესაძლოა, ქვეყნის შიგნით რეპრესიებისთვის გამოეყენებინათ". უზბეკ მაღალჩინოსნებს ევროპაში ჩასვლა აეკრძალათ. ასევე უზბეკეთთან ეკონომიკური კავშირებიც შეიზღუდა.

ცნობისათვის - 2005 წელს ანდიჟანში გაიმართა მასობრივი საპროტესტო აქციები, რომლის მონაწილეებმა დაიკავეს ციხეები და სამთავრობო დაწესებულებები. მათ წინააღმდეგ გამოიყენეს არმია. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა - ძირითადად, ბოევიკები. არაოფიციალური ინფორმაციით, დაღუპულთა რიცხვი გაცილებით დიდი იყო და მათ შორის იყვნენ ბავშვები და ქალები.

მთლიანობაში სანქციები სახელმწიფოსთვის სერიოზული დარტყმა არ ყოფილა. იარაღის შესყიდვაზე უზბეკეთი ძირითადად რუსეთზე იყო ორიენტირებული. ამ პერიოდში მათ რუსეთისგან მიიღეს არა მარტო მძიმე ტექნიკა, არამედ ხალხის დასაშლელი სპეციალური საშუალებები.

ევროკავშირის მცდელობა, შეეზღუდა უზბეკეთთან ეკონომიკური კავშირები, არ განხორციელდა. რესპუბლიკაში ევროპული კომპანიები ახლაც ისევე მუშაობენ, როგორც 2005 წლამდე მუშაობდნენ. 2006 წლის სიტუაციის კომენტირებისას, როცა სანქციებს უკვე მთელი ძალით უნდა ემუშავა, უზბეკმა პოლიტოლოგმა ტაშპულატ იულდაშევმა აღნიშნა, რომ ამ დროს კაპიტალის დიდი შემოდინება იყო ევროპიდან, განსაკუთრებით გერმანიიდან.




ევროპას სანქციები პოლიტიკურად აზარალებდა. მათ ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ ქვეყნებზე გავლენის მოპოვება სურდათ, ამ წლებში კი მაყურებლის როლში აკვირდებოდნენ, თუ როგორ უახლოვდებოდა უზბეკეთის ხელისუფლება რუსეთს. ადიჟანის არაეულობის შემდეგ ვაშინგტონის კრიტიკის გამო კარიმოვმა ამერიკული სამხედრო ბაზა ქვეყნიდან გააძევა და "რუსულ" სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში - კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში დაბრუნებაზე დათანხმდა. რუსეთმა კარიმოვსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის გაფუჭება უზბეკეთზე საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად გამოიყენა. მოსკოვს არ გაუპროტესტებია უზბეკეთის მიერ შემოთავაზებული ვერსია, რომ "ანდიჟანში ტერორისტების ლიკვიდაციას" ჰქონდა ადგილი. პირიქით, მხარი დაუჭირა მას. რუსეთის თავდაცვის მაშინდელ მინისტრ სერგეი ივანოვის განცხადებას - "ამ ტრაგიკული მოვლენის შესახებ ჩვენი და დასავლეთის შეხედულებები დიამეტრალურად განსხვავდება" - საბოლოოდ უნდა დაერწმუნებინა უზბეკეთის ხელისუფლება, თუ ვინ არის მისი მეგობარი და ვინ არა.

ევროკავშირმა სიმკაცრე დიდხანს ვერ შეინარჩუნა. უკვე 2007 წლის გაზაფხულზე სანქციები შეარბილეს. ზოგიერთ უზბეკ თანამდებობის პირს ევროპაში ჩასვლის უფლება მისცეს. მათ შორის მოხვდა თავდაცვის მინისტრი რუსლან მიზროევიც, რომელსაც არეულობის დროს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა ეკავა. არაოფიციალური ინფორმაციით, მირზოევზე შეზღუდვის მოხსნას გერმანიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ლობირებდა. ასეთ "მზრუნველობას" იმით ხსნიან, რომ უზბეკეთში განლაგებულია გერმანიის სამხედრო ბაზა, რომელსაც ავღანეთის ოპერაციებისთვის იყენებენ. გერმანია უდავოდ დაინტერსებული იყო იმით, რომ ეს ბაზა, ამერიკელების მსგავსად, ქვეყნიდან არ გაეძევებინათ.

სხვათა შორის, წელს სანქციების მოხსნას უზბეკეთი ისევ გერმანიას უნდა უმადლოდეს. ამ ქვეყნის წარმომადგენლები კონსულტაციებზე უზბეკეთისთვის სანქციების გაგრძელების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ შეზღუდვები უნდა გაუქმებულიყო (მათ გასაგრძელებლად ყველა წევრის თანხმობა იყო საჭირო). გერმანიის გადარწმუნებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან სანქციების დიდი ნაწილი ამ დროისთვის უკვე არ მოქმედებდა.

ტაშკენტთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად ევროკავშირისთვის დროც ხელსაყრელი აღმოჩნდა. 2009 წელს კარიმოვმა რუსეთის ინტეგრაციული პროექტებიდან დისტანცირება დაიწყო. მან ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობიდან გასვლის შესახებ განაცხადა, შემდეგ უარი თქვა, ხელი მოეწერა ოპერატიული რეაგირების კოლექტიურ ძალების შექმნის შესახებ ხელშეკრულებაზე (კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში). უზბეკეთი მეზობელ ყირგიზეთში რუსეთის კიდევ ერთი ბაზის შექმნის წინააღმდეგ გამოვიდა, მიანიშნა, რომ ეს მის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. ვრცელდება ხმები (თუმცა ჯერ დაუდასტურებელი) ამერიკელების ბაზის უკან დაბრუნების შესახებ.

მიიღებს თუ არა ევროკავშირი სარგებელს შექმნილი სიტუაციიდან, ჯერ ძნელი სათქმელია. უზბეკეთის ხელისუფლება სანქციების მოხსნით აშკარად მოიგებს. წაგებული კი, ადამიანის უფლებათა დამცველების განცხადებით, შესაძლოა ქვეყნის მოსახლეობა აღმოჩნდეს. "სანქციები აკავებდა არსებულ ხელისუფლებას, რომ ღიად მაინც არ განეხორციელებინა რეპრესიები. ახლა კარიმოვმა შესაძლოა მიიჩნიოს, რომ მისთვის ყველაფერი დასაშვებია. ამით კი ქვეყანაში ადამიანის უფლებები დაირღვევა," - განაცხადა უზბეკეთის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის ლიდერმა ელენა ურლაევამ.

ცნობისათვის - დღეს უზბეკეთში, სულ მცირე, 15 პოლიტპატიმარია. მათ შორის არის "რადიო სვობოდას" ჟურნალისტი სალიჯონ აბდურახმანოვი, რომელიც ნარტკოტიკების გაყიდვაშია დადანაშაულებული, ასევე პოეტი იუსუფ ჯუმა, რომელიც კარიმოვის კრიტიკით გამოდიოდა (მის ასაყვანად პოეტის სახლი შტურმით აიღეს). ადამიანის უფლებათა დამცველები ხშირად იუწყებიან წამების შემთხვევებზე, რაც ჩვეულებრივი ამბავია პოლიციაში, სპეცსამსახურებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

ჟურნალისტები იხსენებენ უზბეკეთში 2003 წელს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ასამბლეაზე მომხდარ ამბავს. ასამბლეის გახსნისას ბატონმა ჟან ლემიერმა ("იბიარდის" მაშინდელი ხელმძღვანელი) თავისი სიტყვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემებით დაიწყო. მაშინ ბატონმა კარიმოვმა ყურსასმენები დემონსტრაციულად მოიხსნა და ყურებზე ხელი აიფარა. ეს კარგად აჩვენებს, როგორი ადვილია ამ კაცთან მოლაპარაკება.

***მოამზადა თამთა კახაძემ***

# აფეთქებას ფეშევარში დიდი მსხვერპლი მოჰყვა

პაკისტანის ქალაქ ფეშევარში აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც, დაახლოებით, 90 ადამიანი დაიღუპა, სულ ცოტა, 200 კი დაიჭრა. დიდი რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება ჩადებული იყო ავტომობილში, რომელიც ბაზართან ხალხმრავალ ადგილას აფეთქდა. სასწრაფო დამხმარების მანქანები დაზარალებულების საავადმყოფოებში გადაყვანას ვერ აუდიოდნენ. ხელისუფლების შეფასებით, მოსალოდნელია აფეთქების მსხვერპლთა რიცხვის ზრდა. ბაზრის იმ ადგილას, ძირითადად, ქალებისთვის განკუთვნილი ნაწარმი იყიდება და შესაბამისად დაღუპულთა დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ. ბევრ სავაჭრო ჯიხურს ცეცხლი წაეკიდა. ერთ-ერთი შენობა ჩამოიშალა. არ არის გამორიცხული, შენობის ნანგრევებშიც ხალხი იყოს მოყოლილი.

თვითმხილველ აქუელ ურ რეჰმანის თქმით "ცეცხლმა რამდენიმე შენობა და მეჩეთი მძიმედ დააზიანა."

ჯერჯერობით ტერაქტზე პასუხისმგებლობა არავის აუღია. თუმცა, სავარაუდოდ, აფეთქება "თალიბანმა" მოაწყო. ოქტომბრის დასაწყისიდან მათ ბევრი აფეთქების ორგანიზება მოასწრეს, რომელთა შედეგადაც 200 ადამიანი დაიღუპა.

პაკისტანში გუშინ მომხდარი აფეთქება ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტს დაემთხვა. ამ ქვეყანაში სამდღიანი ვიზიტით ჩასული ჰილარი კლინტონი აფეთქების ადგილიდან სამი საათის სავალზე იმყოფებოდა. კლინტონმა პაკისტანის ხელისუფლებას და ხალხს ისლამისტურ-ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში სოლიდარობა გამოუცხადა. კლინტონის სიტყვებით, ბოლო კვირებში პაკისტანს ტერორისტული თავდასხმების ნიაღვართან მოუხდა გამკლავება. კლინტონმა პაკისტანის მცხოვრებლები დაარწმუნა,



რომ "თალიბანთან" ჩათრეულ ომში ისინი მარტო არ არიან.

ბოლო პერიოდში ბოევიკების აქტივიზაცია პაკისტანის არმიის მხრიდან ფართომასშტაბიანი ოპერაციის წამოწყების მიზეზი გახდა. დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს სამხრეთ ვაზირისტანის პროვინციაში მდებარე თალიბების შენაერთებთან. ანალიტიკოსთა შეფასებით, პეშევარში მომხარი აფეთქება იმ სირთულეების ილუსტრაცია გახდა, რომელსაც აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია ავღანეთსა და პაკისტანში "ალ კაიდასა" და თალიბების წინააღმდეგ ბრძოლაში წააწყდა.

ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის თქმით, იგი პაკისტანში იმ მიზნით ჩავიდა, რომ "ამერიკასა და პაკისტანს შორის საკმაოდ რთული ურთიერთობის ახალი ფურცელი გადაეშალა."

***მოამზადა თამთა კახაძემ***

# რევიუ

## ბიჭური ჯაზი ნიუ იორკიდან

პირველი გვერდიდან





გიგა გურასაშვილის ფოტო

თითქმის 18 წელია ერთად არიან და შესაძლოა, სწორედ წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება თუ შეჩვევის ფაქტორი განაპირობებს, რომ სცენაზე ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. ამასთან დაკავშირებით ჯონ მედესკი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს კიდეც: "ტრიო ჩვენთვის იდეალური შემადგენლობაა. ასე მგონია, ოთხნი რომ ვიყოთ, საერთო ენის გამონახვა გაგვიჭირდებოდა, ტერიტორიას ვერ გადავინაწილებდით, მეოთხე ყოველთვის ზედმეტი იქნებოდა. სამივე პატივს ვცემთ და ვიზიარებთ ერთმანეთის აზრს, მხარს ვუჭერთ ერთმანეთის იდეას და მას ერთად ვავითარებთ".

Medeski, Martin & Wood ოფიციალურად 1991 წელს შეიქმნა. მომდევნო წელს ტრიოს პირველი ალბომი Notes from the Underground გამოვიდა, რასაც მალევე მოჰყვა ტრიოსადმი ჯაზის მოყვარულთა დაინტერესება. 1995 წელი კი ჯგუფის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა - Medeski, Martin & Wood-მა ალბომი Friday Afternoon in the Universe გამოუშვა, რამაც ტრიოს მსოფლიოს სცენაზე გაუხსნა გზა. სწორედ ამ ალბომით აღებული ინერციის წყალობით MMW-ით ლეგენდარული ჯონ სკოფილდი დაინტერესდა, რასაც მათი ერთობლივი მუშაობა მოჰყვა: 1998 წელს გამოვიდა ალბომი A Go Go, ხოლო 2006 წელს Out Louder. "A Go Go-ს შექმნაში ჩვენ მხოლოდ ვმონაწილეობდით, Out Louder კი ჩამოყალიბებული ერთობლივი ნამუშევარი გახლდათ", - აღნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში კრის ვუდი. სკოფილდთან თანამშრომლობას ბენდის მიერ ერთ-ერთ წამყვან ჯაზის ლეიბლ Blue Note-სთან კონტრაქტის დადება მოჰყვა. რომელთანაც დღემდე ინარჩუნებენ ურთიერთობას.

Medeski, Martin & Wood მისი წევრი მუსიკოსების ძირითადი პროექტია, თუმცა ისინი პერიოდულად ჯაზის სხვა შემსრულებლებთანაც თანამშრომლობენ. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ჯონ მედესკი: "შემოქმედებითი ურთიერთობებისას საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებას იმის წყალობითაც ვახერხებთ, რომ თვითოეული ჩვენგანი პარალელურად სხვა მუსიკოსებთან ვმუშაობთ. ამრიგად კონკრეტულ ჩარჩოებში ვერ ვექცევით, რაც ჩვენს მუსიკალურ ზრდასა და განვითარებასაც განაპირობებს. ყოველი მათგანი სხვებთან მუშაობისას დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას ისევ და ისევ ჩვენს ბენდში ვდებთ, ერთმანეთს ვუზიარებთ. ამასთან, ვცდილობთ, არ განვმეორდეთ, არ მოვახდინოთ სხვების კოპირება. ამის შედეგს კი მსმენელი იმედია ხვდება, რადგან ჩვენს მუსიკას იღებს. მახარებს იმის გაგება, რომ ჩვენი არც ერთი ჩანაწერი ერთმანეთს არ ჰგავს - ეს ნიშნავს, რომ განვითარების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ამის გარეშე ჩვენს მუშაობას აზრიც არ ექნებოდა."

დღეს თბილისის ჯაზფესტივალის მსმენელის წინაშე დინი ვირსალაძის ბენდი (დინი ვირსალაძე, დავით მასტერანოვი, გურამ ტეცოშვილი) და იტალიელ ბასისტი რობერტო პუჯონი, ასევე Georgian Jazz Trio (დავით მაზანაშვილი, ნოდარ ექვთიმიშვილი, გიორგი სალაღიშვილი) და აზერბაიჯანელი საქსოფონისტი რაინ სულტანოვი წარსდგებიან.

## მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში

### პირველკურსელთა ფიცის დადების ცერემონია

ლაშა ჩხარტიშვილი

მარჯანიშვილების განახლებულ სახლ-მუზეუმში საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის პირველკურსელებმა საზეიმო ფიცი დადეს. ეს ტრადიცია დეველოპერული კომპანია "რედიქსის" ინიციატივით შარშან აღდგა. წელს ცერემონია უკვე მეორედ გაიმართა ქალაქ ყვარელში, მარჯანიშვილების ახლადგარემონტებულ სახლ-მუზეუმში, რომლის რეაბილიტაციაც კვლავ კომპანია "რედიქსთან", კერძოდ კი ლაშა პაპაშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 80-იან წლებში შემოღებულ იქნა პირველკურსელთა ფიცის დადების რიტუალი. სტუდენტები ფიცს დებდნენ, რომ ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლოს და როგორც პროფესიონალები, დაიცავდნენ ქართული ეროვნული კულტურის ტრადიციებს.

ფიცის დადების ცერემონია პირველ ხანებში თელავსა და ყვარელში კოტე მარჯანიშვილის სახლის მარანში ტარდებოდა. რიტუალის დროს რომელიმე ცნობილი მოღვაწე ახალბედა სტუდენტებს სახეზე უსვამდა გრიმს, როგორც გარდასახვის სიმბოლოს.

წელს პირველკურსელთა ფიცის დადებაზე ყვარელში შეიკრიბნენ ქართული თეატრის და მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ლიტერატორები და თეატრის კრიტიკოსები.

საზეიმო საღამო, რომელსაც "რედიქსის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მზია შარაშიძე უძღვებოდა, გაიხსნა ეტიუდების ფესტივალის გრანპრის მფლობელი ეტიუდით "ჯოკრები", რომლის ავტორი და რეჟისორია დრამის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ჯაბა პაპუაშვილი. ეტიუდის წარმოდგენის შემდეგ მომავალ მსახიობებს და მარჯანიშვილელთა მარანში შეკრებილ თეატრალურ საზოგადოებას მიესალმა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გოგი მარგველაშვილი: "უკვე მერამდენედ ვატარებთ ამ რიტუალს, ზოგჯერ ის ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენაზე ტარდებოდა, შემდეგ კი აქ, ამ მშვენიერ ადგილას დაფუძნდა. ეს არის აბსოლუტურად ლოგიკური. ვისურვებდი, რომ ქართული თეატრი რა დონეზეც ჩვენზე უფროსმა თაობამ აიყვანა, თქვენ მხოლოდ კი არ შეინარჩუნოთ, არამედ განავითაროთ. ის მონაცემები რაც გაქვთ მინდა სრულყოფილად იქნეს გამოყენებული და რეალიზებული. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს".



"სასიხარულოა, რომ შევძელით ამ სიმბოლური და ლამაზი ტრადიციის აღდგენა - განაცხადა ლაშა პაპაშვილმა - ეს მივიწყებული ცერემონია პირველად შარშან, სწორედ მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში განახლდა. მუზეუმის რესტავრაცია გასულ წელს დავამთავრეთ და მსურველებს უკვე შეუძლიათ ექსპოზიციის მონახულება. აქვე ჩატარდა თეატრალური პრემია "დურუჯის" გადაცემის ცერემონია. პირველკურსელთა ნათლობაც ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომელთაც მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმი მასპინძლობს. ვფიქრობ, ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება და ჩვენ შევძლებთ ქართული თეატრისა და კულტურის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას".

პირველკურსელებს ჩვეული იუმორით მიესალმა კოტე მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე: "იმედი ჩანს თქვენს თვალებში, რომელმაც უნდა შექმნას მომავალი ქართული თეატრი"- დასძინა მან.

ფიცის დადების ცერემონიალის უშუალო ჩატარების პატივი წელს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს დავით დვალიშვილს ერგო, რომელმაც პირველკურსელებთან ერთად წაიკითხა ტექსტი: "ვფიცავ ვისწავლი კეთილსინდისიერად და ბეჯითად, თვალისჩინივით გავუფრთხილდები ხელოვანის პროფესიის ღირსებას, პირნათლად ვემსახურები ქართულ ხელოვნებას, ერთგულად ვემსახურები ქართველ ხალხს". ფიცის დადების შემდეგ დაიწყო საკმაოდ მხიარული პროცესი მსახიობად მონათვლის რიტუალი,- ნაირფერი გრიმის სახეზე წასმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორმა გოგი მარგველაშვილმა, მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლევან წულაძემ, რეჟისორებმა, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორებმა გიორგი შალუტაშვილმა, ნუკრი ქანთარიამ, მსახიობებმა ნატო მურვანიძემ და დავით დვალიშვილმა.

რიტუალის დამთავრების შემდეგ მომავალი მსახიობები აღფრთოვანებას და მოჭარბებულ ემოციებს ვერ მალავდნენ, რაც მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში ჩატარებულ სახელდახელო კონცერტით დაშოშმინდა.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია წარმატებების გარდა პირველკურსელებს ფიცის გაუტეხლობა ვუსურვოთ.

## აფიშა

**29 ოქტომბერი**

### თეატრი

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
სიმებიანი კვარტეტის კონცერტი
დასაწყისი: 19.00

**მარჯანიშვილის თეატრი**
"წვიმის გამყიდველი"
დასაწყისი: 20:00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**
"მაკბეტი"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 20.00

**თეატრი ვერიკო**
"კონსენსუსი"
დასაწყისი: 19.00

**თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
თბილისის მე-12 საერთაშორისო ჯაზფესტივალი
Dini Virsaladze Group Featuring Roberto Puggioni
დასაწყისი: 20:00
Georgian Jazz Trio Featuring Rain Sultanov
დასაწყისი: 21.00

### კინო

**რუსთაველი**
"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00;
"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.30
"თბილისური Love Story"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.00; 22.15
"კოკო შანელი"
დასაწყისი: 12.00; 14.30; 17.00; 19.30; 22.00
"აგენტი-ზღვის გოჭები"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17,00; 19:00; 21:30.
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15

**ამირანი**
"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15;
"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.30
"თბილისური Love Story"
დასაწყისი: 20.15; 22.15
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 16.00; 18.00; 22.00
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 20.00

**საქართველო**
"მომღერალი თახვები"
დასაწყისი: 13.00;
"ღამე მუზეუმში"
დასაწყისი: 15:00; 17:00;
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 19:00
"თბილისური Love Story"
დასაწყისი: 21:00

### გამოფენა

**ბაია გალერეა**
ოლეგ ტიმჩენკოს პერსონალური გამოფენა
სარკეები და დეკორატიული კაფელი

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
ირაკლი აბაშიძე - 100;
ტრადიციული იაპონური თოჯინების გამოფენა

# თამაზ გამყრელიძე - 80

## ქართველი მეცნიერის საამაყო მემკვიდრეობა

თამარ კიკნაველიძე



23 ოქტომბერს ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს - თამაზ გამყრელიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მან არაერთი მილოცვა მიიღო. მათ შორის, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტისგან, აკადემიკოს ბ. ე. პატონისგან, რომელიც აღნიშნავს: "Талантливый ученый - языковед и истирик культуры, известный организатор науки и общественный деятель, Вы самоотверженно сдужите науке и обществу. Значителень Ваш вклад в области картвельского языкознания, индоевропеистики, семитологии. Ваш многолетний труд отмечень многими международными и отечественными премиями, правительственными наградами". ქართველი მეცნიერისადმი მადლიერებით აღსავსე სიტყვები არასოდეს დაუშურიათ, განსაკუთრებით მათ, რომლებიც იცნობენ თამაზ გამყრელიძეს და იციან იმ დამსახურების შესახებ, რომელმაც მას, როგორც პროფესიონალს, საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

ის 1929 წლის 23 ოქტომბერს ქუთაისში დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამ პერიოდიდან დაინტერესდა სხვადასხვა ტიპის ენების სტრუქტურის, ისტორიის საკითხებით და მალე სპეციალისტთა ყურადღებაც დაიმსახურა, განსაკუთრებით ძველი აღმოსავლური ენების, კერძოდ, ურარტულის, კვლევისას განსახილველი პრობლემებისადმი მიდგომის სიახლითა და ორიგინალობით. ურარტული ენის შესწავლის საქმეში წვლილი შეიტანა მის მიერ სტუდენტობისას შესრულებულმა სამუშაოებმა: "ურარტულ ენაში უღლების სისტემა" და "ურარტული ენის გრამატიკული სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი". უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მან აკადემიკოს გ. წერეთლის ხელმძღვანელობით გაიარა სემიტოლოგიური სკოლა და დარჩა უნივერსიტეტში, საიდანაც გაიგზავნა ლენინგრადში. მან ერმიტაჟში, პროფესორ ი. დიაკონოვის ხელმძღვანელობით გაიარა სპეციალიზაცია აღმოსავლეთის ძველ ენებში (აქადური, ურარტული, ხეთური), ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კი ფართო ზოგადლინგვისტური და საალმოსავლეთმცოდნეო მომზადება მიიღო.

თამაზ გამყრელიძემ საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - "ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები" 1965 წელს დაიცვა. მისი დისერტაცია იმდენად მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების ღირსად მიიჩნია. 1962 წელს მან სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა თემაზე - "ხეთური ენა და ლარინგალური თეორია". ამ დარგში შესრულებულმა სამუშაოებმა ქართველ მეცნიერს საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვა და საბჭოთა კავშირში ხეთოლოგიის ერთ-ერთ დამფუძნებლად მიიჩნიეს. მისი, როგორც მეცნიერის, დამსახურებაზე საუბრისას კოლეგები აღნიშნავენ, რომ "ხურიტულიდან ხეთური სოლისებრი წერის წარმოშობის ადრე გავრცელებული თეორიის საპირისპიროდ, თამაზ გამყრელიძემ წამოაყენა ახალი თვალსაზრისი ხეთური დამწერლობის წარმოშობის შესახებ ძველ-აქადური წყაროდან, რითაც განმარტა ხეთური სისტემის პალეოგრაფიული და ორთოგრაფიული თავისებურებანი, რომლებიც ძველი თეორიის მიხედვით გაურკვეველი რჩებოდა". 1967 წელს მისი სამუშაოები აკადემიკოსებმა, გიორგი წერეთელმა და გიორგი ახვლედიანმა, ასე შეაფასეს: "თამაზ გამყრელიძის შრომებს დიდი სიღრმე და ფართო დიაპაზონი ახასიათებს. დიდი ერუდიციისა და განსაკუთრებული ნიჭის მეცნიერმა მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, უკვე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ლინგვისტთა შორის".

როგორია აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მეცნიერული ინტერესები? მრავალფეროვანი. იგი ავტორია მრავალი ნაშრომის ინდოევროპული ენათმეცნიერების, სემიტოლოგიის, წინა აზიის ძველი ენების დარგში. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სხვადასხვა სისტემის ენათა ანალიზს, სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) ენების სტრუქტურისა და ისტორიის გამოკვლევებს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით შესრულებულ პირველსავე სამუშაოებში მის მიერ ახლებურად დაისვა ქართველური ენათმეცნიერების მთელი რიგი ტრადიციული საკითხები.

მეცნიერებისთვის ცნობილია "გამყრელიძის კანონი", რომელიც ისტორიულ ქართველურ ენებში სიბილიანტური რიგის ზოგადენობრივი ფონემების ასახვის დადგენილ კანონზომიერებას გულისხმობს. სპეციალისტების აზრით, "ამ კანონს მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეული ქართველური ენების ისტორიისათვის, არამედ იგი ზოგადლინგვისტურ და ზოგადმეთოდოლოგიურ მნიშვნელობას იძენს როგორც პრინციპი, რომელიც არაინდოევროპული ენების მასალაზე დაყრდნობით მიგვანიშნებს მკაცრი ფონემური კორესპონდენციების არსებობის აუცილებლობაზე ენებს შორის გენეტიკურ დამოკიდებულებათა დადგენისას".

ქართველური ენათმეცნიერების განვითარების ახალ ეტაპად არის მიჩნეული თამაზ გამყრელიძის მიერ გივი მაჭავარიანის თანაავტორობით შემქნილი მონოგრაფია "სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში". ის გერმანულ ენაზე საზღვარგარეთაც გამოიცა. ამის გარდა, მეცნიერის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფუნდამენტურ ორტომეულ გამოკვლევას, სახელწოდებით "ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ფუძე-ენისა და პროტო-კულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი". 1988 წელს მონოგრაფიის ავტორებს, თამაზ გამყრელიძესა და აკადემიკოს ვიაჩესლავ ივანოვს, ლენინური პრემია მიენიჭათ მეცნიერების დარგში.

თამაზ გამყრელიძე არჩეულია ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად, ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრად, ბრიტანეთის აკადემიის, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, ევროპული აკადემიის წევრად და სხვ. არჩეულია,ამერიკული ლინგვისტრუსი საზოგადოების საპატიო წევრად და ევროპული ლინგვისტური საზოგადოების წევრად, ინდოევროპული საზოგადოების (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) საპატიო წევრად. ლენინური პრემიის გარდა, არის ჰუმბოლტის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი.

"თამაზ გამყრელიძის მიერ განხორციელებულმა ქართველური და ინდო-ევროპული პროტო-ენების რეკონსტრუქციამ ახალი პერსპექტივები გადაშალა ისტორიულ და ტიპოლოგიურ ლინგვისტიკაში და სამუდამოდ შეცვალა გამოკვლევათა მიმართულებები ამ დარგებში. მეცნიერებმა დასაბამი მისცა პროტო-ენების რეკონსტრუქციის მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს სტრუქტურული ტიპოლოგიისა და ენობრივი უნივერსალიების მონაცემებს. მეცნიერის წვლილმა ენათმეცნიერებაში სამუდამოდ განსაზღვრა მისი საპატიო ადგილი ამ დისციპლინის განვითარების ისტორიაში", - ნათქვამია თამაზ გამყრელიძისთვის გადაცემულ ჩიკაგოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომში.

ქართველი მეცნიერი ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო ლინგვისტურ კონგრესებსა და ენათმეცნიერთა მნიშვნელოვან ფორუმებში. აკადემიკოსმა სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც ძველაღმოსავლური ენების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ამ აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში კი წინა აზიის ენათა განყოფილების გამგედ დაინიშნა. 1964 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა. 1973-2005 წლებში ხელმძღვანელობდა გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად, 2005 წლის იანვრიდან კი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად. 1981-91 წლებში თამაზ გამყრელიძე იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებასთან არსებული ფონეტიკისა და ფონოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 1988-98 წლებში - საკავშირო, მოგვიანებით რუსეთის, აკადემიური სამეცნიერო ჟურნალის, სახელწოდებით "ენათმეცნიერების საკითხები" მთავარი რედაქტორი, ასევე, ქ. ტალინში ჩატარებული ფონეტიკურ მეცნიერებათა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი.

1985 წელს მეცნიერო საკავშირო უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატად აირჩიეს. იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის წევრი. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერობათა კომიტეტს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის საკოორდინაციო საბჭოს. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაში, რომელიც 1989 წლის 25 მაისიდან 9 ივნისამდე ჩატარდა. ამ ყრილობაზე გამოსვლისას მან აქცენტი გააკეთა თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიაზე და მკაცრად გააკრიტიკა მაშინდელი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა.

ცნობილია, რომ ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო პრეზიდენტ თამაზ გამყრელიძესთან ერთად მუშაობს მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაზე, რომელიც გულისხმობს აკადემიის სისტემაში ნებისმიერი სამეცნიერო ინსტიტუტის, ნებისმიერი სამეცნიერო სტრუქტურის დაბრუნებას. სასიხარულოა, რომ 80 წლის აკადემიკოსი აქტიურ ცხოვრებას ეწევა და საამაყო მემკვიდრეობას გვიტოვებს. აქვე, მადლობას მოვახსენებთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, რომელმაც თამაზ გამყრელიძის შემოქმედებით ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მასალები მოგვაწოდა.

# არტინტერვენცია

ედიშერ ბერაძე

რიტორიკაშიც წერია და ილიასც უთქვამს ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს კაცმაო. მაგრამ, ბოლო დროის თბილისის განახლებისა და განვითარების ყველა პროექტი მე-19 საუკუნის საფუძვლებიდან იღებს სათავეს. გასაგები ტენდენციაა, ქალაქის ძირითადი კოლორიტი სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და დღემდე მეტნაკლებად შენარჩუნდა. თანაც კარგია, რომ ბოლო დროის ახალმშენებლობების უხეში შემოჭრა თბილისის ისტორიულ ნაწილში რაღაც ჩარჩოში მოექცა.

პირი ისეთი უჩანს, რომ სახელმწიფო ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას ტურისტული მიმართულებით აწესრიგებს.

მაგრამ, ერთი უარყოფითი მხარე ნამდვილად აქვს ამ საყოველთაო ფაციფუცს. როგორც ხშირად გვჩვევია, ერთიდან მეორე უკიდურესობაში გადავვარდებით ხოლმე. უკვე ყველა დონეზე შეინიშნება სისტემატიური მიბაძულობა მე-19 საუკუნის სტილის მიმათ, "ქართული აგურის" ფაქტურიდან დაწყებული, დამთავრებული ყოველივე ძველის ხელუხლებლად შენარჩუნების ლამის პარანოიული მოთხოვნით.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქვეყანა, რომელიც პროგრესულობით დიდად ვერაფერში დაიკვეხნის, იძულებულია თავისი თანამედროვე ცხოვრება ისტორიაზე აპელირებით წარმართოს. უახლოეს მომავალში აუცილებლად მოგვიწევს ყოველივე ამას გაცილებით სიცოცხლისუნარიანი მიმართულება დავუპირისპიროთ, სანამ მთელი თბილისი რესტორნების ესთეტიკის მიხედვით არ მოწყობილა.

ბეთლემის უბანი ძველ თბილისში ის ერთადერთი ადგილია რომლის ხელყოფა თანამედროვეობის ვერცერთ სახელოვან "დეველოპერს" ვერ ხელეწიფება. ნარიყალას ძირში, კლდის ქიმზე შეფენილი საოცარი ადგილი მიუწვდომელია ნებისმიერი უხეში ნოვაციისათვის. გარდა ამისა, ეკლესიებისა და ათეშგა-მეჩეთის მისტიკა ისეთ სივრცეს ქმნის, რომ უმალ ბეთლემის ქუჩა-კიბის პირველივე საფეხურებზე დაამთავრებენ არსებობას "ცენტრ პოინტები" და "აქსისები", სანამ შავი კორპუსებითა და "თაუერსებით" შეესევიან ამ გამაოგნებელ ხელოვნებას. მაგრამ, ერთი შეუსაბამობა მაინც თვალშისაცემია: ყველგანმავალი შავი ჯიპები აქაც შემომძვრალან და ურცხვად მოუწყვიათ "პარკინგი" ულამაზესი აივნების ქვეშ. როცა ამას ხედავ, ზრდილობის გულისთვის გოიმობას ეძახი, თორემ გულში აუცილებლად მაგრად იგინები. და მაინც, ძველი თბილისის ჭირისუფალთ შედარებით მშვიდად შეუძლიათ იგრძნონ თავი ქალაქის ამ ნაწილში მაინც.

სიმართლე რომ ითქვას, "სიძველისადმი გრძნობა-პატივი" ძნელად შესალევი სტერეოტიპია, როცა იმყოფები "საზღვარზე მეიდნისა და სოლოლაკისა", სადაც აშპაშხანაც აქვეა და ყარაჩოხელების, კინტოების, ზურნა-დუდუკის წარმოდგენაც ადვილია ადამიანის ფანტაზიისთვის. სოსო გრიშაშვილისა არ იყოს, ასეთი სურათით მოხიბლულმა შეიძლება მართლა ანდამატივით დაუწყო დარაჯობა ძველი თბილისის კარებს. მაგრამ, ჭეშმარიტად გეტყვით, ბეთლემის უბანში "საზოგადოებრივი ხელოვნების პროექტის" განხორციელებამ გვიხსნა ყველანი ასეთი მიჯაჭვულობისაგან.

2-4 ოქტომბერს "არტ-ზონა თბილისი-პოლონეთის" ეგიდით მოწყობილი "საზოგადოებრივი ხელოვნების პროექტი ბეთლემის უბანში" იყო ისეთი ექსპერიმენტი, რომელმაც კარგად დაგვანახა თუ როგორ შეიძლება შენარჩუნდეს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობა მისი რადიკალური ტრანსფორმაციის გარეშე.

პატარა საბა ბეთლემის უბანში ცხოვრობს. ციცაბო კიბეს აივლი და წითელი ხის კარებს მიადგები. აკაკუნებ. კარი შეიძლება საბამ გაგიღოს. თუ არა, ესე იგი არ სცალია. ერთ ციცქნა ეზოში ან ველოსიპედს დააქროლებს ან "მაკდონალდსში" წასაყვანად ამზადებენ. საბას ეზოს მოაჯირი აქვს და შესანიშნავი ხედი. შუშაბანდის გასწვრივ ლამაზი ყვავილები ჩაუმწკრივებიათ. საერთოდ,





გურამ წიბახაშვილის ფოტოები

ქოთნის ყვავილების ესთეტიკა საოცრად განვითარებულია ბეთლემის უბანში, ჩვეულებრივ თითქმის ყველას აქვს. ეს კარმიდამო სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ საბას ეზოში ათეშგა "უდგას", მეხუთე საუკუნის ზოროასტრიზმის საკულტო ნაგებობა, ცეცხლის ტაძარი, მოგვიანებით მეჩეთი. დღეს კი საკმაოდ კარგად მოვლილი და შენარჩუნებულია. უცხო ადამიანი აქ არავის უკვირს, ტურისტები სისტემატიურად მოინახულებენ ცეცხლის ტაძარს. მაგრამ, დღეს და მომდევნო ორი დღის განვმალობასი ათეშგამ ხელოვნების აქციას უნდა უმასპინძლოს.

არტისტი მამუკა ჯაფარიძე ტაძარში ფრთხილად ჩადის და კლდის საძირკველზე რაღაც ფიგურას მკრთალად ხატავს. მერე უკან ბრუნდება და ჩასასვლელში პატარა მაგიდას დგამს. მაგიდაზე აბსენტი ჩნდება, მე-19 საუკუნის მოდერნისტების მთავარი სტიმულატორი, ნატეხი შაქარი და პატარა ჭოგრიტი. სასმელის მომზადება აბსენტიან შაქარზე ცეცხლის წაკიდებით ხდება. მერე თბილ და ტკბილ სპირტს გადაკრავ და ჭოგრიტით ან ნახატს დააკვირდები ან მის მიღმა რაიმეს, გააჩნია რამდენად იმოქმედებს სასმელი.

ათეშგაზე აქციის სტუმრების გამასპინძლება ამ მეთოდით ხდებოდა. პატარა საბას კი შაქრის ნატეხი მუდამ პირში ედო (აბსენტის გარეშე რასაკვირველია) და ისევ დააქროლებდა ველოსიპედს ხალხით გატენილ ეზოში.

სამი დღის განვმალობაში პირველი სტუმრები როგორც წესი იმ უბნელი ბიჭები იყვნენ. შესანიშნავი ადამიანები, საოცრად ტოლერანტულები ყოველივე მსგავსი უცნაურობის მიმართ. შემოვიდოდნენ, ჭიქა აბსენტით გაიხსნიდნენ მადას და შემდეგ აგურის მოაჯირზე ჩამოსხდებოდნენ ან დომინოს შეუბერავდნენ.

ცეცხლის ტაძარიც კარგია და ლამაზი ხედიც ძველ თბილისზე, მაგრამ ბეთლემის უბანში სხვაც ბევრი საინტერესო ხდებოდა იმ დღეებში. ძირითად საორიენტაციო საშუალებად უხარისხო ქაღალდზე დაბეჭდილი რუკა გახლდათ, რომელსაც ძნელად თუ ენდობოდა კაცი. უკეთესი იქნებოდა თუ კითხვა-კითხვით მიაგნებდი რომელიმე აქციის ადგილს.

გომის ქუჩაზე, რომელიღაც სახლის სარემონტო სამუშაოებთან ერთად რუსიკო ოუთის ვიდეოც იყო წარმოდგენილი. ცემენტში ამოსვრილი და "არმატურაზე" მოჯაჯგურე მუშები ადვილად ხვდებოდნენ გზააბნეული დამთვალიერებლების გასაჭირს და იქვე სარდაფში ჩამავალ კიბეზე მიუთითებდნენ. სარდაფის ერთი კედელი ეკრანად იყო გათვალისწინებული. სიბნელეში პროექტორი არ ჩანდა, მითუმეტეს რომ კედელზე კადრები პერიოდულად ჩნდებოდა. თუ ბეთლემის უბანში საზოგადოებრივი საპირფარეშოების პრობლემას გავითვალისწინებთ, სარდაფში არცთუ ხელოვნებასთან საზიარებლად ჩასული ადამიანი რა დღეში ჩავარდებოდა უეცრად ანთებული ეკრანის წინასე ადვილი წარმოსადგენია.

"ხელოვნების პროექტის" საერთო შეფასების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასშტაბური აქცია გაცილებით საინტერესო იქნებოდა უფრო მეტად რომ ყოფილიყო ათვისებული ღია ცის ქვეშ სივრცეები: ქუჩები, აივნები, თავშეყრის ადგილები. თუმცა ამ თვალსაზრისით გამონაკლისიც არსებობდა. მაგალითად, ცუმბოჯგუფის მიერ წარმოდგენილი ხის კიბის კონსტრუქცია სათვალთვალო ხვრელით ვიზუალურადაც საინტერესოდ გამოიყურებოდა ბეთლემის სამრეკლოს ფონზე. მითუმეტეს, რომ სარიტუალო და საყოფაცხოვრებო ობიექტების თამამი კომბინაცია აქაურობისთვის უცხო არასოდეს ყოფილა.

გაცილებით აქტუალური იყო მარგო კორაბლიოვას პერფომანსი "ორი ფანჯარა" ბეთლემის 10 ნომერში. სარკმლიდან გადმოკიდებული ანკესი შავი პურით, დოლარის სიმბოლოიანი ვედრო და გაზის მილზე "მისკოჩილი" გოგონა პროვოკაციისთვის საკმაო საფუძველს ქმნიდა. მაგრამ პერფომანსის სიმძიმის ცენტრი მაინც შენობაში იყო. მოძველებულ კიბეებზე ასული ადამიანი კარებზე დაკიდული ფარდის იქით შეყოფდა თავს თუ არა მაშინვე დაკარგავდა ორიენტაციას ფიქტიურსა და რეალურს შორის. აქ მონაწილე არტისტებიც და ოჯახის დიასახლისიც სრულ ინტერაქციაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან და დამთვალიერებელიც ამ პრინციპით ითქვიფებოდა ოთახების საოცრად ჭრელ გარემოში.

აქციების მოკრძალებული და ნაკლებპროვოკაციული ხასიათი ალბათ ჟან-ლუკ გოდარის ფრაზამაც განაპირობა, რომელიც პროექტის ორგანიზატორებს რატომღაც დევიზად ქონდათ გამოტანილი: "ნურაფერს შეცვლი, რათა ყველაფერი განსხვავებული იყოს". რაიმეს რადიკალურად შეცვლის სურვილი არც ჰქონია "ხელოვნების პროექტში" მონაწილე არტისტების უმრავლესობას. ამიტომ, მათი ნამუშევრები ძირითადად ძველი სახლების შორეულ კუნჭულებში და ძნელად მისაგნებ ადგილებში იყო განთავსებული. თუმცა, ფოტოგრაფ გურამ წიბახაშვილის კოლაბორაციული პროექტი აგრონომ ალექსანდრე ოვანიანის საოჯახო პლაკატებთან ერთად, ხელოვნების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად ქცევის კარგი მაგალითი იყო. ასეთი დამოკიდებულება ყველაზე მეტად ალბათ ორგანიზაცია Iცომოს აწყობდა, რომელიც ბეთლემის უბნის განახლების, აღდგენისა და კონსერვაციის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის წევრები პროექტში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ლექციების კურსებით. გარდა ამისა, საინტერესო იყო მათი სამუსაო ოფისი, რომელიც ლექციებისაგან თავისუფალ დროს წარმოდგენილი იყო როგორც ინსტალაცია-ობიექტი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია "ბულიონ გრუპ"-ი, რომელიც ბეთლემის უბანში ორ აქციას წარმოადგენდა: "აპარტამენტი 4"-პერფომანსი გორდონ მატა-კლარკისეული პათოსით და "სუფრა", რომელიც ჩართულობის, თანამონაწილეობის და ღია სივრცის ათვისების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა. ზემო ბეთლემის ტერასაზე გაშლილი სუფრა ერთი შეხედვით ტრადიციული ქართული ცერემონიალის შთაბეჭდილებას ტოვებდა: თამადით, მერიქიფით და მანდილოსნების პრივილეგირებული მდგომარეობით. თუმცა, როგორც შემდეგში გაირკვა, ეს ყველაფერი უფრო "გზებზე სუფრის გადაფენას" ჰგავდა, სადაც მართალია დიდი გულმოდგინებით არავინ გეპატიჟება და არც ღვინოს გაძალებს ვინმე, მაგრამ ინგლისური ამბავისა არ იყოს შენ თავს შენვე შეგიძლია უშველო.

თბილისის შესანიშნავი ხედის ფონზე გამართული "ქეიფი" ასე ნელ-ნელა აჩენდა სტეროტიპების მსხვრევის ტენდენციას და თქვენ წარმოიდგინეთ გვარიანი პროვოკაციისთვისაც გვამზადებდა. როგორც შემდეგში გაირკვა, იმ დღეებში ვინც ჭიქა ღვინო ასწია და ლუკმა გატეხა ძალაუნებურად ყველანი სოლოლაკის ქედზე მდგარი ქართლის დედის დაბადების დღის ცერემონიალში ვიღებთით მონაწილეობას.. თანაც, პერფომანსის კონცეპტიდან გამომდინარე, ჰერმაფროდიტი ქართლის დედისა. დაუვიწყარი იყო ყოველივე ამაზე ბეთლემის უბნელი ქალბატონის აღშფოთებული რეაქცია. რაოდენ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ყოველივე "შერეკილი" უცხოელებისთვის დაგვებრალებინა.

მაგრამ, მე უფრო ლამაზი ამბავი მახსენდება ამ პერფომანსთან დაკავშირებით: "სუფრას" ხშირად სტუმრობდა ერთი იქაური დარდიმანდი და მოქეიფე კაცი. ჭიქით ხელში სადღეგრძელოებს იძახდა, ყველას ესიყვარულებოდა. ერთხელაც ეკლესიის ეზოში დაკრეფილი წითელ-ყვითელი ვარდებით დაბრუნდა და შესანიშნავი რევერანსით ჩამოურიგა სუფრის წევრ მანდილოსნებს. მერე ეს კაცი გომის ქუცაზე ვნახე. აგურის მოაჯირზე იჯდა. გარინდებული იყო და სევდანარევი ბედნიერება ეტყობოდა.

სულ ყველაზე ბოლოს ისევ სოლოლაკის ქედზე მდგარი სკულპტურა მაგონდება. არ ვიცი აბსენტის ბრალი იყო თუ არა, მომეჩვენა ,რომ ქართლის დედა თასით ხელში სამადლობელს გვეუბნებოდა, გაბრაზება სულ არ ეტყობოდა. ესეც რომ არა, დარწმუნებული ვარ ძუძუები მაინც დაგვლოცავდნენ.

ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას; ოქტომბრის იმ ლამაზ დღეებში განხორციელებულმა არტისტულმა ინტერვენციამ მთელი სამყარო თუ არა, ბეთლემის პატარა უბანი ნამდვილად კიდევ უფრო გააკეთილშობილა.

---

ყოველ ხუთშაბათს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და "24 საათის" ერთობლივი პროექტი

**ხელნაწერები**

## გეორგიევსკის ტრაქტატი



ქართულ საისტორიო საბუთებს შორის არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის მომავალი განსაზღვრა. ამ მხრივ, განსაკუთრებული ღირებულებისაა გეორგიევსკის ტრაქტატი - სახელმწიფოებრივი ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის, რომელიც კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს დაიდო და სახელწოდებაც ამ ციხისგან მიიღო. ციხე-სიმაგრე იმჟამად კავაკასიის ხაზის რუსთა სარდლის შტაბ-ბინას წარმოადგენდა. რუსეთის მხრიდან მას ხელი მოაწერა პავლე პოტიომკინმა, ხოლო ქართლ-კახეთის მხრიდან - იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ.

ხელშეკრულების ტექსტი შედგება პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 სეპარატიული (საიდუმლო) მუხლისაგან. მას დართული ჰქონდა ფიცის ტექსტი, რომელიც მეფე ერეკლეს უნდა მიეღო რუსეთის იმპერატორის ერთგულების ნიშნად და ასევე ქართლ-კახეთის მეფეთა კურთხევის წესი.

ტრაქტატი ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ. 1784 წლის 19 იანვარს თბილისში ჩამოვიდა პოლკოვნიკი ვ. ტამარა, რომელმაც ერეკლე II-ს გადასცა ეკატერინე II-ის სარატიფიკაციო სიგელი და საინვესტიტურო ნიშნები: სიგელი, გვირგვინი, სკიპტრა, ხმალი, სამეფო მოსასხამი და დროშა. 24 იანვარს თბილისის სიონის ტაძარში წირვის შემდეგ ერეკლე II-მ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და მიიღო ფიცი რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ამის შემდეგ მოხდა ტრაქტატის ეგზემპლარების გაცვლა. ერეკლეს ხელმოწერილი ცალი გაიგზავნა რუსეთში, ხოლო ეკატერინე II-ის მიერ ხელმოწერილი დარჩა თბილისში, რომელიც მეფის კარზე ინახებოდა, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია. შესაძლოა, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის მხოლოდ ქართული დედნები მოგვეპოვება:

1. 1783 წ. 24 ივლისს გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატის ქართული ტექსტი, რომელიც ინახება ქ. მოსკოვის რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში.

2. ერეკლე II-ის მიერ 1784 წლის 24 იანვარს რატიფიცირებული ტექსტი. ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერატორს გაეგზავნა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1922 წელს, სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად, დაუბრუნდა საქართველოს. ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შემდეგი შიფრებით: H-2073ა და H-2073ბ.

H-2073ა ხელნაწერი შედგება 8 ფურცლისაგან. ტექსტი ნაწერია დიდი ფორმატის თეთრ ეტრატზე შავი მელნით, შეიცავს სარატიფიკაციო შესავალს, ტრაქტატის 13 ძირითად მუხლს, ფიცის ნიმუშს და ერეკლეს აღთქმას.

H-2073ბ ხელნაწერი შედგება 6 ფურცლისაგან. მისი ტექსტი შეიცავს 4 სეპარატიულ მუხლს, ასევე თავისი სარატიფიკაციო შესავლითა და დასკვნებით. საბუთს ხელს აწერენ: პავლე პოტიომკინი, იოანე ბაგრატიონი, გარსევან ჭავჭავაძე და ბოლოს მეფე ერეკლე II. მეფის ხელმოწერას ამოწმებენ დავით ორბელიანი და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.

სიგელი ნაწერია მხედრულით, ცალკეული სტრიქონები ასომთავრულით, ხელნაწერი საგანგებო ზონარით არის აკინძული, რომლის ბოლოზეც მიმაგრებულია სამეფო ბეჭდის საცავი თითბრის ორი მრგვალი ყუთით. ყუთის ხუფზე დამაგრებულია ჭედური რგოლი და ქართული ბეჭდის ამსახველი ფირფიტა. მის ზედა ნაწილში გამოსახულია რუსეთის იმპერიის გერბი - ორთავიანი არწივი, სიმბოლური მნიშვნელობით, რომ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში შევიდა.

ტრაქტატს დაერთო ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სია, რადგანაც ხელშეკრულების პირობების თანახმად, ქართველი წარჩინებულები იმავე პრივილეგიებს იღებდნენ რუსეთში, რითიც თავად რუსი არისტოკრატია სარგებლობდა.

*თეა ქართველიშვილი*
*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **სახურავების გადახურვისა და სარემონტო სამუშაოების** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 3 ლოტად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2.

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

**3.** სახურავების გადახურვა და სარემონტო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2009 წლის 20 დეკემბრამდე.

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის **ტენდერში მონაწილეობის საფასურის** გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 10 ნოემბრის 18 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 11 ნოემბრის 12 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამარჯვებულის მიმართ გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**ფიზიკურ პირთათვის:**

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

• სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

• ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის **11 ნოემბრის 12:00 საათამდე,** არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: ინგა ხვედელიძე, ნინო ყანჩაველი ტელ: +995 32 935050; +995 32 357777 შიდა 1601, 1602, 1603, 1604, 1605. მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია".

**სატენდერო კომისია**
**29 ოქტომბერი 2009 წელი**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **ავტობაზებში განათების ქსელის მოწყობის** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 3 ლოტად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ დოკუმენტაციას შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2.

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

**3. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა: 25 დეკემბერი.**

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის **ტენდერში მონაწილეობის საფასურის** გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 10 ნოემბრის 18 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**ტენდერში მონაწილეობის საფასური** შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 11 ნოემბრის 11 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**ფიზიკურ პირთათვის:**

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

• სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

• ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 11 ნოემბრის 11 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: ინგა ხვედელიძე ტელ: +995 32 935050; +995 32 357777 შიდა 1601, 1602, 1603, 1604, 1605. მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია".

**სატენდერო კომისია**
**29 ოქტომბერი, 2009 წელი**

## განცხადება

სსიპ თბილისის 84-ე საშუალო სკოლა აწყობს ტენდერს: ა) შენობის პირველ სართულზე სწრაფი კვების ობიექტის (ბუფეტის) ასამუშავებლად 5,47 კვ.მ ფართის იჯარის წესით გაცემასთან დაკავშირებით; ბ) სპორტული დარბაზის 153,39 კვ.მ ფართის იჯარის წესით გაცემასთან დაკავშირებით სახელოვნებო და სპორტული წრეების ასამუშავებლად.

აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ განცხადებით სატენდერო კომისიას. საბუთების მიღება წარმოებს 23 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე, დილის 10 სთ-დან საღამოს 16 სთ-მდე, ხოლო ტენდერი ჩატარდება 23 ნოემბერს, 15 სთ-ზე.

მისამართი: ქ. თბილისი, წურწუმიას ქ. №17; ტ: 77-90-80; 74-76-55.

**სატენდერო კომისია**

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა
"ოფთალმიჯი"
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით
ს ი ა ხ ლ ე !
მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# ფიბა-ევროპამ მიზანში ამოგვიღო

გიგა გურასაშვილი

*ქართული კალათბურთის B დივიზიონიდან ელიტაში დაწინაურებამ ის მოგვიტანა, რომ ფიბა-ევროპამ დამატებითი ყურადღება მიაპყრო ქართულ კალათბურთს. ეს იმაში გამოიხატა, რომ ორი დღის განმავლობაში თბილისს ფიბა-ევროპის მაღალჩინოსნები - გენერალური მდივანი ნარ ზანოლინი და ფინანსური დირექტორი იან ბერტენინგი სტუმრობდნენ. სტუმართა უმთავრესი მიზანი იყო საქართველოში არსებული საკალათბურთო ატმოსფეროს და ინფრასტრუქტურის გაცნობა და რიგი საკითხების განხილვა, მათ შორის, 2011 წელს ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ასაკობრივი ჯგუფის შესარჩევი ეტაპის საქართველოში ჩატარება.*



გოგიტა ბახაიძის ფოტო

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია 2011 წლის ევროპის ასაკობრივი ტურნირის მასპინძლობისთვის იბრძვის და საამისოდ სტუმრებს წინადადებით მიმართა.

"ქართული კალათბურთის მომავალსა თუ პერსპექტივაზე დაახლოებით შვიდი საათის განმავლობაში ვმსჯელობდით. ჩვენი სტუმრობის მიზანია შევაფასოთ, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ქართული კალათბურთისთვის, მით უმეტეს, ახლა, როდესაც ელიტაში აღზევდით. ევროპის საუკეთესო ოცეულში ყოფნა დიდი მიღწევაა ნებისმიერი ქვეყნისთვის, მით უფრო, საქართველოსთვის, რომელიც არაერთი პრობლემის წინაშე დგას, - კაფე "მსოფლიო სპორტში" პრესკონფერენციაზე აცხადებდა ფიბა-ევროპის გენერალური მდივანი ნარ ზანოლინი, - მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ ნიკა რურუასთან. მასთან საუბრისას დავრწმუნდით, რომ დიდი ენთუზიაზმის მქონე ადამიანია. მასთან შეხვედრისას განვიხილეთ ორი დარბაზის განახლების შესაძლებლობა. ამასთან, დავპირდით 2011 წელს საქართველოში ასაკობრივი ჩემპიონატის ჩატარებას. მისი მხრიდან სასიამოვნო მოსასმენი იყო, რომ უშუალო კონტროლზე აიყვანს საქართველოში კალათბურთის განვითარებას. მინდა ვთქვა, რომ ჩვენ აქ პოლიტიკური ნება დავინახეთ.

კალათბურთის განვითარებისთვის საჭიროა ისიც, რომ კომერციულმა ორგანიზაციებმა მეტი კონცენტრაცია მოახდინონ რეგიონებში კალათბურთის განვითარებისთვის. ჩვენი მხრივ, პირობას ვდებთ, რომ საქართველოში კალათბურთის განვითარებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

აუცილებელია, რომ გაიზარდოს საკალათბურთო კლუბების რაოდენობა, რაც გაზრდის კონკურენციას და სპორტის ამ სახეობასაც მეტი მსურველი გამოუჩნდება. საქართველოს სჭირდება ჰყავდეს მეტი კალათბურთელი. მისახედია ქალთა კალათბურთიც. მიკვირს, ასეთი ტრადიციების ქვეყანაში ქალთა კალათბურთი რომ ვერ არის სათანადო დონეზე. კარგი იქნება, თუ ამ მხრივ მუშაობას გააძლიერებთ.

დავათვალიერეთ სპორტული დარბაზებიც, რომლებსაც განახლება სჭირდება. მშენებლობის პროცესში არა, მაგრამ ტექნიკურ საკითხებში დახმარებას აღმოგიჩენთ. ბურთებით, ფარებით, ელექტროტაბლოებით თუ კალათბურთისთვის საჭირო სხვა საშუალებებით შეგეწევით. ჩვენს თავზე ავიღებთ მწვრთნელებისა და მსაჯებისთვის სემინარების მოწყობას.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, მჯერა, ქართულ კალათბურთს კარგი მომავალი აქვს. ჩვენი მიზანიც ეს არის - გვყავდეს ძლიერი ოჯახი".

# ბრიტანეთში ახალ ქინქლაძეს ელიან





*ბრიტანეთში ანანიძეს ახალ ქინქლაძედ მოიხსენიებენ*

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველ ჯანო ანანიძეზე შესაძლოა სულ მალე ნამდვილი სატრანსფერო ომი დაიწყოს. ევროპული ფეხბურთის გრანდები ქართველის გადაბირებას ცდილობენ. შთამბეჭდავია იმ კლუბების სიაც, რომლებსაც ჯანოს შეძენა სურთ, თუმცა მოსკოვის "სპარტაკი" უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველი ფეხბურთელის გაყიდვას არ გეგმავს.

ჯანოს შესახებ უცხოურ მედიაშიც ბევრი იწერება. გთავაზობთ ბრიტანულ გაზეთ daily-mail-ში გამოქვეყნებულ ეშლი გრეის მცირე სტატიას, რომელიც ქართველს ეხება.

"ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი იმ სპეციალისტთა სიას შეუერთდა, რომლებსაც ქართველი ვუნდერკინდის ჯანო ანანიძის შეძენა სურთ.

"არსენალი" კარგა ხანია ნადირობს მოსკოვის "სპარტაკის" 17 წლის ნახევარმცველზე, თუმცა "მეთოფეები" ანანიძის შეძენის მსურველთა შორის მარტო როდი არიან. "სევილია", "იუვენტუსი", "მილანი", ახლა უკვე "ლივერპული", "სიტი" და "მანჩესტერი" - აი, იმ გუნდების სია, ვისაც ახალი გიორგი ქინქლაძის შეძენა სურთ.

თუმცა, "სპარტაკის" სპორტული დირექტორი დმიტრი პოპოვი ამბობს, რომ ახალგაზრდა ქართველს მოსკოვური კლუბი მანამდე არ გაყიდის, სანამ ანანიძეს 20 წელი არ შეუსრულდება.

"მეც გავეცანი ამ სტატიებს. სულაც არ გამკვირვებია იმ კლუბების ჩამონათვალი, რომლებსაც ჯანოს შეძენა სურთ, განსაკუთრებით პირველი ორი (პოპოვი "არსენალს" და "იუვენტუსს" გულისხმობს). თუმცა, მინდა განვაცხადო, რომ უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში, რაოდენ სარფიანი წინადადებაც არ უნდა მივიღოთ, ჯანოს ტრანსფერზე ჩვენი გუნდი არავის დაელაპარაკება. ასეთ წინადადებას არც კი განვიხილავთ".

12 წლის ანანიძე ქართულ კლუბ თბილისის "დინამოში" ირიცხებოდა. შემდეგ მან წელიწადი და ხუთი თვე კიევის "დინამოში" დაჰყო, ორი წლის წინ კი მოსკოვის "სპარტაკთან" გააფორმა კონტრაქტი. ამავე პერიოდში ანანიძის ხელში ჩაგდება სურდათ მიუნხენის "ბაიერნს", დორტმუნდის "ბორუსიას" და რამდენიმე ინგლისურ კლუბს.

ანანიძის აგენტის თქმით, ფეხბურთელის შეძენით რამდენიმე ევროპული კლუბი იყო დაინტერესებული, თუმცა, რეალური შემოთავაზება მხოლოდ "სპარტაკიდან" მოვიდა.

ოქტომბრის დასაწყისში ჯანო 17 წლის და 8 დღის იყო, როდესაც რუსული პრემიერლიგის რეკორდსმენი გახდა. ის ყველაზე ახალგაზრდაა პრემიერლიგის ისტორიაში იმათ შორის, ვისაც კი გოლი გაუტანია. ეს გოლი ჯანომ მოსკოვის "ლოკომოტივის" კარში გაიტანა.

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ჯანომ უკვე მოასწრო საქართველოს ნაკრებში თამაში, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იტალიის წინააღმდეგ გამართულ მატჩში კი მინდორზე 90 წუთი გაატარა.

ჯანოს შეძენის მსურველი ბევრია, თუმცა, ფეხბურთელს "სპარტაკთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს".

## ფაბრეგასის ოცნება

"არსენალისა" და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაზე ოცნებობს. 22 წლის ესპანელმა საფუძველი ჩაუყარა ესტონეთის განადგურებას 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. ამ წარმატებამ ესპანელებს სამხრეთ აფრიკის საგზური მოაპოვებინა.

"შესარჩევი ჯგუფიდან გასვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ ეს იმ მიზნის მცირე ნაწილია, რაც დავისახეთ. მსოფლიო ჩემპიონატისთვის ჩვენ აუცილებლად საუკეთესო ფორმაში უნდა ვიყოთ და მოვიგოთ ის. ეს ჩემი ოცნებაა", - განაცხადა სესკ ფაბრეგასმა.

## მაგათმა ნოიერი გამორიცხა

გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად, ფელიქს მაგათი აცხადებს, რომ მანუელ ნოიერის გაყიდვა გამორიცხულია. გერმანული მედია კი წერდა, თითქოს ნოიერის ტრანსფერი "ბაიერნში" უკვე გადაწყვეტილია. ვალების გამო თითქოს "შალკე" მეკარეს აუცილებლად გაყიდდა, თუმცა ყველაფერი ეს გელზენკირხენელთა მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა უარყო.

"ფინანსურად დალხენილნი ჩვენ არც ზაფხულში ვიყავით, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოთამაშეების გაყიდვას მაშინაც ბევრი გვიწინასწარმეტყველებდა, ჩვენ არავინ გაგვიყიდია, - თქვა მაგათმა, - თუ რომელიმე მოთამაშე წასვლას მოისურვებს, ცხადია, ჩვენ მზად ვართ, შესაბამისი წინადადებაც განვიხილოთ, მაგრამ ნოიერზე ეს არ ვრცელდება. ის გამონაკლისია".

## "ლაციო" სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურებს

იტალიური "ლაციოს" მთავარი მწვრთნელი დავიდე ბალარდინი აცხადებს, რომ იანვრის სატრანსფერო სეზონზე რამდენიმე ფეხბურთელის შეძენას აპირებს.

რომაელები გუნდის შემადგენლობის როგორც დაცვის, ისე ნახევარდაცვისა და თავდასხმის პოზიციების გაძლიერებას გეგმავენ.

"ლაციოს" პოტენციურ ახალბედათა შორის კი "ასკოლის" მცველს იონას პორტინს, "პორტუს" ნახევარმცველს ფერნანდუსა და "პალერმოს" გამთამაშებელს ფაბიუ სიმპლისიუს ასახელებენ. რაც შეეხება თავდასხმას, რომაული კლუბის ხელმძღვანელობა რუსული "რუბინის" ფორვარდის ალეხანდრო დომინგესის მიმართ ამჟღავნებს ინტერესს.

## იმედიანი რაული

ესპანეთის თასის გათამაშებაში "რეალმა" კატასტროფული მარცხი იწვნია. "სამეფო კლუბი" მესამე დივიზიონის გუნდ "ალკორკონთან" გასვლით მატჩში 0:4 დამარცხდა.

"ბოდიშს ვიხდით. ჩვენს კლუბს თავისი ისტორიით ის თამაში არ დაუმსახურებია, რაც "ალკორკონთან" ვაჩვენეთ. მეტისმეტად ცუდად ვითამაშეთ და ეს უნდა ვაღიაროთ. მაგრამ ძლიერ გუნდად უნდა დავრჩეთ, მით უმეტეს, რომ მეორე მატჩი წინაა და ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს. ქომაგებს ჩვენი გამარჯვებების ხილვა სურთ და მათი ოცნების ასრულება ჩვენს ხელთაა. ახლა ვიცით, რომელი გზით არ უნდა ვიაროთ. მნიშვნელოვან შეჯიბრებებში ცუდად ჩატარებული მატჩების შემდეგ "რეალის" ისტორიაში სიტუაცია არაერთხელ შეცვლილა უკეთესობისკენ", - განაცხადა "რეალის" კაპიტანმა რაულმა.

## ბრაზილიური გამოცდა

ნოემბერში ბრაზილიის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს ინგლისის ეროვნულ გუნდთან. მანამდე კი პენტაკამპეონები ომანს ეწვევიან და იქ გაეჯიბრებიან ამ ქვეყნის ნაკრებს.

წლეულს პენტაკამპეონებმა 15 მატჩი ჩაატარეს. აქედან 12-ში გაიმარჯვეს, ერთი კი მარცხით დაასრულეს.

ბრაზილიელთა 19-მატჩიან წაუგებელ სერიას ბოლო მოუღო ბოლივიამ, რომელმაც სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ციკლში სახელოვან მეტოქეს 2:1 სძლია.

## ტრეზეგე: "თუ გოლი იაკინტას გააქვს, მე ბედნიერი ვარ"

ომარ სივორის რეკორდის გამეორებასა და "იუვენტუსის" საუკეთესო ბომბარდირთა ოთხეულში შესვლამდე დავიდ ტრეზეგეს სულ სამი გოლიღა დარჩა. ამ სეზონზე ჩატარებული სამი მატჩის შემდეგ ფრანგი გოლეადორი გაჩერებას არ აპირებს და იტალიელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში სწორედ ამ თემაზე საუბრობს:

"ბრწყინვალედ მაქვს გაცნობიერებული, რომ ომარ სივორიმ 167 გოლი გაიტანა. მე ამ წუთისთვის 164 გოლი მაქვს გატანილი. რა თქმა უნდა, ის, თუ ვინ გაიტანს, არც ისე მნიშვნელოვანია. თუ ვინჩენცო იაკინტას გააქვს, მე ბედნიერი ვარ. თუ მე გამაქვს, ვინჩენცოც ბედნიერია. იგივე ეხება ამაურისაც. დარწმუნებული ვარ, მალე ისიც დაიწყებს გატანას. და ბოლოს, რა თქმა უნდა, ალექსის დაბრუნებასაც ყველანი მოუთმენლად ველით," - აცხადებს ტრეზეგე.

## "სიტი" მცველებს იყიდის

ზაფხულში "მანჩესტერ სიტის" მესვეურები შემტევი ფეხბურთელების ყიდვით გაერთნენ და დაავიწყდათ, რომ წარმატებისთვის კარგი მცველებიც აუცილებელია. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ქალაქელები" სწორედ ამ ვაკუუმის შევსებას შეეცდებიან.

"სიტის" თავკაცი კოლო ტურესა და ჟოლეონ ლესკოტის წყვილის შენარჩუნებას გეგმავს, თუმცა, სრულიად შესაძლებელია, რომ გუნდი მიკა რიჩარდსმა და უეინ ბრიჯმა დატოვონ. მანჩესტერელთა პოტენციურ ახალბედად კი ბარსელონელ კარლეს პუიოლს ასახელებენ.

## დიდიე რეკორდს უმიზნებს

"ჩელსის" კოტდივუარელი ფორვარდი დიდიე დროგბა კლუბში გატანილი გოლების რაოდენობით რეკორდის დამყარებას აპირებს.

26 სექტემბერს დროგბამ "უიგანის" კარში "არისტოკრატთა" მაისურით თავისი საიუბილეო მე-100 გოლი გაიტანა. ამ მომენტისთვის კი აფრიკელ ფორვარდს 102-ჯერ აქვს თავი გამოჩენილი. ამ მაჩვენებლით კლუბის რეკორდი ეკუთვნის გასული საუკუნის 60-იანი წლების ცნობილ თავდამსხმელს ბობი ტემბლინგს, რომელსაც 202 გოლი აქვს გატანილი.

"რა თქმა უნდა, ისევ გავიტან და იმედი მაქვს, ღვთის წყალობით, 200-იან ნიშნულს მივაღწევ. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ჯანმრთელი ვარ და ყველაფერი შესაძლებელია, - ამბობს დროგბა.

## კანავაროს სურვილი

"სკუადრა აძურას" კაპიტანი ფაბიო კანავარო ნატრობს, რომ "მილანის" მცველი ალესანდრო ნესტა ნაკრებს დაუბრუნდეს.

"ნაკრებში ასპარეზობის დასრულების შესახებ ნესტას გადაწყვეტილების გამო გაღიზიანებული ვარ. ამავე დროს მის არჩევანს პატივს ვცემ და ეს გარემოება კარგად მესმის. ის ხომ მთელი ერთი წელიწადი ფეხბურთის გარეშე იყო. ამიტომ არ სურს გარისკვა. მაგრამ "სკუადრა აძურაში" დაბრუნებაზე მისი დაყოლიება რომ შემეძლოს, ამას აუცილებლად გავაკეთებდი", - ამბობს კანავარო.

33 წლის ნესტამ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ზურგის არეში დაწყებული მუდმივი ტკივილის გამო აღარ ისურვა "სკუადრა აძურაში" ასპარეზობა.

## ვორონინს "ჰერტაში" დაბრუნება არ სურს

მიუხედავად იმისა, რომ "ლივერპულში" ანდრეი ვორონინს საკმარის სათამაშო დროს არ აძლევენ, უკრაინელი ფორვარდი ბერლინურ "ჰერტაში" დაბრუნებას გამორიცხავს. არადა, გერმანული კლუბი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში აპირებდა ვორონინის გადაბირებას.

ვორონინის გაშვება არც ბენიტესს სურს. ფეხბურთელმა და "ლივერპულის" ესპანელმა თავკაცმა ისაუბრეს და ბენიტესი ვორონინს სათამაშო დროის გაზრდას დაჰპირდა.

## დეკუ არ ნანობს

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველ დეკუს "ინტერი" იწვევდა, თუმცა ფეხბურთელმა "ჩელსიში" დარჩენა ამჯობინა და თავის გადაწყვეტილებას არც ახლა ნანობს.

"ბოლო სეზონი ჩემს კარიერაში ყველაზე წარუმატებელი იყო, რადგან მანამდე ამდენი ტრავმა არასოდეს მქონია. როდესაც არ თამაშობ, კლუბის შეცვლაზე იწყებ ფიქრს. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ვიცი, რომ მოედანზე გასასვლელად მზად ვარ. ვფიქრობ, კარლო ანჩელოტი მენდობა. როდესაც ის გუნდს სათავეში ჩაუდგა, მითხრა, რომ ჩემთან ერთად მუშაობა სურს. თავადაც ასეთი გადაწყვეტილება მივიღე, რაც ძალიან მიხარია", - ამბობს დეკუ.

## "ნაიმეგენი" უმწვრთნელოდ დარჩა

ჰოლანდიური "ნაიმეგენის" მთავარმა მწვრთნელმა დუაიტ ლოდევეგესმა თანამდებობა დატოვა, რის მიზეზადაც გუნდის უხეირო ასპარეზობა დასახელდა.

ერედივიზიონის ბოლო ტურში "ნაიმეგენი" პსვ-სთან 0:4 დამარცხდა და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზე აღმოჩნდა, რამაც მწვრთნელს წასვლისკენ უბიძგა.

"სიტუაციის გამოსწორება ვერ შევძელი. არც იმედი მქონდა, რომ მომავალში შევძლებდი", - განაცხადა ლოდევეგესმა, რომელმაც გასულ ზაფხულს ნაიმეგენელთა თავკაცის პოსტზე მარიო ბენა ჩაანაცვლა.

## ბაროისი - პარაგვაის ნაკრებში

ბუნდესლიგის კლუბ დორტმუნდის "ბორუსიაში" მოთამაშე 25 წლის არგენტინელი ფორვარდი ლუკას ბაროისი შესაძლოა პარაგვაის ნაკრების ფეხბურთელი გახდეს.

ბარიოსს დედა პარაგვაელი ჰყოლია და ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მას თავისი ნაკრების წევრობა სწორედ ამის საფუძველზე შესთავაზა.

"დორტმუნდის" ფორვარდი, რომელსაც არგენტინის ნაკრების მაისურა არასოდეს მოურგია, დარწმუნებულია, რომ ნაკრების მწვრთნელის დიეგო მარადონას გეგმებში ის არავითარ როლს არ თამაშობს. ასე რომ, პარაგვაის ნაკრებში თამაშის პერსპექტივა მას სულაც არ ესახება წარმოუდგენლად.

"ცხადია, მე არგენტინის ნაკრებში თამაში მირჩევნია, მაგრამ ამის შანსი ნაკლებად მაქვს. სამაგიეროდ, წინ მიდევს პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის შემოთავაზება და ამაზე აუცილებლად ვიფიქრებ," - თქვა ბარიოსმა ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას.

# ბრეგის ოდენ ორი

ზურაბ თალაკვაძე

მაგრად დაიწყო NBA-ს რეგულარული. წააგო ტეხასელებით გაძეძგილ დარბაზში დირკ ნოვიცკის "მავერიქსმა", გახუნებული ერთობლივი დებიუტი გამოუვიდათ ლებრონ ჯეიმსსა და შაკილ ო`ნილს კონფერენციის თანაფავორიტ "ბოსტონთან" ჯახში და მარტო "ლეიკერსმა" განიმტკიცა ფავორიტის სტატუსი, თუმცა, კობი ბრაიანტი რომ არა, იქნებ კალიფორნიულ დერბიში "კლიპერსს" მოეგო. მოკლედ, სეზონი გაიხსნა და ყველაფერს თანამიმდევრულად მივყვეთ.

წელს "კავალიერსს" სერიოზული მიზან-ამბიცია აქვს, რაც, სულ მცირე, სუპერფინალში გასვლას ითვალისწინებს, თუმცა იგივეს თქმა შეიძლება კევინ გარნეტის, პოლ პირსისა და რეი ალენის "სელტიქსზეც". ამ ტრიოს კი ერთი ბებერი მეომარი - შიდი უოლასიც დაემატა.

რა უნდა გააკეთო "კლივლენდთან" მოსაგებად? ან უნდა შეაკვდე ლებრონის განეიტრალებას და ეს საქმე ან გამოგივა, ან - არა. მეორე ვარიანტი ჯეიმსისთვის ერთადერთი დამცველის დაყენებაა, სხვებს კი ხელი არ უნდა გაანძრევინო.

"ბოსტონმა" მეორე გზა აირჩია. ლებრონმა სეზონი დომინანტური 38 ქულით გახსნა, მაგრამ მთელი "კავალიერსის" ლამის ნახევარი ჩაყარა, სხვებმა კი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

ო`ნილმა მოედანზე 28 წუთი გაატარა და ამ დროში 11 სროლიდან 6 ვერ გამოიყენა, დაცვაშიც ბევრი არაფერი გაუკეთებია და შეცდომებიც ჰქონდა. ჯერ კენდრიკ პერკინსს, მერე კი, მონაცვლეობით, გარნეტსა და უოლასს, შაკი სამწამიანიდან პერიმეტრზე ამოჰყავდათ, რითაც ფარქვეშეთში სათარეშო სივრცე უხვად იყო და "ბოსტონიც" ქულას ქულაზე აგროვებდა. შაკმა საბოლოოდ 10 ქულას მოუყარა თავი.

"სელტიქსმა" ბევრად სწრაფი კალათბურთი ითამაშა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა რეიჯონ რონდომ. რომელი მო უილიამსი ან ენტონი პარკერი გააჩერებდნენ იმ დღეს საოცრად მოტივირებულ რონდოს, რომელმაც პირველივე მატჩში 10 შედეგიანი გადაცემა დააგროვა, რასაც 6 მოხსნა, 8 ქულა და 3 ჩაჭრაც დაურთო?!



პოლ პირსმა შაკს, "ბოსტონმა" კი "კლივლენდს" აჯობა

შიდი უოლასს კი ეფექტური დებიუტი ჰქონდა და გარნეტთან ერთად თამაშიც არ გასჭირვებია. 13 ქულა, 3 დაფარება და ამდენივე ზუსტი სამქულიანი - ახალწვეულისთვის კარგი შედეგია, დაცვაში კი სვირინგებიანმა ვეტერანმა შაკს, მერე კი ზანტ ჟიდრუნას ილგაუსკასს (6 ქულა) დიდი პრობლემები შეუქმნა.

და "კლივლენდი"? ლებრონმა ილებრონა, ბლომად სლემ დანქებიც აკეთა, აქეთ-იქით ეფექტური პასები ჩამოარიგა, მაგრამ გუნდი - გუნდის გარდა, ყველაფერი, ანუ მარტო ჯეიმსი იყო. გრანდებთან მოსაგებად ეს საკმარისი ვერ იქნება, "მინესოტას", "ინდიანას" და კიდევ რომელიმე აუტსაიდერს კი ეყოფა.

ბევრს ელიან ამ სეზონში ნოვიცკის გუნდისგან, მაგრამ დებიუტის და თანაც ულიდერო (ენტუან ჯეიმისონია დამტვრეული) "ვაშინგტონთან" მთელი 11 ქულით წაგება? სამარცხვინო და სასაცილოა.

დიდ იმედს ამყარებდნენ დალასში "სპურსიდან" გაგდებული დრიუ გუდენის დამატებაზე, მაგრამ გრეგ პოპოვიჩმა რომ დრიუს "ბალასტი" უწოდა, ეს მაშინვე გამოჩნდა. ექვსიდან ხუთი არაზუსტი სროლა, უმოტივაციო თამაში დაცვაში და სამარცხვინო 2 ქულა - ასეთი იყო დრიუს დებიუტი დირკისა და ჯეისონ კიდის მხარდამხარ, ამ უკანასკნელმა კი სეზონი 6-6 პასითა და მოხსნით გახსნა. დირკზე რაღა ვთქვათ, სასწაული ტიპია და ეს ამ მატჩმაც დაამტკიცა. 34 ქულითა და 9 მოხსნით ნოვიცკიმ მორიგი ბენეფისი მოიწყო, მაგრამ გუნდმა თუ არ მოუმატა, "დალასი" ვერ იგრანდებს. ეფექტური დებიუტი გამოუვიდა შონ მერიონს: "მატრიცამ" 16 ქულით, 7 მოხსნითა და 3 დაფარებით დაასრულა გვემა "ვაშინგტონისგან", რომლის ლიდერმა გილბერტ არენასმა შეხვედრა 29 ქულითა და 9 პასით დაამთავრა.

დერბიში "კლიპერსთან" კობიმ და მისმა თანაგუნდელებმა ლიგის კომისარ დევიდ სტერნისგან საჩემპიონო ბეჭდები მიიღეს, მაგრამ შეუძლოდ მყოფი პო გასოლის გარეშე კინაღამ ჩაუმწარდათ დღესასწაული.

ბრაიანტმა ბევრი ისროლა (26), ბევრიც გააფუჭა (15), მაგრამ ბოლოს ათამაშდა და თავისიანებს სეზონი მოგებით დააწყებინა.

სხვები? ნორმალური დებიუტი გამოუვიდა მოქმედი ჩემპიონის შემადგენლობაში რონ არტესტს, რომელმაც დაცვაში ბევრი იშრომა, 10 ქულას მოუყარა თავი და მატჩის შემდეგ ფილ ჯექსონისგან კომპლიმენტებიც მიიღო.

არ იყო გასოლი და სასტარტოში მოხვდა ლამარ ოდომი. მან და ენდრიუ ბაინუმმა მაქსიმალურად შებოჭეს "კლიპერსის" მთაკაცი კრის კამანი, თუმცა ელ-ეის მეორე გუნდის ცენტრმა მაინც მოახერხა და გამოჭედა ორმაგი დუბლი (18 ქულა, 16 მოხსნა), ელ ტორნტონი კი არტესტის კლანჭებში მოხვდა და მატჩი მხოლოდ 8 ქულით დაასრულა. "კლიპერსის" წაგების ერთ-ერთი მიზეზი კი სუპერგამთამაშებლის, ვეტერანი ბაირონ დევისის კატასტროფული გამოსვლა იყო. 27 წუთში მან 10 სროლიდან 9 გააფუჭა.

"პორტლენდმა" კი დაგეგმილი გამარჯვება გაიფორმა, თუმცა, უშეცდომოდ არც ორეგონელებს უთამაშიათ. ტრეისი მაკგრეიდისა და იაო მინის არყოფნით, ასევე არგენტინელი ლუის სკოლას საშინელი თამაშით (22 წუთში მხოლოდ 3 ქულა და 4 ფოლი), "როკეტსმა" მოახერხა და მხოლოდ 9 ქულით წააგო.

"ბლეიზერსი" ჩემპიონობის მაძიებელთა შორის ვერ ხვდება, მაგრამ, თუ მოინდომებს, დასავლეთის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობა შეიძლება მოიპოვოს. ოღონდ საამისოდ გრეგ ოდენმა უკეთ უნდა ითამაშოს (26 წუთი, 2 ქულა, 12 მოხსნა, 7 შეცდომა, 5 დაფარება და ტექნიკური შენიშვნა), მთლიანად გუნდმა კი ნაკლები შეცდომა დაუშვას. ბრენდონ როიმ 20 ქულით გამოიჩინა თავი. სხვა მხრივ კი განსაკუთრებული ამ მატჩში არაფერი მომხდარა.

**NBA. რეგულარული**

ლეიკერსი - კლიპერსი.........99:92
დალასი - ვაშინგტონი .......91:102
პორტლენდი - ჰიუსტონი ...96:87
კლივლენდი - ბოსტონი...... 89:95

# სერ ალექსის დავიდები

"მანჩესტერ იუნაიტედი" ახლოს არის იმასთან, რომ ერთდროულად ორი დავიდი იყიდოს. ორივე "ვალენსიაში" თამაშობს და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ საუბარია ვილიასა და სილვაზე.

სააგენტო goal.com-ის ინფორმაციით, ვალენსიელთა ორ ლიდერში მანკუნიანელები 40 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან.

ვილია უმაღლესი დონის ფორვარდია და "მანჩესტერს" მაღალი კლასის გოლეადორი ნამდვილად სჭირდება. რაც შეეხება დავიდ სილვას, ამ ფეხბურთელით სერ ალექს ფერგიუსონი ნახევარდაცვის გაძლიერებას აპირებს. ფაქტობრივად, სილვა რაიან გიგზის ან პოლ სქოულზის შემცვლელი იქნება მართალია, მანკუნიანელთა ორი ვეტერანი ახლაც მაღალი დონის ფეხბურთს აჩვენებს, მაგრამ აშკარაა, რომ მალე ისინი ფეხბურთს დაემშვიდობებიან, სილვა კი მხოლოდ 23 წლისაა.



"ვალენსია" ვილიას გაყიდის

უცხოური მედია ირწმუნება, რომ საქმე თითქმის გაჩარხულია, მაგრამ შესაძლოა "მანჩესტერს" მაინც გაუჭირდეს ამ დუეტის შეძენა. საქმე ის არის, რომ ვალენსიელებზე სხვა გრანდებიც აცხადებენ პრეტენზიას, კერძოდ, "რეალი" და "ბარსელონა".

ვილიასა და სილვაზე ზაფხულშიც დიდი მოთხოვნილება იყო, მაგრამ "ღამურებმა" ფეხბურთელები შეინარჩუნეს. ახლა კი ვითარება შეიცვალა. "ვალენსიას" ფინანსური კრიზისი აქვს და გუნდი იძულებულია შეელიოს წამყვან ფეხბურთელებს.

"კლუბმა ზაფხულში ყველა ღონე იხმარა, რათა ეს ფეხბურთელები შეენარჩუნებინა, მაგრამ მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ახლა ტრანსფერზე დათანხმება მოგვიწევს. პირადად მე ორივეს დავტოვებდი, მაგრამ ყველაფერი ჩემზე როდია დამოკიდებული. უკეთეს შემთხვევაში ერთ-ერთს შევინარჩუნებთ. ალბათ ვილიას გაყიდვა გარდაუვალია", - აცხადებს "ვალენსიას" სპორტული დირექტორი ფერნანდო გომესი.

გომესის სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვილიაც და სილვაც იმ კლუბებში გადავლენ, რომლებიც ფეხბურთელებში უფრო მეტ თანხას გადაიხდიან. როგორც ვთქვით, "მანჩესტერი", ორივეში ერთად, 40 მილიონ გირვანქას იხდის. ზაფხულში კი "ბარსელონა" მხოლოდ ვილიაში იხდიდა 45 მილიონ ევროს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ვალენსიას" ვარსკვლავებზე ნამდვილი საფეხბურთო აუქციონი გამოცხადდება.

## სს "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" აცხადებს კონკურსს:

კახეთის რეგიონში მდებარე 10/0.4 კვ-იანი სატრანსფორმატორო ქვესადგურების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაზე. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ ყველა კომპანიას საკონკურსო მოთხოვნების მისაღებად შეუძლია 2009 წლის 4 ნოემბრამდე მიმართოს პროექტების ხელმძღვანელს აუდრიუს ბიკმანასს

ტელ: 895 32 40 90

ელექტრონული ფოსტა:bikmanas@hotmail.com

29-10-2009 წელი

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 11 სექტემბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვების, ხელმეორედ შეფუთვისა და დროებით უსაფრთხო ადგილზე განთავსების მომსახურეობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში 2009 წლის 8 ოქტომბერს გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. სადეზინფექციო სამსახური "თბილისი" და 2009 წლის 9 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება 112 631 (ასთორმეტი ათას ექვსასოცდათერთმეტი) ლარზე.

## განცხადება სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის მიერ გაზეთ "24 საათის" 2009 წლის 27 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტნილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად ნაცვლად 2009 წლის 14 ნოემბრის 14:00 საათისა განისაზღვროს 2009 წლის 18 ნოემბრის 14:00 საათი;

2. სატენდერო წინადადებების გახსნის დროდ, ნაცვლად 2009 წლის 14 ნოემბრის 14:00 საათისა, განისაზღვროს 2009 წლის 18 ნოემბრის 14:00 საათი;

3. საქონლის მოწოდების ვადად, ნაცვლად 2009 წლის 15 დეკემბრისა, განისაზღვროს 2009 წლის 18 დეკემბერი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისია

ქ. წალენჯიხა, სალიას ქ.N5.

საკონტაქტო პირი: ეკა ბელქანია, ტელ.: 877 959 262

## ინფორმაცია ტენდერების ჩატარების შესახებ

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის 2009 წლის 25 სექტემბრის გაზეთში "24 საათი" - ქალაქ ქუთაისში კიკვიძის სახელობის სკვერის კაპიტალური შეკეთებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. "იმერეთმშენი 2000" და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდო *265467* ლარზე.

ქალაქ ქუთაისში N20 ტანვარჯიშის სპორტული სკოლის კაპიტალური შეკეთებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ს.ს. "იბერია-21" და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდო *274859* ლარზე.

*სატენდერო კომისია*

## სს"კახეთის ენერგოდისტრიბუცია"აცხადებს კონკურსს:

კახეთის რეგიონში მდებარე ენერგოობიექტებზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. კონკურსში მონაწილეობის და ამ ტიპის სამუშაოების შესრულების მსურველი ორგანიზაცია, როგორც იურიდიული პირი დარეგისტრირებული უნდა იყოს სახელმწიფო საგადასახადო რეესტრში.განცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 4 ნოემბერი.

მისამართი: ქ. თელავი. აჭინებულის ქ.N 1

საკონტაქტო პირი: აუდრიუს ბიკმანასი

ტელ: 895 32 40 90

ელ ფოსტა:**bikmanas@hotmail.com**

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აცხადებს კონკურსს მებაჟე ინსპექტორებისათვის ახალი უნიფორმის ესკიზების დამზადებაზე

**კონკურსის პირობები:**

**1. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს;**
**2. კონკურსის ვადა განისაზღვროს 2009 წლის 20 ნოემბრამდე;**
**3. კონკურსის გამარჯვებული მიიღებს ფულად ანაზღაურებას - 10 000 ლარის ოდენობით;**
**4. კონკურსანტმა უნდა შექმნას ესკიზები დანართში აღწერილ ფორმებსა და აქსესუარებზე.**

**კონკურსი მონაწილე პირს ინფორმაციის მიღება შეუძლია:**

**- ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერძე www.mof.ge;**
**- გაზეთი „24 საათი"'**
**- ცხელ ხაზზე - 077.**

*დანართი*

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე-ინსპექტორების უნიფორმები და აქსესუარები**

**მამაკაცი:**

**მებაჟე-ინსპექტორის ყოველდღიური ფორმა და აქსესუარები**

- პერანგი - გრძელმკლავიანი, კლასიკური.
- პერანგი - გრძელმკლავიანი, სამუშაო.
- პოლო მაისური - სამ ღილზე.
- მაისური - მრგვალყელიანი.
- შარვალი -კლასიკური სტილის (საგაზაფხულო-საშემოდგომო).
- შარვალი -კლასიკური სტილის (ზამთრის).
- შარვალი - ჯიბეებით დატვირთული.
- პიჯაკი -კლასიკური სტილის.
- ნაქსოვი ჟაკეტი - კლასიკური სტილის.
- პალსტუხი.
- ქუდი - კეპი, წინ ნაქარგი ლოგოთი.
- ზამთრის ქუდი -წინ ნაქარგი ლოგოთი.
- სპეციალური დანიშნულების ქამარი.
- საგაზაფხულო-საშემდგომო ქურთუკი - გაწყობილი მანათობელი ლენტით.
- ზამთრის ქურთუკი -მოკლე, გაწყობილი მანათობელი ლენტით, კაპიშონით.
- ზამთრის ქურთუკი -გრძელი, გაწყობილი მანათობელი ლენტით, კაპიშონით.
- ტყავის კლასიკური სტილის ფეხსაცმელი.
- ზამთრის დამცავი ბათინკი.
- ზამთრის დამცავი ნახევრად-ბათინკი.
- ზაფხული დამცავი ფეხსაცმელი.
- საწვიმარი ლაბადა.
- ჩანთა (რუგზაგი).
- ხელთათმანი - ნაქსოვი ხუთთითიანი.
- ხელთათმანი - ნახევრადგადაჭრილი.
- შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა - მეტალის ჟეტონი, ზურგის ნაქარგი, ინიციალი (სახელი და გვარი სრულად), ნაქარგი ემბლემა.

**შენიშვნა: ფიტოსანიტარული, ვეტერინარული და სანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელ მოხელეებს ექნებათ განსხვავებული აქსესუარები (კერძოდ, ყელსახვევი, ატრიბუტიკა და ფურნიტურა)**

**ქალი:**

**მებაჟე-ინსპექტორის ყოველდღიური საგაზაფხულო ფორმა და აქსესუარები**

- პერანგი - გრძელმკლავიანი.
- პოლო მაისური - 3 ღილზე.
- შარვალი -კლასიკური სტილის (საგაზაფხულო-საშემოდგომო).
- შარვალი -კლასიკური სტილის (ზამთრის).
- პიჯაკი -კლასიკური სტილის.
- ნაქსოვი ჟაკეტი - კლასიკური სტილის.
- ქვედა კაბა -კლასიკური სტილის.
- ყელსახვევი.
- ქუდი - კეპი, წინ ნაქარგი ლოგოთი.
- ზამთრის ქუდი - წინ ნაქარგი ლოგოთი.
- სპეციალური დანიშნულების ქამარი.
- საგაზაფხულო-საშემოდგომო ქურთუკი - გაწყობილი მანათობელი ლენტით.
- ზამთრის ქურთუკი -მოკლე, გაწყობილი მანათობელი ლენტით, კაპიშონით.
- ზამთრის ქურთუკი - გრძელი, გაწყობილი მანათობელი ლენტით, კაპიშონით.
- ტყავის კლასიკური სტილის ფეხსაცმელი.
- ზამთრის დამცავი ბათინკი.
- ზამთრის დამცავი ნახევრად-ბათინკი.
- ზაფხული დამცავი ფეხსაცმელი.
- საწვიმარი ლაბადა.
- ჩანთა (რუგზაგი).
- ხელთათმანი - ნაქსოვი ხუთთითიანი.
- ხელთათმანი -ნახევრადგადაჭრილი.
- შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა - მეტალის ჟეტონი, ზურგის ნაქარგი, ინიციალი (სახელი და გვარი სრულად), ნაქარგი ემბლემა.

**შენიშვნა: ფიტოსანიტარული, ვეტერინარული და სანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელ მოხელეებს ექნებათ განსხვავებული აქსესუარები (კერძოდ, ყელსახვევი, ატრიბუტიკა და ფურნიტურა)**

# ოხერხევიდან ოხერხევამდე

ავთანდილ ჭყვიშელი



შარშანდელმა რუსეთ-საქართველოს ომმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მთამსვლელური უნარ-ჩვევების აუცილებლობაში. ამიტომაც მეტად სამწუხაროა, რომ ალპინიზმს საქართველოს სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა ნუსხაში ვერ ვხედავთ, რუსეთში კი მთამსვლელობა სულაც არ ითვლება მეორეხარისხოვან საქმედ. ეს საქმე პრიორიტეტული იყო საბჭოთა კავშირშიც, როცა მთამსვლელური ბანაკები პრაქტიკულად მუდამ ნახევრად სამხედრო რეჟიმში მუშაობდნენ, მათ შორის, საქართველოში არსებული "აილამა" და "ზესხო".

სამწუხაროდ, ეს ბანაკები აღარავის ახსოვს და ჩვენი უმდიდრესი ალპინისტური ტრადიციები თუ თვალსაჩინო მიღწევები დავიწყებას ეძლევა, თუმცა ალპინიზმის აღორძინების საქმეში წელს იმედის სხივი გამოჩნდა. ვგულისხმობთ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ შოთა მირიანაშვილის მეთაურობით ზაფხულ-შემოდგომაზე ერთმანეთის მიყოლებით ჩატარებულ ოთხ მიზნობრივ მთამსვლელურ ღონისძიებას. ეს ასვლები თბილისის მერიამ და ჩვენი ქვეყნის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა დააფინანსეს, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა.

თავდაპირველად თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებამ ხევსურეთში მწვერვალ "ვაჟა-ფშაველაზე" 140-კაციან ალპინიადას (რომელშიც დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და რამდენიმე სკოლის უფროსკლასკლები მონაწილეობდნენ) კარვები, საძილე ტომრები, თოკები თუ სხვა საჭურველ-ინვენტარი გადასცა, საკვებით მოამარაგა და გზაც დაულოცა. ამის შედეგად 120-მდე მონაწილემ, რომლებიც უამინდობამ არ შეაშინა, ალპინისტური ნათლობა მიიღო.

უფრო მეტი - 160-მდე მონაწილე ჰყავდა სტეფანწმინდის რაიონში, ხდის ხეობაში მოწყობილ ალპინიადას. ასეთ რაოდენობას ბოლო წლებში მთელი სეზონის განმავლობაშიც კი ვერ დაითვლიდა კაცი.

ხდის ხეობას მოჰყვა გუდამაყარში 40-კაციანი ლაშქრობა. მონაწილეებმა ერთი უსახელო მწვერვალიდან გადმოიხედეს და მას, პირველამსვლელთა უფლებით, "ვახტანგ გორგასალი" უწოდეს. მერე კი ბურსაჭირის ხეობაში მწვერვალ "წმინდა ნინოსაც" ესტუმრნენ.

მაშინ, როცა ალპინიადის მონაწილენი ამ მწვერვალებს ლაშქრავდნენ, მეორე 12-კაციანი თანრიგოსანთა ჯგუფი სვანეთში, თეთნულდზე ადიოდა და იქ იმაღლებდა კვალიფიკაციას.

მერე ისევ ორმოცკაციანი ალპინიადა იყო სტეფანწმინდის რაიონში, ოღონდ სნოს ხეობასა და მის სათავეში აღმართულ ჭაუხებზე, სადაც მწვერვალები "გურამ თიკანაძე" და "ექვთიმე თაყაიშვილი" დალაშქრეს, რაც შემდგომ მათი ოცკაციანი ტრავერსით დაგვირგვინდა.

ეს ნაყოფიერი და აქტიური სეზონი იქვე დასრულდა, საიდანაც დაიწყო - ხევსურეთში, შემოდგომის ფერებით აჭრელებულ ოხერხევში, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრადიციული ალპინიადის მონაწილენი და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული ღონისძიების წარმომადგენლები გაერთიანდნენ. ეს ალპინიადა აღმოჩნდა ერთადერთი, რომელმაც მის მონაწილეებს ამინდის მხრივ გაუმართლა. ისინი არც გულისგამაწვრილებელ წვიმას შეუწუხებია, არც ხოშკაკალას, არც თოვასა და ქარაშოტს, რაც მანამდელ ასვლებს ახლდა.

ასე იყო თუ ისე, წლევანდელი სეზონი დამოუკიდებელი საქართველოს მასობრივი ალპინიზმის ისტორიაში არნახულად ნაყოფიერი გამოდგა. ამ ლაშქრობის მონაწილეთაგან, ბუნებრივია, მთამსვლელობას ყველა არ შერჩება, მაგრამ მის ყველა მონაწილეს ეს ასვლები მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად გაჰყვება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მრავალი ახალგაზრდა ქუჩას ჩამოშორდა, გაჯანსაღდა, გაიცნო მშობლიური მთები, მწვერვალები, მოინახულა არაერთი სოფელი და ნასოფლარი, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლი, რამაც მათი ცოდნის ჰორიზონტი გააფართოვა. ეს ყველაფერი კი მათ შემდგომ ცხოვრებასა და საქმიანობაში დიდ სამსახურს გაუწევს.

ყველაფერ ამაში შოთა მირიანაშვილს მხარში ედგნენ მისი ძველი თანაგუნდელები: მიტო დანგაძე, ოთარ ხაზარაძე, გიორგი როსტომაშვილი, აკაკი ხერგიანი, ვაჟა მათითაშვილი, მალხაზ ხუციშვილი, თეიმურაზ ახალკაცი, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ თათარაშვილი, ლევან შერვაშიძე, გიორგი რეხვიაშვილი...

ამ ღონისძიებათა მონაწილენი ემადლიერებიან ქართველ მესაზღვრეთა ბარისახოს საგუშაგოს მეთაურობას და დარიალის ხეობის მესაზღვრეებს, რომლებმაც ალპინიადის მონაწილეებს ყურადღება არ მოაკლეს.

წლევანდელი მასობრივ-ალპინისტური სეზონის თავისებური შეჯამება იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგეგმილი ფოტოგამოფენა, რომელსაც ამ ლაშქრობათა მონაწილენი წარმოადგენენ.

# უილიამსები VS რუსეთი: 1:1

ზურაბ თალაკვაძე

ერთი სწრაფი და ორიც ფეერიული მატჩი. ასეთი იყო დოჰაში დაწყებული ქალ ჩოგბურთელთა არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღე. იოლად გაიფორმა მოგება ბელარუსმა ვიქტორია აზარენკამ, დები უილიამსებისა და საჩოგბურთო რუსეთის დუელი კი საყაიმო ანგარიშით დასრულდა.

ძალიან მაგარი ჯახი იყო როგორც უფროსი, ისე უმცროსი უილიამსის მონაწილეობით. კორტზე ჯერ ვენუსი გავიდა, მეტოქედ კი ელენა დემენტიევა ჰყავდა. ღამის სესიისას სერენას სვეტლანა კუზნეცოვას წინააღმდეგ უნდა ეთამაშა.

ვენუსი ტურნირს ჩემპიონის რანგში შეხვდა და, წლეულს არასტაბილური თამაშის მიუხედავად, მაინც ფავორიტად ითვლებოდა.

დემენტიევას თავიდანვე არ წაუვიდა მოწოდება. საბოლოოდ რუსმა შეხვედრა 15 ორმაგი შეცდომით დაასრულა, რითაც ტურნირის ანტირეკორდი დაამყარა.

ვენუსი თავიდან მეტოქეზე ბევრად დამაჯერებლად და, რაც მთავარია, აკურატულად თამაშობდა. უილიამსი თითქმის არ ცდებოდა ფორჰენდისას, ბადესთან გასვლა და გათამაშების თავის სასარგებლოდ დასრულება კი ელენასთვის უსიამოვნო ტრადიციად იქცა.

ამერიკელმა მალე მოიგო პირველი სეტი (6:3), რომელშიც დემენტიევამ ერთხელაც ვერ აართვა მოწოდება ოპონენტს და მეორეშიც ბრეიკით გაიჭრა წინ. 2:3-დან მოყოლებული, რუსი ათამაშდა, უფრო აგრესიული გახდა და, მიუხედავად იმისა, რომ სეტის ბოლომდე ვენუსმა წონასწორობა აღადგინა, მერე კი წინაც გავიდა (6:5), ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე დემენტიევას მხარეს იყო. რუსი იგებს ტაიბრეიკს და ანგარიშს ათანაბრებს.

"მეორე სეტში რამდენიმე გადამწყვეტი გათამაშება წავაგე, დემენტიევამ კი ყველა შანსი გამოიყენა. სამწუხაროდ, თითქმის მოგებული თამაში დავთმე", - იტყვის მატჩის შემდეგ უილიამსი, რომელმაც მეორე და მესამე სეტებში 37 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ბოლო სეტში ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. ლენამ თავიდანვე მიაბრეიკა მეტოქე, მერე ერთხელაც აიღო ვენუსის მოწოდება და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. დემენტიევამ მატჩი მეორე მატჩპოინტიდან უძლიერესი ბექჰენდით დაასრულა.

"ვენუსი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. დღეს არ წამივიდა პირველი მოწოდება, მაგრამ აგრესიული ვიყავი უკანა ხაზიდან თამაშში და ამან მეორე სეტში მიშველა. ტურნირის მოგებით დაწყება ნებისმიერ შემთხვევაში სასიამოვნოა, თუმცა, თამაშის ხარისხი თუ არ გავაუმჯობესე, პრობლემები შემექმნება", - იტყვის მოგვიანებით დემენტიევა.

ამავე ჯგუფში სერენამ კარგ ფორმაში მყოფ კუზნეცოვას მოუგო და დაიკოსთან რანდევუს წინ მშვენიერი განწყობა შეიქმნა.

საერთოდ, ამ ორი მძიმეწონოსნის მატჩი ყოველთვის დაძაბული და ძნელად პროგნოზირებადია. ასე იყო ამჯერადაც.

სვეტა რუსული საჩოგბურთო გვარდიიდან ყველაზე გაწონასწორებულია, მოსაგებს თითქმის ყოველთვის იგებს და, დემენტიევასთან ან ნადეჟდა პეტროვასთან შედარებით, სტაბილურობის ეტალონია.

საფრანგეთის ღია პირველობაზე უილიამსი და კუზნეცოვა მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ რუსმა დაძაბული სამსეტიანი მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა, ბოლოს კი ჩემპიონიც გახდა.

პირველი სეტის ბოლომდე მაგარი ომი იყო. სერენას მიკროტრავმა აწუხებდა და ამის გამო ამერიკელი ყოველი გათამაშების მაქსიმალურად სწრაფად დასრულებას ცდილობდა. არ თმობდა კუზნეცოვაც და პირველი სეტი ტაიბრეიკამდე გაიწელა.

უილიამსმა მიღებაზე ორი შეცდომა დაუშვა, მერე ანგარიში გაათანაბრა, თუმცა ორმაგი შეცდომაც დაუშვა და კუზნეცოვას ორმაგი სეტპოინტი (4:6) აჩუქა. სვეტამ ბადესთან გასვლა ვერ გაბედა, უილიამსმა იდეალური აზრაგნით შეამცირა სხვაობა,



*ტრავმის მიუხედავად, სერენა უილიამსმა მოიგო*

მერე კი კიდევ ერთი სეტპოინტი უძლიერესი მოწოდებით გააბათილა. ბოლოს სვეტა მოწოდებაზე დაიბნა და სერენამაც პირველივე სეტპოინტით იხეირა.

მეორე სეტშიც იდენტური ამბები განვითარდა. ქულა ქულა, გეიმი გეიმში თამაში მეთერთმეტე გეიმამდე მივიდა, მერე კი ამერიკელმა რუსს მოწოდება აართვა, სამატჩოდ მოწოდებისას კი ერთი გათამაშებაც არ დაუთმო სვეტას. საბოლოოდ - 7:6, 7:5 უილიამსის სასარგებლოდ, რომელმაც ტურნირზე ახალ პირველ ჩოგანზე, რუს დინარა საფინაზე უკეთესი შედეგი რომ აჩვენოს, სეზონს პირველი ჩოგნის სტატუსით ჩაამთავრებს.

"სვეტას წინააღმდეგ თამაში ყველგან და ყოველთვის ძნელია. ის თითქმის არ ცდება ხანგრძლივი გათამაშებისას და კარგი მოწოდება აქვს. მთავარია, გაუძლო მის მიერ შემოთავაზებულ რიტმს და არ დაიბნე. ბედნიერი ვარ, რომ პირველი მატჩი მოვიგე, თუმცა წინ კიდევ ორი ურთულესი შეხვედრა მელის. ჩემი დის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია, რადგან ვენუსს ნებისმიერი მატჩის მოგება შეუძლია, დემენტიევას მშვენიერი კონდიციები კი პირველივე მატჩში გამოჩნდა", - განაცხადა მატჩის შემდეგ სერენამ.

ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 4.55 მილიონი ამერიკული დოლარია, კარგად დაიწყო ასპარეზობა ვიკა აზარენკამ. სეზონის სტარტზე ბელარუსი ისეთ ფორმაში იყო, დაფრინავდა. მასტერსის ფინალში სერენას მოუგო, მერე კი, უიმბლდონიდან დაწყებული, კრიზისი დაეწყო და კლასიფიკაციაში მხოლოდ მერვე ადგილამდე აღზევდა.

მსოფლიო ჩემპიონატზე აზარენკა პირველადაა და ჯგუფური ეტაპი ელენა იანკოვიჩთან მატჩით გახსნა.

ბევრი ვერაფერი შეხვედრა გამოდგა, რაშიც თავად იანკოვიჩი იყო დამნაშავე. 33 უნებლიე შეცდომა, სუსტი, უმოტივაციო თამაში და თითქმის ნულამდე დაყვანილი აგრესია. აზარენკამ იოლად - 6:2, 6:3 მოიგო მატჩი და მოგებულ-წაგებული გეიმების მხრივაც მშვენიერი ბალანსი დაიბევა. კიდევ ერთი შეხვედრის მოგების შემთხვევაში, აზარენკა ნახევარფინალში უნდა გავიდეს. ვიკამ მატჩი მხოლოდ 15 უნებლიე შეცდომით დაამთავრა.

"საშინლად ვითამაშე, თუმცა ვიკა შეუდარებელი იყო და ლოგიკური, დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა", - იტყვის მატჩის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე იანკოვიჩი, რომელიც ტურნირს მარჯვენა ბარძაყის ტრავმით შეხვდა, რის გამოც, პირველი სეტის მსვლელობისას, სერბს კორტზე ექიმის გამოძახება დასჭირდა.

ამავე ჯგუფში ჯერ არ უთამაშიათ საფინას და წლევანდელი სეზონის მთავარ აღმოჩენას, დანიელ კაროლინა ვოზნიაცკის. საფინა სეზონს ცუდ ფორმაში ამთავრებს, კაროლინა კი მშვენიერ კონდიციებშია.